# სარბიელი

საორტული გაზეთი | ოთხშაბათი 16 ივნისი 1999 №111 (884) | ფასი 50 თეთრი


### კოლხეთი ნატოსთან ერთად

მაკედონიიდან შემოუთვლიათ, ქართულ დელეგაციას ორად გაგყოფთ და ცალ-ცალკე გაცხოვრებთ, ჩვენთან ისეთი სიტუაციაა, სასტუმროები ნატოს ჯარისკაცებით არის გავსებულიო

### ყველგან დემეტრაძე

ეროვნული ნაკრების ფორვარდმა რუსეთის საფეხბურთო სამყარო დაიპყრო

### იუგოსლავია ევროპაზე დაუშვეს

ბელგრადის „ობილიჩი“ კი უეფას თასზე ვერ ითამაშებს, რამეთუ მისი მეპატრონე ჟელკო რაზნატოვიჩ არკანი გაერომ სამხედრო დამნაშავედ შერაცხა

### ძველების დამსახურება

უნგრული „ფერენცვაროში“ საუკუნისა შესრულდა

### შვედებმა რუსები აღარ გაახარეს

ხელბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩის დაძაბულობაზე ანგარიშიც მეტყველებს

**შვედეთი 25:24 რუსეთი**

## მურთაზ ხურცილავა:
# ნუ დავკარგავთ ზაზა ჯანაშიას!



*...მე სერიოზულად ვარ შეშფოთებული იმ აჟიოტაჟით, რაც ამ ბოლო ხანს ზაზა ჯანაშიასა და მისი სანაკრებო კარიერის ირგვლივ შეიქმნა.*

*...ჯანაშიას ნაკრებიდან ხელაღებით მოკვეთა შეცდომაა.*

*...ასე შეიძლება ჯანაშია დავკარგოთ. იგი იარსებებს როგორც ფეხბურთელი, მაგრამ არა საქართველოსთვის. მერწმუნეთ, გამოჩნდება ხალხი, ვინც ჯანაშიას სათავისოდ გამოიყენებს.*

*...ახალგაზრდულ ნაკრებში რამდენიმე ახალ გვარსაც გაგაგონებთ. ამ ბიჭების გჯეროდეთ.*

*...დიდი იმედი მაქვს, რომ „ლოკომოტივი“ ბევრს მიაღწევს.*

იხილეთ მეოთხე გვერდი

# ფინალი: აზოტი — ვითა

*საქართველოს ჩემპიონატის წლევანდელი ფინალი შარშანდლის ანალოგიური იქნება: ქვეყნის უძლიერესი გუნდის ტიტულის მოსაპოვებლად ზედიზედ მეორედ შეიბმებიან რუსთავის „აზოტი“ და თბილისის „ვითა“. გუშინ ნახევარფინალური სერიების მეორე მატჩები პირველთა მსგავსად წარიმართა: თუკი „აზოტმა“ კვლავ უპრობლემოდ მოუგო თსუ-ს, „ვითას“ ისევ გაუჭირდა სტუ-ს დამარცხება.*

იხილეთ მეათე გვერდი




თსუ — აზოტი. რუსთაველ ირაკლი ჯაფარიძეს (№12) სტუდენტმა გოჩა არსიაშვილმა ხელი ვერ შეუშალა

უეფას რეგიონთა თასი

UEFA REGION'S CUP

# დადაშევის ოქროს ფეხი

III ტური
შევარდენი. 15.30 საათი.
2 000 მაყურებელი

**თბილისი 0:0 მარმარა**

64-ე წუთზე ტილკავაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (ძელი)
**თბილისი:** ჩაჩიბაია, გიორგი მეტრეველი, ონიანი, მოსიაშვილი, გაბიდაური, ოდიშარია (ზაკუტაშვილი 82), კაკაბაძე (გურამ მეტრეველი 67), ხმალაძე, მურადელი, ტილკავაშვილი, ლ. გვაზავა
*სათადარიგონი:* როხაძე; ვ. კაკაშვილი, კვირკვია, დ. მეტრეველი, დ. წიკლაური
**გაფრთხილება:** აკიოლი (58), ონიანი (74), არსლანი (88), ბაირაკი (90)
**მსაჯი:** ს. ირმანხანი (აზერბაიჯანი)
**უეფას დელეგატი:** პ. ჟიდოვსკი (სლოვაკეთი)

ეროვნული. 19 საათი.
200 მაყურებელი

**ბაქო 1:1 იუგი**

0:1 ლიუხტი (33), 1:1 დადაშევი (90)
**გაფრთხილება:** ასიკოვი (67, იუგი)
**მსაჯი:** ა. კორასი (თურქეთი)
**უეფას დელეგატი:** პ. ჟიდოვსკი (სლოვაკეთი)

ეეჰ, რა დრო დაგვიდგა. რა გვჭირს ქართველებს სხვისი საქომაგო. ის კი, რაც გუშინ „ბაიჭაძეზე“ ხდებოდა, ძნელია სიტყვებით აღწერო. აქეთ დამწუხრებული რუსები, იქით ანალოგიურ სიტუაციაში მყოფი აზერბაიჯანელები, ამათ ფონზე კი მოზეიმე ქართველები.

ჯანელიძის შეგირდებს ბოლო მატჩში თურქულ „მარმარასთან“ გამარჯვებაც ჰყოფნიდათ, რომ მერე სხვის იმედზე არ ყოფილიყნენ, მაგრამ... მოგების შანსი კი ჰქონდათ. 64-ე წუთზე აზერბაიჯანელმა არბიტრმა სულტამ ირმანხანმა თურქების კარში საეჭვო პენალტი დანიშნა, ქართველებმა კი ზედახორა გამართეს, არიქა, გავიტანეთ და ეგ არისო. თუმც ერთი ცნობილი ანდაზისა არ იყოს, ჯერ გადახტი და ჰოპ, მერე დაიძახეო. ზუსტად ასე დაემართათ ჩვენებურთ. ბურთთან ჯონდო ტილკავაშვილი მივიდა და... ძელს მოარტყა. ახლა ყველამ იმაზე დაიხელი ჩაიქნია, მორჩა, ესენი ველარ გაათანაბრებენო, მომენტები ხომ საკმაოდ მეტი შექმნეს ჩვენმა ამოსავლელმა მეზობლებმა. მარტო ანარ სალმანოვმა შორეული დარტყმებით სამჯერ რუსთა კარის ჯვარედინი შეაზანზარა. ეს ის სალმანოვია, რომელმაც თურქებს მეორე ტურში ორმოციოდე მეტრიდან სასწაულებრივი ბურთი გაუტანა.

უნდა ითქვას, რომ საერთო ჯამში დამარცხებულებმა აზერბაიჯანელებმა და რუსებმაც ვაჟკაცურად გადაიტანეს წუხილი.

წესით და კანონით, გუშინ მესამე ტურის ორივე მატჩი „შევარდენის“ სტადიონზე უნდა ჩატარებულიყო. როგორც აღმოჩნდა, პრივილეგირებულნი მეორე შეხვედრის მონაწილენი აღმოჩნდნენ, ორგანიზატორებმა მათ ეროვნულ სტადიონზე თამაშის უფლება მისცეს. ასეთი უფლებით ქართველთა მწვრთნელ ჯონი ჯანელიძესაც შეეძლო ესარგებლა, მაგრამ მან კატეგორიულად მოითხოვა, მე „შევარდენზე“ თამაში მაძლევს ხელსო.

მატჩის დასრულების შემდეგ ჯონი ჯანელიძე აღფრთოვანებული იყო, სიხარულისგან ანთებული. ალბათ, ვერც კი წარმოედგინა, რომ ყოველივე ასე დასრულდებოდა:

— რა თქმა უნდა გამიხარდა, ფინალურ ეტაპზე რომ გავედით, მაგრამ სხვისი შემყურენი არ უნდა ვყოფილიყავით. ალალად ვიტყვი, ამას არ ვიმსახურებდით. ჩვენი საქმე ჩვენვე უნდა გაგვეკეთებინა, რუსებთან უნდა მოგვეგო, მაგრამ... დღეს საოცრება მოხდა, პენალტი ვერ გავიტანეთ. თუმც, ეტყობა, უფალმა არ გაგვწირა. მინდა მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც ამ საქმეში გვერდში დაგვიდგა — მერაბ ჟორდანიას, ვალერი ჩოლარიას, ფედერაციის საერთაშორისო განყოფილებას, რომლებმაც თანადგომა გაგვიწიეს. მგონი, დიდი საქმის გაკეთება შევძელით, ქართველ ხალხს სიხარული რომ განვანცდევინეთ. ერთი კი დამრჩა ხინჯად, ვინც მყავდა შერჩეული, ყველა ვერ ვათამაშე.

ბოლოს ტურნირის მონაწილენი რესტორან „ბერიკონისკენ“ გაემართნენ, იქ დაჯილდოების ცერემონიალი და ვახშამი ელოდათ.

ერთსაც ვიტყვი, აფერუმ, რუსეთის წარმომადგენელ, უეფას ინფორმატორად მოვლენილ სერგეი ბორისოვს. მან თავისი საქმე ხუთიანზე შეასრულა. კარგა ხანია, ჟურნალისტებს ასე კომფორტულად არ გვიგრძვნია თავი, ყოველგვარი ინფორმაციას ოპერატიულად გვაწვდიდნენ.

**გიორგი ვაშაძიძე**

*საბოლოო ცხრილი:*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ბაქო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| იუგი | 3 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 3 |
| მარმარა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |



ლევან გვაზავამ (№10) და კობა ოდიშარიამ კი მოინდომეს, მაგრამ თურქებს გოლი ვერ გაუტანეს

— ᲐᲞᲐᲙᲘჩ, პირველი კაცი ხარ, ვინც აზერბაიჯანელებს გვაქომაგე — ასე მიმართავდნენ გუშინ ეროვნულ სტადიონზე საქართველოს მოყვარულ ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელ ჯონი ჯანელიძეს მატჩის შემდეგ. როგორი ამბავია, ქართველები მეზობელ აზერბაიჯანელებს რომ ქომაგობენ. არადა, გუშინ ნამდვილად ასე იყო.

ეროვნულ სტადიონზე მისულთ დიდსა და პატარას, ჩინიანთ თუ უჩინოთ, ალბათ, ასე კარგა ხანია, არ გაუხარიათ. ბაქოელმა რუსლან დადაშევმა ბოლო წუთზე ბურთს ჭვინტი ჰკრა და... იღრიალა ორასიოდე ქართველმა. აზერბაიჯანელის გოლი იმას ნიშნავდა, რომ ევროპის ჩემპიონატზე მოყვარულთა შორის ქართველები გავიდნენ.

წყო ლოცვა, ნეტავ, რუსები და აზერბაიჯანელებიც დაუზავდნენ ერთმანეთსო. რომელიმეს მოგება ქართველებს გზას ულობავდა. ეგრემც აგიხდეთ ყოველივე, რაც გუშინ ქართველებს აუხდათ. ეროვნულის ტრიბუნაზე ასეთ საუბარსაც მოჰკრავდით ყურს — ჰა, როგორია, ფეხბურთს უყურებდე და იმას ნატრობდე, ნეტავ, გოლი საერთოდ არ გავიდესო. გაიტანა რუსმა ლიუხტმა 33-ე წუთზე ბურთი და მოგჭამათ ჭირი ოცნებამ. თუმცა, დადაშევის ოქროს ფეხი რომ არა, ქართველთა სირცხვილი მერე უნდა გენახათ, მოყვარულთა დონეზეც ველარ ვვარგობთო. მაგრამ ხომ გითხარით, ბაქოელმა დადაშევმა გვიშველა-მეთქი. სანამ იგი გოლს გაიტანდა, ყველამ

# კოლხეთი ნატოსთან ერთად

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ჩანს, ფოთის „კოლხეთში“ მომხდარი ამბები ამინდის პროგნოზივით იცვლება. ზღვისპირელები, ეტყობა, სერიოზულად ცდილობენ შარშანდელი „ცრვენა ზვეზდას“ სირცხვილის ჩამორეცხვას.

გუშინდელ „სარბიელში“ გაუწყეთ, „კოლხეთი“ და ბუბა ტყავაძე რომ ვერ მორიგდნენ. სამაგიეროდ, ფოთელებმა საინტერტოტოოდ ორი ისეთი ფეხბურთელი დაიგულეს, რომელთა გვარებიც დღეს ქართულ ფეხბურთში ასე თუ ისე ცნობილია. სამტრედიის „იბერიის“ აწ უკვე ყოფილი ნახევარმცველი დავით ხუჭუა და X ჩემპიონატში, თბილისის „დინამოში“ მეორე წრეში მობურთალი, ასევე ნახევარმცველი შოთა ჩომახიძე „კოლხეთში“ ითამაშებენ.

ამას წინათ „კოლხეთის“ მუდმივნომრიან შემადგენლობასაც გაეცანით, ახლა კი ზოგიერთებს ამ ნომრების შეცვლა მოუწევს. „კოლხეთის“ ტექნიკური დირექტორი ვახტანგ ხაინდრავა ამჟამად თურქეთში ყოფილა. იგი გუნდისთვის ეკიპირების პრობლემას აგვარებს. ჰოდა, დაზუსტებული სიაც მას ჰქონია. ამიტომაც მხოლოდ იმის გაგება შევძელით, რომ დავით ხუჭუა, სავარაუდოდ, 13 ნომერ მაისურას მოირგებს, შოთა ჩომახიძე კი 16-ს. ტყავაძისთვის შერჩეული 11 ნომერი მაისურა მცველ ლევან ანჯაფარიძეს რგებია, მისი №5 კი — ყოფილ 21-ე ნომერ ჯონი შალამბერიძეს.

ცვლილებაა „კოლხეთის“ მაკედონიაში გასაფრენ გეგმაშიც. კოლხები თბილისისკენ 17 ივნისს, ღამე გამოემართებიან, 18 ივნისს კი დილის 8 საათისთვის სკოპიეში ჩარტერით გაემგზავრებიან. ფოთელებს მაკედონიაში ერთგული გულშემატკივრებიც გაჰყვებიან, სულ ქართველთა დელეგაცია მაკედონიას 50 კაცით ეწვევა.

ჯერჯერობით არაა გადაწყვეტილი, სად დაბინავდებიან ჩვენებურნი. მაკედონიელებს შემოუთვლიათ, გუნდი ერთბაშად ორ სასტუმროში განაწილდება. მოგეხსენებათ, ჩვენთან ისეთი სიტუაციაა, სასტუმროები ნატოს ჯარებით არის გავსებულიო.

აქვე „კოლხეთის“ ეკიპირებაზეც გეტყვით. როგორც შევიტყვეთ, ფოთელები აწი „ადიდასის“ ფირმის მაისურას ჩაიცმევენ, ჯერჯერობით ისაა ცნობილი, რომ სათამაშო ფორმის ერთი კომპლექტი თეთრი იქნება. ექნებათ თუ არა ზღვისპირელებს სხვა ფერის აქსესუარი, ამას ვახტანგ ხაინდრავას თურქეთიდან ჩამოსვლის შემდგომ გავიგებთ.

**გიორგი ვაშაძიძე**

საქართველოს ჩემპიონატი

**გადათამაშება**
პირველ ჯგუფში გადასვლისა და ადგილის შესანარჩუნებელი მატჩი

თბილისი. „ეროვნული“. 16 ივნისი. 18 საათი

**თსუ — ღარწყალი**

# ეროვნულის ბოლო ეროვნულზე

1998-99 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ქართული საფეხბურთო სეზონი იწურება. ასეა, ოფიციალურად დღეს სეზონის ბოლო მატჩი გაიმართება. 18 საათზე თბილისის „ეროვნულზე“ თსუ და „ღარწყალი“ დაუპირისპირდებიან ერთურთს.

ინტრიგა? იცოცხლეთ. უხვად ახლავს ამ მატჩს. სხვა თუ არაფერი, ძველანაგელთა წარმატების შემთხვევაში უპრეცედენტო ფაქტი მოხდება ქართულ ფეხბურთში — სეზონის წინ შექმნილი სოფლის გუნდი რჩეულთა შორის მოხვდება. კაცმა არ იცის, რა შედეგით დასრულდება დღევანდელი შეხვედრა, მაგრამ აფერუმ, ძველანაგელთა მონდომებას. კლუბის მეპატრონეებმა იმდენი შეძლეს, რომ გუნდის თითოეული ფეხბურთელი მატერიალურად უზრუნველყვეს, ამას წინათ კი სტადიონის მშენებლობაც წამოიწყეს, უცხოეთში მინდვრის საგანგებო ბალახის საფარი შეიძინეს და ახალი სტადიონის გახსნასაც აგვისტოს ბოლოს იმედოვნებენ.

— გადმოვალთ თუ არ გადმოვალთ პირველ ლიგაში, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ძველანაგაში ფეხბურთის აღორძინებას კვლავაც განვაგრძობთ. სერიოზული გეგმები გვაქვს. პირველ რიგში ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ჩამოყალიბება გვინდა — თქვა „ღარწყალის“ პრეზიდენტმა ავთანდილ მანგოშვილმა. პატარა საქმე ხომ არ არის. ამის დაუნახაობა არ ეგების. ნურც ამ გუნდის სოფლურობას გავხდით პრობლემად, ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი სოფლური გუნდები. ფეხბურთი ხომ სოფელსაც ეკუთვნის და ქალაქსაც.

გეცოდინებათ, ამ მატჩის გამართვა რუსთავში იყო დაგეგმილი. როგორც გუშინ გაუწყეთ, „ღარწყალის“ ხელმძღვანელობა მატჩის გადადებას ითხოვდა. ერთი შეხედვით ძველანაგელებს საამისოდ საპატიო მიზეზიც ჰქონდათ. გუნდმა ხომ ოთხი დღის ინტერვალით ორი 120-წუთიანი მატჩი გამართა. ჩვენი ინფორმაციით, გუშინწინ კლუბის წარმომადგენლობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს შეხვდა... „ღარწყალის“ ვიცე-პრეზიდენტი აკაკი მჭედლიშვილი:

„ფედერაციაში შეგვპირდნენ, რომ შეხვედრას 20 ივნისისთვის გადაიტანდნენ და ამ იმედით გამოგვისტუმრეს. შემდეგ კი, როგორც გავიგეთ, ფედერაციაში ოთარ გაბელია მისულა და მატჩის წინასწარ განსაზღვრულ ვადაში ჩატარება მოუთხოვია და საწადელიც აუსრულებია“.

ვერც გაამტყუნებ ოთარ გაბელიას. თსუ-ს თავკაცს თავისი სამუშაო პროგრამა აქვს. გუნდის მზადება წინასწარ ჰქონდა განსაზღვრული. კვირას ამხანაგური მატჩიც გამართა „გორდასთან“ და, ბუნებრივია, ფეხბურთელებიც სათამაშოდ ჰყავს შეგუებულ-განწყობილი. თან ფსიქოლოგიური მომენტიცაა. ცოტა ძნელია 16-ში სათამაშოდ შემზადებული ფეხბურთელის ოთხი დღის შემდეგ გადაწყობა.

ფედერაციის კი მართლა გაგვკვირვებია. რა თქმა უნდა, სფფ უფლებამოსილია, ადრე მიღებული გადაწყვეტილება ძალაში დატოვოს. საკვირველი ისაა, „ღარწყალს“ ამაოდ რომ დაჰპირდნენ. თანაც შესაძლებელი იყო, ფედერაციაში ორივე გუნდის წარმომადგენლებს ერთად შეხვედროდნენ, იქნებ მაშინ უფრო მიეღწიათ კომპრომისისთვის და საამმატჩოდ ორივე გუნდი თანაბარ პირობებში ჩაეყენებინათ. ერთიც არის. პირადად ვერაფრით ავხსენი მატჩის ეროვნულ სტადიონზე გადატანის მიზეზი. თუ ამ გადაწყვეტილების შეცვლა შეიძლებოდა (მატჩი ხომ რუსთავში უნდა გამართულიყო), მაშინ... თანაც კლუბის (ღარწყალის) ვიცე-პრეზიდენტმა (იგი თბილისში იმყოფება) მატჩის წინადღეს „სარბიელის“ კორესპონდენტისგან არ უნდა შეიტყოს, რომ მის გუნდს „ფოლადის“ ნაცვლად „ეროვნულზე“ უწევს თამაში. საინტერესოა, წნორში შეკრებაზე მყოფმა ძველანაგელებმა თუ უწყიან ამ სიურპრიზის შესახებ.

ყოველივეს გათვალისწინებით, დღევანდელ შეხვედრაში „ღარწყალის“ შანსები მინიმალურია. თსუ ისედაც ფავორიტია. ბოლოს და ბოლოს გუნდს უმაღლეს დონეზე თამაშის (ჩვენს პირობებში, რა თქმა უნდა) მეტი გამოცდილება აქვს და უეჭველად რჩეულთა შორის დარჩენის ბოლო შანსს ბოლომდე გამოიყენებს, მაგრამ ისიც უდავოა, ძველანაგელები ბოლომდე თავგამოდებით იბრძოლებენ, მათ ხომ დასაკარგი არაფერი აქვთ, თანაც ქომაგთა თვალში უკვე გმირები არიან.

და მსაჯები... როგორც ჩანს, ჩვენში ნელ-ნელა მკვიდრდება მატჩის არბიტრების თამაშის დღეს გამოცხადება. ამ ნოვატორულ გადაწყვეტილებაზე უმალ მოგიძებნიან სამსაჯო-საინსპექტორო განყოფილებაში პასუხს, თურმე მსოფლიოს ჩემპიონატების გადამწყვეტ მატჩებზე თამაშის დღეს ცხადდება მსაჯთა ვინაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი იქით იყოს და დღევანდელი შეხვედრის განმსჯელებზე უდავოდ ბევრი რამ არის დამოკიდებული.

დღეს „ეროვნულზე“ სეზონის ბოლო მატჩი გაიმართება...

**პაატა ძვანტალიანი**



ბორის გონჩაროვს (№9) და თსუ-ს დღესაც დიდი ბრძოლა ელით



ბაჩო კიღილაძის ფოტო

„ტორპედოს" საფეხბურთო არენას ერთ თვეში ვერ იცნობთ...

# გივი კილაძე ბრაზილიურ ფერებში

ორი თვეც და მეათე ჩემპიონატის ვერცხლისმედალოსან და ქვეყნის თასის მფლობელ „ტორპედოს" პირველად თავის ისტორიაში უეფაზე მოუწევს ძალების მოსინჯვა. ევროტურნირისთვის და, საერთოდ, მომავალი სეზონისთვის მზადებას ქუთაისელები, როგორც იცით, ახალი მთავარი მწვრთნელის დავით ყიფიანის ხელმძღვანელობით შეუდგებიან. დადგენილიც იყო, წვრთნა ხვალიდან უნდა დაწყებულიყო, მაგრამ, ჩანს, ამ საქმეს ორი დღე მაინც დააგვიანდება. სფფ ხომ საზვალიოდ მეათე ჩემპიონატის რჩეული გუნდების დაჯილდოებას მართავს „ბერიკონში" და ტორპედოელებიც კუთვნილი ვერცხლის მედლების მისაღებად ჩავლენ თბილის ქალაქს.

„ტორპედოს" საევროპო სამზადისზე ბევრჯერ მოგვიწევს საუბარი. ამჯერად ქუთაისის მთავარ სპორტულ არენაზე — „გივი კილაძეზე" ვთქვათ. გუნდისა არ იყოს, სტადიონიც ხომ სრულ მზადყოფნაში უნდა შეხვდეს საპასუხისმგებლო ბატალიებს.

ამას წინათ ვწერდით, „გივი კილაძის" შესამოწმებლად უეფა-ს ბოსნიელი ინსპექტორი მეჰმედ სპახო იყო ჩამობრძანებული და ქუთაისური კლუბის მესვეურთ სტადიონზე ჩასატარებელ აუცილებელ სამუშაოთა საკმაოდ ვრცელი ნუსხა დაუტოვა.

მთავარი საკითხი. ტრიბუნებზე ძველი, დალეწილ-დამსხვრეულის ნაცვლად ახალი ინდივიდუალური სკამების დამონტაჟება. არსებულ პირობებში ყველაზე შრომატევადი და ძვირადღირებული სამუშაო. კლუბის მესვეურთ დრო უქმად არ დაუკარგავთ. მოსკოვიდან სკამების ჩამოსასხმელად საჭირო ნედლეულის — „კროშკის" პირველი პარტია (10 ტონა) ჩამოვიდა. ადგილზე, ქუთაისის სატრაქტორო ქარხანაში, რამდენიმე საცდელი ნიმუში დამზადდა. შარშანაც ამ საწარმოში ჩამოისხა 2 ათასზე მეტი სკამი, მაგრამ სად ძველი და სად ახალი. ამ ბოლოს სიმყარე ეჭვს ოდნავაც არ იწვევს, მთავარია, სწორად დამონტაჟდეს. გუშინ დასავლეთ ტრიბუნის ერთ-ერთ სექტორში ერთი თორმეტსკამიანი რიგი გამზადდა. წუნს ვერ დაუდებთ. სატრაქტორო დღეში 300 სკამზე მეტს ვერ ჩამოასხამს, მაგრამ ეს რაოდენობაც საკმარისია. ამ ტემპით შუა აგვისტოსთვის სკამები სრული მოცულობით დამზადდება. ჰო, მართლა, ნახსენები 10 ტონა ნედლეულით ლურჯი ფერის სკამები დამზადდება, მეორე ათი ტონა „კროშკით" კი, რომელიც უკვე გზაშია, ყვითელი ფერისა. ერთი სიტყვით, სტადიონი ბრაზილიურ ფერებში შეიმოსება. იმასაც გეტყვით, „გივი კილაძე", რომელიც აქამდე 23 800 მაყურებელს იტევდა, ინდივიდუალური სკამების სრულად დამონტაჟების შემდეგ 15 პროცენტით შევიწროვდება და სადღაც 20 000 კაცს მიიღებს. საუეფოდ ოცი ათასი სკამის დადგმა იქნებ ვერა და ნახევრისა კი უნდა მოესწროს.

გუშინ „გივი კილაძის" ხასხასა მწვანე გაზონზე ოთხი ტომარა მინერალური სასუქიც შეიტანეს. ეს გუშინ, დღეს კი დასრულდება 22 მეტრის სიღრმის არტეზიული ჭის გაბურღვა. სტადიონს წყლის პრობლემა საბოლოოდ მოეხსნება. სხვა რა? დაწყებულია ადმინისტრაციულ შენობაში არსებული სანიტარული კვანძების სარეკონსტრუქციო სამუშაოები. მათი ტემპი და, საერთოდ, სტადიონის არცთუ მრავალრიცხოვან მუშაკთა (კლუბი საკუთარი პერსონალით აპირებს „გივი კილაძის" წესრიგში მოყვანას) შემართება გვაფიქრებინებს, რომ ქუთაისელები თავს არ შეირცხვენენ, „ტორპედო" უეფას თამაშებს სადმე სხვაგან კი არა, მშობლიურ ქალაქში გამართავს.

**იუზა ბაციტაძე ქუთაისიდან**

# ნაბიჯ-ნაბიჯ მწვერვალისკენ

საქართველოში ბევრი გუნდი გვინახავს ერთწლიანი. იქმნებოდა კლუბი, ისახებოდა მაღალი მიზანი, იხარჯებოდა დიდი ფული, რომელიც სეზონის ბოლოს, რა თქმა უნდა, ქარს მიჰქონდა და კვდებოდა გუნდი.

ერთწლიანებიდან დღემდე თითოოროლამ თუ მოაღწია. რატომ ხდებოდა ასე? იმიტომ რომ, სოფელი ერთ დღეში არსად აშენებულა.

რატომღაც არ გვგონია, მსგავსი „ვიტ ჯორჯიას" დაემართოს. კლუბი არ შექმნილა საძირკვლის გარეშე. ტრადიციაც ჰქონდა და საკმარისი გამოცდილებაც. საქმეს თავიანი ხალხი უძღვება, რომლებსაც მყარად გადაუწყვეტიათ, დაწყებული ბოლომდე მიიყვანონ. ამას მყარი ფინანსური საფუძველი და მხარდაჭერა დაუმატეთ და ნათელი გახდება, როგორ ვითარდება კლუბი.

„ვიტ ჯორჯია" ის ნერგია, რომელიც ძალიან ნაყოფიერ ნიადაგში მოხვდა და არც მზრუნველი ხელი აკლია.

ვიტელებმა გასულ ჩემპიონატში რამდენიმე სიურპრიზი შემოგვთავაზეს, სპეციალისტებმაც მომავლის გუნდად მონათლეს. ისინი 20 ივნისს შეიკრიბებიან და ახალი ჩემპიონატისთვის მზადებასაც შეუდგებიან.

„ვიტ ჯორჯიამ" შეინარჩუნა ყველა ფეხბურთელი. ეს იმას ნიშნავს, რომ კლუბი ერთი წლით დაბრძენდა, გამოცდილება მოემატა. არავის დავუტოვებივართ, გვითხრა კლუბის პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ, პირიქით, ათიოდ ახალ მოთამაშეს ვაკვირდებოდით და იქნებ 2-3 მათგანი კლუბში ჩავრიცხოთ.

რა თქმა უნდა, ვიტელთა ძირითადი ბირთვი ჩამოყალიბებულია და ამიტომ არც ის არის გამორიცხული, ხელმძღვანელობამ რამდენიმე ფეხბურთელი გაანათხოვროს. მხოლოდ ვარჯიშით რომ მოთამაშე ვერ მოუმატებს, ფაქტია.

21 ივნისიდან, ვარჯიშების პარალელურად, „ვიტ ჯორჯიას" თითოეული ფეხბურთელი საფუძვლიან სამედიცინო შემოწმებას გაივლის, 28 ივნისიდან კი გუნდი ბაკურიანს გაემგზავრება 12-დღიან სამზადისზე. შემდეგ ვარჯიშები თბილისში განახლდება, რასაც ისევ შეკრება შეცვლის, ამჯერად ორკვირიანი.

კლუბს ამიერიდან ახალი ოფისი ექნება. აქამდე თუ ფირმის ოფისთან იყვნენ თავშეფარებულები, აწი თამარაშვილის ქუჩაზე გადაინაცვლებენ. ფირმა SISTEM+-მა ამისთვის 80 კვადრატული მეტრი ფართი გამოყო. ყველანაირი შეხვედრა და კლუბის საჭირბოროტო საკითხები იქ გადაწყდება.

ბოლოს მწვრთნელთა კორპუსზეც ვთქვათ. მას შემდეგ, რაც კლუბის ხელმძღვანელებმა არადამაკმაყოფილებელი შედეგისთვის მწვრთნელი ჯემალ მახარაშვილი დაითხოვეს, თავკაცის მოვალეობას სერგო კოტრიკაძე ასრულებდა. მეორე წრეში „ვიტ ჯორჯიამ" თამაში საგრძნობლად გააუმჯობესა. ჰოდა, რაღა გასაკვირია, ოფიციალურად ბატონ სერგოს რომ ჩააბარეს გუნდის საჭე. მთავარი მწვრთნელის პრობლემაც იოლად გადაიჭრა.

ტექნიკური დირექტორი ვლადიმერ ხაჩიძე იქნება. მისი გაწვრთნილი „ივერია" ბევრს ახსოვს. ერთი ხანობა ზუგდიდურ „ოდიშშიც" იმუშავა, ფეხბურთელებს ფიზიკურად ამზადებდა. ხაჩიძე „ვიტ ჯორჯიაში" მოთამაშეთა ფიზიკურ-ტაქტიკურ-ტექნიკური მომზადებით იქნება დაკავებული.

ვიტელებს კიდევ ერთი მწვრთნელი შეემატათ. სულ ახლო წარსულში ვეფხია გვენცაძე ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი გამოცდილი და სტაბილური მეკარე გახლდათ. მან აქტიური საფეხბურთო კარიერა უკვე დაასრულა და ახლა ვიტელ მეკარეებს გაწვრთნის.

კლუბის ხელმძღვანელები მცხეთის „არმაზის" კეთილმოწყობასაც აპირებენ, ფარმ-კლუბის ჩამოყალიბებაც ფაქტობრივად დასრულებულია, მაგრამ რახან ეს მომავლის საქმეა, დაწვრილებით ამაზე მერე მოგითხრობთ.

ფაქტი კი ერთია, ეროვნულ ჩემპიონატს ერთი სოლიდური გუნდი შეემატა.

**მამუკა კვანტალიანი**

# ბათუმი ხუთ დღესაც მოიცდის

გუშინ ბათუმიდან ახალ-ახალი ამბების შეტყობას რომ ველოდით, ასე არ მოხდა. კლუბის კრება, რომელიც 15 ივნისს იყო დაგეგმილი და ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტას ველოდით, ხუთი დღით გადაიდო. „ბათუმის" პრეზიდენტ თემურ ბეჟანიძის თქმით, კლუბის უფროსობა, ფეხბურთელებ-მწვრთნელებიანად, კვირას შეიკრიბება.

სავარაუდოდ, ამავე კრებაზე გაირკვევა „ბათუმის" მომავალი თავკაცის ვინაობა. როგორც ადრე ვიუწყებოდით, მოსალოდნელია, რომ მწვრთნელი შოთა ჭეიშვილი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლონ და მის ნაცვლად ბათუმელთა გაწვრთნა იტალიელ, ვინმე მარჩელო მანჩინის სთხოვონ. როგორც გავიგეთ, საკვირაო შეკრებას ისიც დაესწრება.

**კობა ინასარიძე**

# ყველგან დემეტრაძე

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ვლადიკავკაზის „ალანიას" ფორვარდი გიორგი დემეტრაძე, რუსეთის ჩემპიონატის ათი ტურის მონაცემებით გაზეთმა „სპორტ-ექსპრესმა" საუკეთესოდ აღიარა.

მართალია, დემემ მხოლოდ ცხრა შეხვედრა ჩაატარა, მაგრამ საშუალოდ ყველაზე მაღალი შეფასება (6,72) დაიმსახურა. მეორე და მესამე ადგილები ლოკომოტიველმა ალექსეი სმერტინმა (6,70) და სპარტაკელმა ანდრეი ტიხონოვმა (6,62) გაინაწილეს.

დემეტრაძე პირველია „მეორე თავდამსხმელის" ნომინაციაშიც. რუსული ფეხბურთის ბოლოდროინდელი აღმოჩენა ზენიტელი ალექსანდრე პანოვი ჩვენებურს 0,15 ქულით ჩამორჩა.

„ალანიას" თავდამსხმელი რუსეთის ჩემპიონატის ლეგიონერებს შორისაც უკონკურენტოდ ლიდერობს. სასიხარულოა, რომ საუკეთესო უცხოელთა ხუთეულში კიდევ ორი ჩვენი თანამემამულე მოხვდა. მესამე ადგილზე დამკვიდრდა დემეტრაძის თანაგუნდელი მამუკა წერეთელი. ხუთკაციანი სია კი 1998-99 წლების სეზონის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელმა ზაზა ჯანაშიამ დააგვირგვინა. ჯანაშიამ ერთი საფეხურით მაღალი ადგილი დაიკავა „პირველ თავდამსხმელთა" შორის, რომელთაგან ყველაზე გამორჩეულად სპარტაკელი სერგეი იურანი დაასახელეს.

რაც შეეხება მამუკა წერეთელს, ჩვენი ქვეყნის ეროვნული ნაკრებისა და „ალანიას" ტანმაღალი მცველი რუსეთის გათამაშების საუკეთესო 21-წლამდელადაც აღიარეს.

„ლიბეროს" ნომინაციაში კი წერეთელი მხოლოდ ტორპედოელ ვიაჩესლავ დაევს ჩამორჩა.

როგორც ხედავთ, ქართული საფეხბურთო სკოლის წარმომადგენლებმა ჩრდილოეთის საფეხბურთო სამყარო დაიპყრეს. ორმაგად სასიხარულოა ის, რომ ყოველივეს თავად რუსი სპორტული ჟურნალისტები და სპეციალისტები აღიარებენ.

**ხვიჩა სანიკიძე**

# ისევ ლოდინი



ირაკლი ნიქოლაძის ფოტო

დავით მუჯირი

ეროვნული ჩემპიონატის 1997-98 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი, დინამოელი დავით მუჯირი კვლავ სოლიდური ტრანსფერის მოლოდინშია.

მუჯირმა ჯერ კიდევ შარშან, შემოდგომის მიწურულს, გადაწყვიტა საქართველოს გათამაშებას გასცლოდა. დეკემბერში მუჯირს იტალიური „იუვენტუსის" მესვეურები დაუკავშირდნენ და ფეხბურთელიც ერთი თვის განმავლობაში ელოდა „ბებერი ქალბატონის" ხელმძღვანელთა კონკრეტულ წინადადებას. თუმც, როგორც გაირკვა, იტალიელები მუჯირს „იუვენტუსის" ახალგაზრდულ გუნდში სათამაშოდ ეპატიჟებოდნენ. მუჯირმა ეს იუარა და ყველასთვის მოულოდნელად ამერიკაში ამოყო თავი, იქაურ მეიჯორ ლიგის ნიუ-იორკის „მეტროსტარზში" სცადა კარიერის გაგრძელება. კლუბის იუგოსლაველ თავკაცს, ცნობილ სპეციალისტ ბორა მილუტინოვიჩს ჩვენებურის გუნდში ჩარიცხვის სურვილიც გამოუთქვამს, მაგრამ, როგორც ჩანს, „დინამოს" მესვეურებმა მუჯირის სანაცვლოდ სოლიდური თანხა მოითხოვეს და ტრანსფერიც არ შედგა.

საქართველოში დაბრუნებულ მუჯირს მეათე ეროვნულის მეორე წრე დაწყებული დახვდა. „დინამოს" მწვრთნელობამ მის გუნდში აღდგენაზე უარი თქვა და ფეხბურთელიც უგუნდოდ იყო. თუმცა „ლოკომოტივი" შეეხმიანა უმალ და სეზონის ბოლომდე განათხოვრების პრინციპით მუჯირი რკინიგზელთა რიგებში ჩაირიცხა.

გუშინ ფეხბურთელს მომავლის გეგმებზე დავეკითხეთ:

— მოგეხსენებათ, „დინამოს" საკუთრება ვარ და რკინიგზელთა გუნდში მაისის ბოლომდე ვიყავი განათხოვრებული. „ლოკომოტივიდან" წამოვედი და ახლა ინდივიდუალურად ვვარჯიშობ. რაც შეეხება მომავალს, ჩემით რამდენიმე უცხოური კლუბი დაინტერესდა და კონკრეტულ წინადადებებს ველი. თვის ბოლოსთვის ყველაფერი გაირკვევა. ჯერჯერობით ვერ გაგიმხელთ იმ გუნდებს, რომლებიც ჩემთან მოლაპარაკებას ცდილობენ. ისე, ერთს გეტყვით, საკმაოდ სოლიდური ევროპული კლუბებია — გვითხრა დავით მუჯირმა.

**ხვიჩა სანიკიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მურთაზ ხურცილავა ინტერვიუებზე თითქმის არასოდეს ამბობს უარს. მით უმეტეს, ამ მომენტისთვის იგი ერთდროულადაა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და თბილისის „ლოკომოტივის“ მწვრთნელი. ბუნებრივია, სალაპარაკოც ბევრი აქვს ბატონ მურთაზს, მაგრამ „სარბიელთან“ მისი საუბარი არც „ლოკომოტივით“ დაგვიწყია და არც ნაკრებით. ჩვენი ინტერვიუს მთავარი თემა ზაზა ჯანაშია და ამ ბოლო დროს მასთან დაკავშირებული ამბები გახდა. აღსანიშნავია ისიც, რომ გუშინდელი საუბრის ინიციატორი თავად მურთაზ ხურცილავა გახლდათ.

# მურთაზ ხურცილავა: ზაზა ჯანაშიას ნაკრებიდან მოკვეთა შეცდომაა

**— ბატონო მურთაზ, ზაზა ჯანაშია მართლაც რომ თქვენს ხელშია გაზრდილი და ამიტომაც არ გაგვკვირვებია, მასზე საუბარი რომ მოინდომეთ...**

— დავიწყებ იმით, რომ მე სერიოზულად ვარ შეშფოთებული იმ აჟიოტაჟით, რაც ამ ბოლო ხანებში ზაზა ჯანაშიასა და მისი სანაკრებო კარიერის ირგვლივ შეიქმნა. მხედველობაში მაქვს ძირითადად პრესაში გამოქვეყნებული მასალები, განსაკუთრებით კი ის გამონათქვამები, რასაც ზაზასთან მიმართებაში ხმარობენ — „გააძევეს, გააგდეს“ და სხვა ამგვარი. ნუთუ ქართულ ენაში დაილია შესაფერისი სიტყვები. რა, „ჯანაშია ნაკრებიდან დაითხოვეს“, ანაც „ჯანაშია ბოსკამპმა დასაჯა“ ნაკლებად გამოხატავს სათქმელას?!

ჩემს პოზიციას ნურავინ მიიღებს ისე, თითქოს ბოსკამპის საწინააღმდეგო მქონდეს რამე. მე პირველი მივესალმე ჩვენში ჰოლანდიელი სპეციალისტის ჩამოსვლას და არც ჯანაშიასთან ვამტყუნებ ბოსკამპს. იგი მწვრთნელია, გუნდში მისი სიტყვა კანონია. მეტსაც გეტყვით, მის ადგილზე არანაკლებ მკაცრად მოვიქცეოდი. ჩემთვის გაუგებარი მხოლოდ პრესაში ატეხილი აურზაურია. იმდენი და იმგვარად იწერება, გინდა არ გინდა ფიქრში და ეჭვში ჩაგაგდებს კაცს. მე ვიტყვი და არც მეშინია ამის თქმა — ეს არის პროვოკაცია, ყველას ვერ ვაკადრებ და, ეტყობა, არსებობს ხალხი, ვინც ამას აკეთებს და ვისაც არ უნდა, ზაზა ჯანაშიამ ეროვნულ ნაკრებში ითამაშოს.

**— არადა, იგი ჰაერივით სჭირდება ნაკრებს...**

— რასაკვირველია, ჯანაშია უნიჭიერესი ფეხბურთელია. მე მისი ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში მჯეროდა. მას აქვს რთული, გამოუცნობი ხასიათი, მაგრამ იგი ფეხბურთელია. ვიმეორებ — ფეხბურთელი, რომელიც თავისი თამაშით, ნიჭით, მნიშვნელობით მაღალი კლასის გუნდებსაც დააკმაყოფილებს. ისევ პრესის გამონათქვამებს მივუბრუნდები — იშვიათად, თითქმის არ მხვდება პოზიცია (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა), რომელიც ჯანაშიას მხარეს დაიჭერდა. არადა, დამიჯერეთ, ჯანაშიასგან ვარჯიშის დროს ზერელეობა გამორიცხულია. იგი ვარჯიშისას ბოლომდე იხარჯება. თავად ვიყავი მისი მწვრთნელი, თავად ვაკონტროლებდი მის ნებისმიერ საქციელს და საწინააღმდეგოში ვერავინ დამარწმუნებს.

**— არადა, ბოსკამპმა თქვა, რომ სწორედ ამისთვის დაითხოვა ნაკრებიდან...**

— მე ბოსკამპს არ ვუპირისპირდები — ამას ერთხელაც ვუსვამ ხაზს, მაგრამ ის, რაც ზაზას დაემართა, არ არის მარტო მისი ბრალი. დავუშვათ, მწვრთნელმა ფეხბურთელი დასაჯა — ეს მისი საქმეა და ამაში ვერავინ შეეწინააღმდეგება, მაგრამ გააჩნია, როგორ დასჯი ფეხბურთელს. ჯანაშიას მოექცნენ ისე, თვითონაც არ იცოდა, რა მოელოდა — თუკი ზაზა დაისაჯა ნორვეგიასთან თამაშის გამოტოვებით, მაშინ იგი ან თან უნდა წაეყვანათ ნორვეგიაში, ანაც რომელიმე მწვრთნელისთვის უნდა დაეტოვებინათ. გეკითხებით, რა უნდა ეკეთებინა ჯანაშიას მარტოს ბაზაზე? არაა ისე აწყობილი საქმე, როგორც ბევრს ჰგონია. დავუშვათ მეორე ვარიანტიც — რომ ბოსკამპი ჯანაშიას არც საბერძნეთან ათამაშებდა, მაშინ საერთოდ აღარ ჰქონდა აზრი მის საქართველოში, ბაზაზე დარჩენას. სიმართლე ეს არის.

**— თვითონ ზაზას თუ ელაპარაკეთ?**

— მოსკოვში წასვლის წინ ჯანაშია მოვიდა ჩემთან. არ იფიქროთ, მოვეფერე და დავუყვავე, პირიქით, სიმართლე ვუთხარი, ის, რაც ეკუთვნის და რასაც იმსახურებდა.

**— მაინც, ხომ არ დააკონკრეტებდით, ბატონო მურთაზ?**

— რა თქმა უნდა, გავამტყუნე. ვუთხარი, რომ საქართველოს ნაკრები არც ბოსკამპისაა და არც ხურცილავასი, რომ მასში თამაში პირველ რიგში ფეხბურთელისთვისაა პატივი და ღირსება. იმ დღეს, 5 ივნისს, საბერძნეთთან მატჩისას, სტადიონზე 5000 კაცი მაინც მივიდოდა, ვისაც შენი პატივისცემა გააჩნია და შენს ფეხბურთს აფასებს-მეთქი. ფეხბურთელისთვის კი ყველაზე მაღლა ეს უნდა იდგეს.

**— ნაკრებიდან დათხოვნის შემდეგ ჩვენც ველაპარაკეთ ფეხბურთელს. გულდაწყვეტილია ზაზა...**

— რასაკვირველია, გულდაწყვეტილია. მას უნდა ნაკრებში თამაში. თანაც ფსიქოლოგიური მომენტიც გაითვალისწინეთ — კარგად მიუდის საქმეები გუნდში, გოლი გაუტანა „ლაციოს“, მთელ მოსკოვს პირზე მისი სიძლიერე აკერია, ნაკრებშიც რამდენი ითამაშა, იმდენჯერ გაიტანა, ერთი სიტყვით, აზარტში შევიდა. მერე იმასაც ხვდება, რომ ეროვნულ ნაკრებში დაფასებულ ფეხბურთელებს ევროპაშიც მეტი პატივით ეპყრობიან. აქედან გამომდინარე, ბუნებრივიცაა, რომ გულდაწყვეტილია. პრესამ კი, იმის ნაცვლად, რომ სიტყვა შეეშველებინა ფეხბურთელისთვის, პირიქით, ცეცხლზე ნავთი დაასხა. არადა, ქეცბაია-გუცაევის კონფლიქტისას არ მომხდარა ასე, მასმედიაში თემურსაც ჰყავდა მხარდამჭერები და გუცაევსაც...

**— ახლაც ასეა, ბატონო მურთაზ. „სარბიელმა“ პრესკონფერენციაზეც დაუკონკრეტა ბოსკამპს, რომ ჯანაშიას ნაკრებიდან ხელაღებით მოკვეთა შეცდომაა. მან ზაზას შანსი უნდა მისცეს...**

— არც შეიძლება სხვანაირად. სხვა შემთხვევაში შეიძლება ჯანაშია დავკარგოთ. უფრო სწორად, იგი იარსებებს როგორც ფეხბურთელი, მაგრამ არა საქართველოსთვის. მერწმუნეთ, გამოჩნდება ხალხი, ვინც ჯანაშიას სათავისოდ გამოიყენებს. გამორიცხული არაფერია.

**— მერე ზაზა ჯანაშია რა აზრის იქნება ამაზე?**

— ზაზა პატრიოტი კაცია. ვინც მას იცნობს, ეჭვს ვერ შეიტანს მის ერთგულებასა და კეთილკაცობაში, მაგრამ ამდენი რამის მერე შეიძლება გამოჩნდეს ბოროტი კაცი, წინ ქართული გაზეთები დაუწყოს და უთხრას — აი, ზაზა, ნახე, რას წერენ შენზეო. მე სერიოზულად მეშინია, ჯანაშიამ საპასუხოდ საერთოდ უარი არ თქვას სამშობლოში ჩამოსვლაზე.

**— ბატონო მურთაზ, ჯანაშიას პატარა ბიჭობიდან იცნობდით, გასაგებია, რომ გული შეგტკივათ მასზე. მართალია ისიც, რომ მის კარიერას ხავერდოვანს ვერ დავარქმევთ, მაგრამ ამაში თავადაც მიუძღვის წვლილი, აკი გვითხრა კიდეც, ჩემი თავის მტერი ვარო. თქვენი მწვრთნელობისას, როგორ ისჯებოდა ზაზა რეჟიმის დარღვევისთვის?**

— დარღვევაა და დარღვევაც. ჯანაშიას არასდროს არ მოსდიოდა ეს სიბოროტით, წინასწარ გამიზნულად. ერთ მაგალითს გეტყვით. როცა ზაზა შევარდენში მივიღე, კონტროლზე ავიყვანე. ყოველ წუთს ვიცოდი, სად, რას, როდის აკეთებდა. ერთხელაც ვარჯიშზე დამიგვიანა — გავცოფდი კაცი. იმწამსვე კაცი ვაფრინე და როგორ გგონიათ, სად იყო? სახლიდან ვარჯიშზე წამოსულს, გზაში პატარა ბიჭებთან ბურთაობა გაუმართავს და ისე გართულა, ვარჯიში სულ გადავიწყებია. რომ ვუსაყვედურე, გავერთეო — არ დაუმალავს. აი, ასეთია.

ახლა ბევრს საუბრობენ მისი ზედმეტი წონისადმი მიდრეკილებაზე. ამაზეც კონტროლი დავუწესე. საკვებსაც ვუზღუდავდი და მზარეულსაც ვავალებდი, ზედმეტი არასდროს მიეცა. კი ჯუჯღურობდა ამაზე — არაფერს მიშლისო, თქვენ თურმე ათკილოგრამიანი ზედმეტი წონით თამაშობდითო, მაგრამ მაინც მემორჩილებოდა.

**— ბატონო მურთაზ, იცით, რა არის სასიამოვნო თქვენს საუბარში? ამბობთ იმას, რასაც ფიქრობთ და ეს თქვენი ნათქვამი არ ემთხვევა სხვების პოზიციას.**

— გული მტკივა და ამადაც ჩანს, რომ სხვანაირი პოზიცია მაქვს. არა მგონია, ვინმე კამათობდეს იმ საკითხზე, რომ ჯანაშია ამ დროისთვის ნაკრებს და საქართველოს სჭირდება.

**— ნიჭიერებასთან ერთად რას თვლით ჯანაშიას მთავარ ღირსებად?**

— უშიშარი ფეხბურთელია. არ მახსოვს, მინდორზე ვისიმე შიშით ეთამაშოს. გეხსომებათ 1994 წელი, როცა „დინამოს“ პაიჭაძეზე 2:1 მოვუგეთ. მაშინ შელია ეროვნული ნაკრების მცველი და წამყვანი ფეხბურთელი იყო. ჰოდა, ჯანაშიას ვეუბნები, ფრთხილად იყავი, ნუ ინერვიულებ და ამგვარი რაღაცეები. თქვენც არ მომიკვდეთ, ჩვიდმეტი წლის ბიჭს მეტოქის შიში არ ჰქონოდეს, ასეთი არ მინახავს. იგივე მოხდა მერე მოსკოვის „ტორპედოსა“ და „ლოკომოტივთან“. ფეხბურთელი ასეთი უნდა იყოს.

**— სულ ორიოდე დღეა, „ლოკომოტივის“ მწვრთნელად დაინიშნეთ. ჯანაშიაზე ამდენი ვისაუბრეთ და ახალ გუნდზეც არ ვთქვათ, არ იქნება ლამაზი...**

— იცით, რა მსიამოვნებს ყველაზე უფრო? „ლოკომოტივს“ შეფობს ხალხი, რომელსაც ესმის ფეხბურთი და უნდა, რომ ბევრი გაილოს გუნდისთვის. მე ველაპარაკე აკაკი ჩხაიძეს და დიდი იმედიც მაქვს, რომ „ლოკომოტივი“ ბევრს მიაღწევს. მხარდაჭერა, ხელისშეწყობა, პირობები მექნება, გუნდის გაკეთება კი ჩემი საქმეა. ალბათ ნახავდით, სამუშაოები დაწყებულია სტადიონზე, მოლაპარაკება მიმდინარეობს ბაზაზე მცხოვრებ ლტოლვილებთანაც. რკინიგზის დეპარტამენტს ფეხბურთთან დაკავშირებით სერიოზული მიზნები აქვს და ამ ხალხის საქმისადმი დამოკიდებულებას რომ ვუყურებ, მჯერა, თავისას გააკეთებენ.

**— „ლოკომოტივში“ ოცდაათზე მეტი ფეხბურთელი ირიცხება, როგორი იქნება თქვენი საკადრო პოლიტიკა?**

— რა თქმა უნდა, გარკვეულ ცვლილებებს მოვახდენ. ვინც ჩემს მოთხოვნას დააკმაყოფილებს, დარჩება. სხვებს ახალი გუნდის ძებნა მოუწევთ. გამორიცხული არ არის, ახალი ფეხბურთელებიც მოვიყვანო. ერთი სიტყვით, გავაკეთებ იმას, რაც ადრე მიკეთებია — შევუდგები გუნდის კეთებას. 18 ივნისს წარმადგენენ, მერე შეკრებას გავივლით და ეროვნულ ჩემპიონატსა და უეფას თასსაც მზადყოფნაში შევხვდებით.

**— წარმატებებს გისურვებთ გუნდშიც და ნაკრებშიც, მაგრამ ეს უკანასკნელი უმთავრესია.**

— ამჟამად შესვენებაა და ძირითადად გაგონილი ამბებით ვკმაყოფილდებით. ისე, ახალგაზრდულ ნაკრებშიც ბევრი რამაა შესაცვლელი, რამდენიმე ახალ გვარსაც გაგაგონებთ. ვფიქრობდი, შვეციაშიც გავყოლოდი კოპალეიშვილის გუნდს, მაგრამ „ლოკომოტივში“ დავიწყე მუშაობა და იქ ჩემი წასვლა გამოირიცხა.

**— ამ გადასახედიდან გუნდის გამოსვლას როგორ შეაფასებდით ლილესტრიომსა და თბილისში?**

— ორივე მოსაგები თამაში იყო. ამ ბიჭების გჯეროდეთ, ისინი ბევრს მიაღწევენ, ოღონდ შრომაა საჭირო.

მამუკა კვანტალიანი
კონსტანტინე გოგიშვილი



ზაზა ჯანაშიას მარტო ჩხუბი როდი ეხერხება

# გესქოინს კარი გაუღეს



პოლ გესქოინი

ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა კევინ კიგანმა განაცხადა, რომ პოლ გესქოინისთვის მისი გუნდის კარი კვლავ ღიაა.

გაზა, ინგლისელთა კერპი, შესაძლოა ნაკრებში დაბრუნდეს. ინგლისელებს გესქოინის ეიმედებათ და თავად ფეხბურთელსაც სწამს, რომ ქვეყნის პირველი გუნდის დახმარებას შეძლებს.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ინგლისელებმა ბოლო ორი მატჩი ფრედ დაასრულეს. მათი კონტინენტის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსები ძალიან შემცირდა. შემოდგომაზე ინგლისელებს დაძაბული თამაშები ელით. გესქოინი კი ალბიონზე მხსნელად ესახებათ.

— ახლა ყველაფერი გესქოინზეა დამოკიდებული. თუ ამ ზაფხულს იგი იშრომებს და სათანადო დონეს მიაღწევს, ინგლისის ნაკრებში დაბრუნდება — განაცხადა კევინ კიგანმა. გაზეთმა „სანდიმ" გამოაქვეყნა იმავე კიგანის ინტერვიუ, რომელშიც მწვრთნელი პოლს ნიჭიერ ფეხბურთელს უწოდებს და გაზასა და ინგლისის ნაკრების ურთიერთშერწყმის აუცილებლობაზე საუბრობს.

წელიწადზე მეტია, პოლ გესქოინს ინგლისის ნაკრებში არ უთამაშია. „მიდლსბროს" ნახევარმცველი გასულ წელს, ზედ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, ნაკრების მიღმა დატოვა გლენ ჰოდლმა. მაშინ მწვრთნელის ეს გადაწყვეტილება ინგლისში სენსაციად აღიქვეს, თუმცა მოგვიანებით...

— დღეს ინგლისის ნაკრებს რომ უჭირს, ეს ახალი ამბავი არაა. ჩვენს გუნდს ფანტაზია აკლია. გესქოინს კი, ვფიქრობ, შესწევს ძალა, გაამრავალფეროვნოს თამაში. მისი მოულოდნელი გადაწყვეტილებანი, არაფრიდან სახიფათო მომენტების შექმნის უნარი, ინგლისის ნაკრებს უეჭველად წაადგება — ისევ კიგანი.

ერთი სიტყვით, ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთელზეა დამოკიდებული. დაიმსახურებს გესქოინი ნაკრებში თამაშს, ათამაშებენ, არა და...

კიგანისივე თქმით, მიუხედავად იმისა, გავა თუ არა ინგლისი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, იგი ნაკრების მწვრთნელად მაინც დარჩება.

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისის** პირველი დივიზიონის კლუბ „შეფილდ იუნაიტედს" გაისად ადრიან ჰიტი გაწვრთნის. აღსანიშნავია, რომ 38 წლის ჰიტი აქამდე შეფილდელთა თავკაცის, სტივ ბრიუსის ასისტენტი იყო, რომელიც გუნდიდან სეზონის დასრულებისთანავე ნებაყოფლობით წავიდა.

**საფრანგეთის ეროვნული ნაკრების მცველი ალან გომა 7,5 მილიონ დოლარად პარიზული პსჟ-დან ინგლისურ „ნიუკასლ იუნაიტედში" გადავიდა. 26 წლის ფეხბურთელმა „ნიუკასლთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.**

**ბარზილიელი** სონი ანდერსონი, შესაძლოა, „ბარსელონადან" ფრანგულ „ლიონში" გადავიდეს. „მოხარული ვიქნები, თუ სონი ჩვენთან ითამაშებს, მასთან უკვე მივაღწიე შეთანხმებას და კონტრაქტის გაფორმებამდე ბევრი არაფერია დარჩენილი" — განაცხადა „ლიონის" პრეზიდენტმა ჟან-მიშელ ოლამ.

**ინგლისის ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა — „ლივერპულმა" ჰოლანდიური არნემის „ვიტესისგან" მეკარე სანდერ ვესტერველდი შეიძინა. 24 წლის ფეხბურთელში, რომლის დებიუტიც ნარინჯისფერთა შემადგენლობაში წინა კვირას შედგა, ლივერპულულმა გუნდმა 6,4 მილიონი დოლარი გაიღო. ჰოლანდიელი მეკარე „ლივერპულისთვის" რიგით მეცხრე შენაძენია მას შემდეგ, რაც კლუბს ფრანგი ჟერარ ულიე ჩაუდგა სათავეში. აღსანიშნავია, რომ სანდერ ვესტერველდი პრემიერლიგის ყველა დროის უძვირფასესი მეკარეა. აქამდე ამ სტატუსს სტივ სიმონსენი ფლობდა, რომელშიც „ევერტონმა" შარშან „ტრანმერს" 5,3 მილიონი დოლარი გადაუხადა.**

**ინგლისის** ყველაზე ახალგაზრდულმა კლუბმა „ლიდსმა" შესაძლოა „ჩარლტონის" მცველი დენი მილსი შეიძინოს. კლუბები უკვე ფასზეც მორიგდნენ და თუ გარიგება შედგა, ლიდსელები მილსის სანაცვლოდ 6,39 მილიონ დოლარს გაიღებენ. „შეთანხმებას მივაღწიეთ, მთავარია, დენი ჯანმრთელი აღმოჩნდეს, თუმც, ვგონებ, ასეც იქნება. ამ შემთხვევაში კი კონტრაქტის გაფორმებას წინ ვერაფერი დაუდგება" — განაცხადა „ლიდსის" ერთ-ერთმა მფლობელმა პიტერ რაიდსდეილმა.

# ოკეანია პირდაპირ. მაგრამ როდის?

ფიფა დებულების შეცვლას აპირებს. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, ოკეანიის ზონაში გამარჯვებული ნაკრები პირადპირ (გადათამაშების გარეშე) გავა შეჯიბრების ფინალურ ეტაპზე, მაგრამ ეს ცვლილება 2002 წლის პირველობას არ შეეხება.

მოგეხსენებათ, დღევანდელი კანონებით, ოკეანიის გამარჯვებული, იმისათვის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდეს, პლეი ოფში უნდა გაეჯიბროს სხვა კონფედერაციის შესარჩევი შეჯიბრების ისეთ ქვეყანას, რომელმაც პირდაპირი საგზური ვერ მოიპოვა.

ფიფას გენერალურმა მდივანმა, მიშელ ზენ-რუფინენმა, ამასთან დაკავშირებით, ავსტრალიურ „დეილი ტელეგრაფს" განუცხადა:

— ის, რომ ოკეანიის გამარჯვებული სხვა კონფედერაციის გუნდს პლეი ოფში უნდა შეხვდეს, ალოგიკურია. ოკეანია დამოუკიდებელი კონფედერაციაა და მას დამოუკიდებელი საგზური ეკუთვნის.

ავსტრალიის ნაკრებმა (როგორც ოკეანიის ზონის გამარჯვებულმა) 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში პლეი ოფი შოტლანდიასთან წააგო, 1994 წელს არგენტინასთან, ხოლო 1998-ში ირანთან.

— ჩვენ უკვე ვმუშაობთ ოკეანიის პრობლემაზე და იმედი მაქვს, რომ იგი შეძლებისდაგვარად მალე მოგვარდება, ოღონდ, ამას ისე ნუ გაიგებთ, თითქოს 2002 წელს, იაპონია — კორეაში, ამ რეგიონის გუნდი პირდაპირ, პლეი ოფის გარეშე გაემგზავრება. ამის შანსი ორმოცდაათი ორმოცდაათზეა — დასძინა ზენ-რუფინენმა.



ფრანც ბეკენბაუერი

# შავი სია

**ტურინში,** იტალიური დოპინგ სკანდალის ამბავთა მაძიებელმა, ტურინის მაგისტრატურამ გამოაქვეყნა ეგრეთწოდებული შავი სია, სადაც ჩამოთვლილია იმ ფეხბურთელთა გვარები, რომლებიც სტიმულატორების მიღებაში არიან ეჭვმიტანილი.

მაგისტრმა რაფაელე გარინელომ „შავი სია" ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჯოვანი პეტრუჩის გადასცა. გაზეთებმა, რომელთაც სიაში ცალი თვალით ჩახედვა მოახერხეს, აღნიშნეს, რომ ჩამოთვლილთა შორის არიან სერია A-ს, B-ს და C-ს მოთამაშეები, რომელთა საერთო რაოდენობა 200-დან 600-მდეა.

ამბობენ, რომ საუბარია იმ პრეპარატების მიღებაზე, რომელთა ნაწილი ასაკრძალია, ნაწილი კი უკვე აკრძალული.

იტალიის ოლიმპიური კომიტეტიდან, ჯერჯერობით, კომენტარი არავის გამოუთქვამს, არადა, ეს სწორედ ის ორგანიზაცია გახლავთ, რომელსაც ქვეყანაში მთელი სპორტი ხელში უჭირავს.

მოგეხსენებათ, გარინელომ გამოძიება ერთი წლის წინ დაიწყო, როდესაც „რომას" მაშინდელმა მწვრთნელმა, ჩეხმა ზდენეკ ზემანმა, ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში განაცხადა, რომ სერია A-ში დოპინგის გამოყენება მეტად გავრცელებული რამ გახლავთ.

ბუნებრივია, რომ ველომრბოლ მარკო პანტანის ჯირო დიტალიადან მოხსნის შემდეგ, აპენინებზე სტიმულატორების თემამ ახალი ძალით იფეთქა.

# სამაგიეროდ...

**მიუნხენის** „ბაიერნის" პრეზიდენტმა, ფრანც ბეკენბაუერმა, განაცხადა, რომ ჩემპიონთა თასის ფინალში მისი გუნდის თავზარდამცემი დამარცხება გერმანული ფეხბურთისთვის ჭკუისსასწავლებელი მოვლენა გახლდათ. მოგეხსენებათ, 26 მაისს, ბარსელონის „კამპ ნოუზე", „ბაიერნმა", რომელიც მთელი შეხვედრის განმავლობაში 1:0-ს უგებდა „მანჩესტერ იუნაიტედს", ბოლო წუთზე გაშვებული ორი გოლით წააგო.

ბეკენბაუერის სტატია ესპანურ „დონ ბალონში" გამოქვეყნდა. მასში მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე წარჩინებული ფიგურა წერს, რომ დღემდე იძულებულია დამალოს ნამდვილი გრძნობა, რომელიც, მისი აზრით, უსამართლოდ წაგებულმა შეხვედრამ აღძრა. მაგრამ, კაიზერ ფრანცის თქმით, ამ დამარცხებას ნათელი მხარეც აქვს.

„ფინალში არც „ბარსელონას" უთამაშია, არც „რეალს" და არც „იუვენტუსს". იქ ჩვენ და „მანჩესტერ იუნაიტედი", ევროპის საუკეთესო გუნდები ვიყავით. იტალიური და ესპანური კლუბები ჩვენზე გაცილებით მეტ ფულს აბანდებენ და დიდ ხელფასებს იხდიან, მაგრამ ვალებშიც ეფლობიან. გერმანული ფეხბურთი კი უფრო მკვიდრ საფუძველზე დგას".

შემდეგ ბეკენბაურმა „კამპ ნოუს" დრამა გაიხსენა: „ფეხბურთელებისა და ტელეაუდიტორიის წინაშე ემოციის დამალვა მოვახერხე, მაგრამ ფეხბურთის უსამართლობაზეც დავფიქრდი. არასდროს მინახავს ასე უბედური დამარცხებული და ასე ბედნიერი გამარჯვებული".

# გლენ ჰოდლი ლისაბონში



გლენ ჰოდლი

**ინგლისის** ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა გლენ ჰოდლმა შესაძლოა პორტუგალიის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი ლისაბონის „სპორტინგი" გაწვრთნასო, ამბობდნენ გუშინ დილით, მაგრამ საღამოს ლისაბონელთა პრეზიდენტმა, ჟოზე როკეტემ, სულ სხვა მწვრთნელზე, იტალიური „პიაჩენცას" ხელმძღვანელ ჯუზეპე მატერაციზე ჩამოაგდო სიტყვა. მან თქვა: „ჩვენ სათავეში ისეთი ადამიანის ყოლა გვსურს, რომლისთვისაც მომავალი წარსულზე მნიშვნელოვანია და რომელიც „სპორტინგის" ძალას იწამებს."

დილით კი გლენ ჰოდლის მენეჯერმა, დენის როშმა, რადიოსადგურ **BBC**-ის განუცხადა, რომ ლისაბონის კლუბის პრეზიდენტი მის კლიენტს შეეხმიანა და თავისთან გადასვლა სთხოვა.

დენის როშმა დასძინა, რომ პორტუგალიელთა წინადადება თავად ჰოდლსაც მოსწონებია და მას „სპორტინგთან" გარკვეული საკითხების შეთანხმება სთხოვა.

ბრიტანული პრესის ცნობით, ჟოზე როკეტე ჰოდლს ორწლიან კონტრაქტს სთავაზობდა, რომლის განმავლობაში ინგლისელი 600 ათას გირვანქას ანუ 968 ათას დოლარს მიიღებდა. გაზეთების ცნობითვე, იმავე როკეტეს ჰოდლს ახალი ფეხბურთელების შესაძენად 20 მილიონი დოლარის გამოყოფა ჰქონდა განზრახული.

— ჰოდლი სწორედ ის კაცია, რომელიც „სპორტინგს" სჭირდება. იგი გამოცდილი პიროვნებაა. მცოდნე კაცი კი ჩვენი კლუბის სათავეში ყოველთვის სასურველია. გლენ ჰოდლს „სპორტინგი" დიდ პატივს სცემს და კლუბი ძალიან მოხარული იქნება, თუ ჩვენთან სამუშაოდ გადმოვა — განუცხადა ჟოზე როკეტემ ინგლისურ გაზეთ „დეილი მირორს" გადაწყვეტილების შეცვლამდე.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

# რეალი დასნეულებულა
## საჭირო წამლის ძიებაში

ესპანეთის ყველაზე ტიტულიანი კლუბი, ჩემპიონთა თასის შვიდჯერ მომგები გუნდი, მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ უძლიერესად აღიარებული. ყველაფერ ამასთან ერთად სამეფო კლუბად წოდებული... თქვენ მართალი ხართ, „რეალს“ ვგულისხმობ, სწორედ იმ მადრიდის „რეალს“, რომელმაც მთელ დედამიწაზე გაითქვა სახელი.

„რეალის“ დარი კლუბები მსოფლიოში თითო-ოროლაა — უმეტესწილად ევროპაში, რამდენიმეც სამხრეთ ამერიკაში. ესაა და ეს — ესპანური ფეხბურთის მშვენება სწორედ ძლიერთა ამა ქვეყნისათა განეკუთვნება. მის სახელთან ბევრი საინტერესო ამბავია დაკავშირებული. სამეფო კლუბის ისტორიას უდიდესი გამარჯვებებიც ახსოვს. რაოდენ საოცარიც უნდა იყოს მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის, ფიფას დაარსებაში „რეალს“ თავისი წვლილი მიუძღვის. ფიფას დაარსების ინიციატორ ქვეყნებს შორის ესპანეთს სწორედ „რეალი“ წარადგენდა.

უცნაურია არა? და სწორედ იმ გუნდს, რომლის სახელთანაც ასოცირდება ბრწყინვალე გამარჯვებები, ანუმეორებელი რეკორდები, დღეს უჭირს. ვერ თამაშობს იმ ფეხბურთს, რომლითაც მუდამ განთქმული იყო და არაა მზად გამარჯვებისთვის, რისი ძალაც ყოველთვის შესწევდა.

ერთ რამეზე ამთავითვე შევთანხმდეთ — ჩვენ ვსაუბრობთ მსოფლიოს უძლიერეს კლუბზე და ავი თუ კარგი სწორედ ამნაირ გუნდთან მიმართებაში უნდა განვიხილოთ. აბა, სხვანაირად როგორ იქნება? ვიტყვით „რეალი“ არაა კარგი გუნდიო, არადა, მადრიდელთა მდგომარეობა ბევრი კლუბისთვის სანატრელია.

ჩვენი მიზანი დასნეულებული „რეალისთვის“ ერთგვარი დიაგნოზის დასმაა. ვცადოთ და ეგებ მოვიკვლიოთ კიდეც ესპანური ფეხბურთის გრანდის დაავადების მიზეზი.

საფეხბურთო კლუბის ავ-კარგზე მისი თამაშის მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ, თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ გუნდის ძალის განმსაზღვრელი მხოლოდ და მხოლოდ მის მიერ ნაჩვენები ფეხბურთია. არის კიდევ მიზეზები, რომლებიც გუნდზე ძლიერ ზემოქმედებენ. ზოგ შემთხვევაში დადებითად, ზოგჯერ — უარყოფითადაც. ამჯერად საქმე გვაქვს მოვლენებთან, რომლებმაც „რეალზე“ უარყოფითად იმოქმედეს.

განხეთქილება! აი, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი „რეალის“ ცუდი თამაშისა. როცა ხელმძღვანელობასა და მწვრთნელებს, გნებავთ მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს, უკიდურეს შემთხვევაში კი თავად ფეხბურთელებს შორის უთანხმოებაა, დაძაბულია ურთიერთობა, კარგს არაფერს უნდა ელოდო. მადრიდული კლუბის სამწუხაროდ, „რეალმა“ მიმდინარე სეზონში სამივენაირი უსიამოვნება გადაიტანა. „შინაომებმა“ „რეალი“ დატანჯა, რამაც, ცხადია, შედეგზეც იმოქმედა.

დღევანდელი კრიზისის ფესვები ერთი წლის წინანდელ ამბებში უნდა ვეძებოთ. შარშან გაზაფხულზე, „რეალის“ პრეზიდენტის და მწვრთნელის დაპირისპირება მოხდა. „რეალის“ მმართველ ლორენსო სანსს გერმანელ მწვრთნელ იუპ ჰაინკესთან ურთიერთობა გაუფუჭდა და მიუხედავად იმისა, რომ გუნდმა ჩემპიონთა ლიგა მოიგო, ჰაინკესს კლუბიდან წასვლა მოუწია. განხეთქილების მიზეზი აზრთა სხვადასხვაობა გახლდათ — სანსს ერთი მოსწონდა, ჰაინკესს — მეორე. ვერ გეტყვით, რამდენად მართებული იყო პრეზიდენტის შეხედულებები „რეალზე“, მაგრამ ფაქტია, რომ მან გაიმარჯვა.

თუ გერმანელმა მწვრთნელმა „რეალი“ შედარებით უხმაუროდ დატოვა, მისი შემცვლელის, როგორც რამდენიმე დღეში აღმოჩნდა, დროებითის — ხოსე ანტონიო კამაჩოს კლუბიდან წასვლა სკანდალური გახლდათ. თავის დროზე ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი კამაჩო ხეირიანად არც შესდგომოდა „რეალში“ მუშაობას, რომ გუნდიდან წავიდა. პრეზიდენტ ლორენსო სანსის ფიგურა ამ შემთხვევაშიც წამოტივტივდა — იგი დაუფარავად ერეოდა კამაჩოს სამწვრთნელო საქმეში, ამას კი საბოლოოდ უსიამოვნება მოჰყვა.

რამდენიმე თვეში ორი მწვრთნელის გამოცვლამ გუნდში სიტუაცია დაძაბა. ისე, ლორენსო სანსის პრეზიდენტობისას, „რეალში“ მწვრთნელი ერთ სეზონში დიდხანს არც გაჩერებულა, უფრო სწორად, ვერ ჩერდებოდა.

კამაჩო ჰოლანდიელმა სპეციალისტმა გუს ჰიდინკმა შეცვალა, თუმცა ამ გუნდის დროზე მომზადება ვერ შეძლო და ევროპის სუპერთასი ლონდონის „ჩელსიმ“ წაიღო. თუ ესპანეთის ჩემპიონატი „რეალმა“ კარგად დაიწყო და ერთი ხანობა პრიმერა დივიზიონს ლიდერობდა კიდეც, საერთაშორისო სარბიელზე, სადაც კლუბს შარშან გაზაფხულზე მოპოვებული ევროპის უძლიერესი კლუბის სახელი უნდა დაეცვა, მოვლენები არასასურველად განვითარდა. „რეალის“ კრიზისმა პირველად ჩემპიონთა ლიგაში იჩინა თავი. განგაშის ზარის ხმა მადრიდში, მოსკოვში „სპარტაკთან“ მარცხისას გაიგონეს.

ათასფერის ნაცვლად „რეალს“ ნაცრისფერი შემოდგომა დაუდგა — ჩემპიონთა ლიგაში წარუმატებელ თამაშებს შინაურ სარბიელზე პოზიციების დათმობაც დაემთხვა — „რეალი“ შინ ვერ უგებს „ბარსელონას“, შინვე მარცხდება „ბეტისთან“. მერე ფრე „სანტიაგო ბერნაბეუზე“ სანტანდერელებთან, შინ მარცხი „სელტასთან“, წაგება ვალენსიაში... გუს ჰიდინკის კლუბი ქულას ქულაზე კარგავს. ნელნელა ქვეითდება, უკუსვლას კი პრეზიდენტის კრიტიკაც ერთვის. შემოდგომით ლორენსო სანსი აცხადებს, რომ თუ გუნდი საკონტინენტთაშორისო თასს ვერ მოიპოვებს, გუს ჰიდინკს „რეალს“ დატოვება მოუწევს.

ტოკიოში ბრაზილიური „ვასკუ და გამა“ დამარცხებულია და „რეალიც“ 38-წლიანი შესვენების შემდეგ ეუფლება საკონტინენტთაშორისო თასს. ჰიდინკი გუნდში რჩება, თუმცა წარმატება მოჩვენებითია — უცხო თვალისთვის „რეალი“ შესანიშნავი გუნდია, შინ კი...

დავორ შუკერი, მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გუს ჰიდინკის წინააღმდეგ ილაშქრებს. ჰოლანდიელი თავდამსხმელს არ ათამაშებს და მათ შორის კონფლიქტი ღვივდება.

„რეალის“ ხარვეზები ძლიერ გუნდებთან დაპირისპირებაში ვლინდება — იმავე ჩემპიონთა ლიგაში ესპანელებს „ინტერი“ ამარცხებს. მალე „რეალი“ ჩემპიონატში აგებს „ვალენსიასთან“. გუნდის დაცვა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს — უკანახაზელთა თამაშში იგრძნობა შეუთანხმებლობა, დისონანსი, რაც, ცხადია, მეტოქის წისქვილზე ასხამს წყალს.

ახლა, როცა ჩემპიონატის დასასრულამდე მხოლოდ ტურია დარჩენილი, პირველობის სტატისტიკა ასეთ ცნობებს გვაწვდის: მესამე ადგილზე მყოფ „რეალს“ 62 (!) გოლი აქვს გაშვებული. სა-მოც-და-ო-რი! არც მეტი, არც ნაკლები. იმავე პირველობის სტატისტიკა გვეუბნება, რომ „რეალზე“ მეტი გოლი პრიმერა დივიზიონის ოცი კლუბიდან მხოლოდ ბოლო ადგილზე მყოფ „სალამანკას“ გაუშვია და ისიც ერთით მეტი — 63. ეს უბრალოდ საშინელებაა. ყოველივე ამის შემდეგ გუნდი, ცხადია, პირველობისთვის ვერ იბრძოლებს. კაცმა რომ თქვას, არც აქვს მორალური უფლება. ცნობისთვის გეტყვით, რომ 1950-51 წლების ჩემპიონატში „რეალმა“ ერთი ანტირეკორდი დაამყარა — საკუთარ კარში 71 გოლი მიიღო, რაც კლუბის თითქმის საუკუნოვან ისტორიაში უარესი შედეგია. მას შემდეგ მადრიდელები ყველაზე ახლოს სწორედ ახლა არიან ამ უსიამოვნო მიღწევის გაუმჯობესებასთან, თუმცა საეჭვოა, ეს მოახერხონ. წინ ხომ მხოლოდ ერთი ტურია.

დაცვა „რეალის“ მარცხიანი სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია. თუ ჩემპიონატის პირველ წრეში გუნდი ხანდახან ორ-სამ გოლს უშვებდა, მეორეში საერთოდაც საშინელი სანახავი გახლდათ — „რეალი“ „დეპორტივოსთან“ 0:4-ს აგებს, „ბარსელონასთან“ 0:3-ს, „სელტასთან“ 1:5... გუს ჰიდინკი სწორედ ლაკორუნიელებთან განადგურებას შეეწირა.

ისევ მწვრთნელის ცვლილება, ისევ დაძაბულობა და ახლა ყველაფერ ამას დამატებული გაურკვევლობა.

ზემოთ სამი სახის განხეთქილება ვახსენეთ. პრეზიდენტსა და მწვრთნელს, ისევე როგორც გუნდის თავკაცსა და ფეხბურთელებს შორის უსიამოვნებაზე ვთქვით. ფეხბურთელებს შორის ჩხუბზე კი არაფერი გვითქვამს. მადრიდის „რეალს“ გასულ სეზონში მოთამაშეთაშორისი უსიამოვნებაც ახსოვს — ჩემპიონთა ლიგის პირველი მეოთხედფინალის, კიევის „დინამოსთან“ ვერმოგებული თამაშის შემდეგ, ფერნანდო იერომ და კლარენს ზეედორფმა იჩხუბეს. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ზეედორფის „რეალიდან“ გაშვების საკითხიც დაისვა. ეს შემთხვევაც, ცხადია, უკვალოდ არ ჩაივლიდა.

ჩემპიონატში პირველობის შანსების დაკარგვის შემდეგ „რეალი“ მთლიანად ევროტურნირზე გადაერთო. უკრაინული წინაღობა ჩემპიონთა თასის მფლობელი კლუბისთვის დაუძლეველი აღმოჩნდა — კიევის „დინამომ“ მადრიდელებს შთამბეჭდავად მოუგო.

მას შემდეგ „რეალის“ თამაშში შიში შეიმჩნევა — შიში იმისა, რომ კლუბს სახელი იმდენად არ გაუტყდეს, რომ გამთელება აღარ შეიძლებოდეს. ჰიდინკის მემკვიდრე ჯონ ტოშაკმა შეძლო ისეთი გუნდის ჩამოყალიბება, რომელიც ესპანეთის ჩემპიონატისთვის საკმარისია, მაგრამ საეთაშორისო არენაზე?

...„რეალი“ თასის ნახევარფინალში „ვალენსიასთან“ მარცხდება 0:6! ისევ დაცვა, თუმცა აქ ბრალი მხოლოდ მცველებს არ მიუძღვით. ასეთ მარცხში, ალბათ, ყველა თანაბრადაა დამნაშავე — პრეზიდენტიდან დაწყებული, სათადარიგო ფეხბურთელით დამთავრებული.

„რეალს“ ამ სეზონში ვერაფერი უშველის — გუნდი ჯილდოს გარეშე დარჩება, რაც მისთვის სამარცხვინოა. მომავალი სეზონისთვის კი, ალბათ, ძირეული ცვლილებები მოხდება. საამისოდ წინ ზაფხულის ცხელი თვეებია.

**ლაშა გოდუაძე**



სარბიელის არქივიდან

იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის — „რეალი“ ბოლოს ვერ გაიცინებს

## გადაიხდით 50 მილიონს?

ესპანეთის ჩემპიონის — „ბარსელონას“ ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა განაცხადა, რომ მას სევილიის „ბეტისის“ თავდამსხმელ ალფონსო პერესის შეძენა გადაუწყვეტია.

ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ბარსელონამ“ სწორედ „ბეტისი“ დაამარცხა, ვან გაალმა კი ალფონსოს შესახებ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

— მას ჩვენს წინააღმდეგ კარგად არ უთამაშია, თუმცა იგი სწორედ ის ფეხბურთელია, რომლის გადაბირებასაც ვისურვებდი. სამწუხაროდ „ბეტისი“ გაცილებით დიდ თანხას ითხოვს, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია გადავიხადოთ — თქვა ვან გაალმა.

ალფონსოსთვის მიმდინარე წელიწადი დანავსული გამოდგა — სეზონის დასაწყისში ნაკრებში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში კვიპროსის წინააღმდეგ თამაშისას, მან ტრავმა მიიღო და რამდენიმე თვე გაუცდა. ხეირიანად დაბრუნებული არ იყო, კვლავ დაშავდა და ისევ იძულებით დასვენება მოუწია. დღესდღეობით ალფონსო ჯანმრთელად კია, მაგრამ ძველებურად რომ ვეღარ თამაშობს, ცხადია.

თავად ალფონსოს „ბარსელონაში“ გადასვლის პერსპექტივა ძალიან ხიბლავს. 26 წლის ფეხბურთელისთვის დღეს ამაზე კარგი არაფერია. თან თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თავდამსხმელს „ბეტისის“ პრეზიდენტ მანუელ რუის დე ლოპერასთან ცუდი დამოკიდებულება აქვს, ადვილი მისახვედრია ალფონსოს სხვა კლუბში გადასვლის სურვილი.

„ბეტისი“ თავდამსხმელის სანაცვლოდ 50 მილიონ დოლარს ითხოვს. რატომ? საქმე ისაა, რომ ესპანელ ფორვარდს სევილიურ კლუბთან კონტრაქტი 2005 წლამდე აქვს დადებული, ხელშეკრულებაში კი გარკვევით წერია, რომ თუ რომელიმე კლუბი ალფონსოს შეძენას მოინდომებს, „ბეტისმა“ კომპენსაციის სახით 50 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს. თანხა, თქვენც ხვდებით, ძალიან დიდია.

როგორც ცნობილია, ლუის ვან გაალი „ბარსელონას“ შემადგენლობის გადახალისებას აპირებს. ჰოლანდიელი მწვრთნელი ბრაზილიელ თავდამსხმელ სონი ანდერსონს გუნდიდან უშვებს და ფორვარდიც, ალბათ, ფრანგულ „ლიონში“ გადავა. ალფონსო კი სწორედ ანდერსონის შემცვლელადაა მიჩნეული.

## გალიეგო არ გვინდაო

ესპანელი მწვრთნელები არგენტინელი კოლეგის, ამერიკო გალიეგოს წინააღმდეგი არიან. გალიეგომ ახალ სეზონში პრიმერა დივიზიონის კლუბი „ბეტისი“ უნდა გაწვრთნას, პირინეის ნახევარკუნძულზე კი ეს არ სურთ.

— როგორც წესი, მწვრთნელმა ესპანეთის პრიმერა დივიზიონის კლუბი რომ უმწვრთნელოს, უმაღლეს დონეზე მუშაობის მინიმუმ სამწლიანი სტაჟი უნდა ჰქონდეს. გალიეგოს ასეთი გამოცდილება არ გააჩნია, ამ ფაქტორმა კი შესაძლოა ჩვენს ფეხბურთზე ცუდად იმოქმედოს — განაცხადა ესპანეთის მწვრთნელთა ასოციაციის პრეზიდენტმა რამონ კობომ.

„ბეტისს“ არგენტინელ მწვრთნელთან უკვე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. კონტრაქტის თანახმად, 1 ივლისს გალიეგომ კლუბიდან მიმავალი ესპანეთის ნაკრების ყოფილი თავკაცი ხავიერ კლემენტე უნდა შეცვალოს. ახლა ეს ტრანსფერი საეჭვო გახდა.

— ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომელიც მოწმობს, რომ გალიეგო უმაღლეს დონეზე მხოლოდ ნახევარი წელიწადია მოღვაწეობს. ესპანეთის მწვრთნელთა ასოციაცია წინააღმდეგია, იგი „ბეტისის“ მწვრთნელად დაინიშნოს — განაცხადა იმავე კობომ.

სევილიის „ბეტისის“ წარმომადგენლის თქმით, კლუბი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში სარჩელის შეტანას აპირებს.

რაც შეეხება ამერიკო გალიეგოს, გულშემატკივრებს ალბათ ახსოვთ, რომ იგი 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონია. დღესდღეობით გალიეგო ბუენოს აირესის „რივერ პლეიტს“ წვრთნის.

# ჯერ მხოლოდ სამი გუნდია

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი მსოფლიოს №1 სპორტის სახეობაში ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა. ასეა ახლაც. მით უმეტეს, რომ ამ ტურნირს, პირველად თავისი არსებობის მანძილზე, ორი ქვეყანა, ბელგია-ჰოლანდია უმასპინძლებს.

გათამაშების დასკვნითი ეტაპი, რომელიც მომავალი წლის 10 ივნისს ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში გაიხსნება და 2 ივლისს ჰოლადნდიურ როტერდამში დასრულდება, რვა სტადიონზე ჩატარდება, რომელთაგან ხუთზე ამჟამადაც მიმდინარეობს სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

ჩემპიონატის განმავლობაში სულ 31 მატჩი გაიმართება, აქედან 24 ჯგუფური თამაშია, რომელთაგან 12-ბელგიაში და 12-იც ჰოლანდიაში ჩატარდება. მეოთხედფინალებს ამსტერდამი, როტერდამი, ბრიუგე და ბრიუსელი უმასპინძლებს, ხოლო ნახევარფინალებს — მასპინძელთა დედაქალაქები.

იმ 23 დღიდან, რომელიც გათამაშების ფინალური ეტაპს დასჭირდება, მხოლოდ 6 დღეს არ გაიმართება მატჩები. ეს მოხდება ჯგუფური თამაშების (22-23 ივნისი), მეოთხედფინალების (26-27 ივნისი) და ნახევარფინალების დასრულების შემდეგ (30 ივნისი — 1 ივლისი).

როგორც ყოველთვის, ფინალური ეტაპის მატჩებზე დასასწრებ ბილეთებზე ახლაც დიდი მოთხოვნაა. ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის დირექტორ ალენ კურტუას განცხადებით, უკვე მიღებულია 1 მილიონი განაცხადი, აქედან 400 000 მასპინძელი ქვეყნების ნაკრებთა თამაშზე და 100 000 ფინალზე. მისივე თქმით, ჯერჯერობით ბილეთთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 34 პროცენტი გაიყიდება, რადგანაც გაურკვეველია იმ ქვეყანათა უმეტესობის ვინაობა, რომელთა ეროვნული გუნდებიც ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე იასპარეზებენ.

ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება ევროპის 16 უძლიერეს გუნდს აქვს, რომლებიც ოთხ A, B, C და D ჯგუფებში განაწილდებიან. ამჟამად მხოლოდ სამი ქვეყნის ეროვნული ნაკრებია ცნობილი, რომლებსაც ბებერი კონტინენტის საფეხბურთო ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე თამაში აქვთ განაღდებული. ესენია: მასპინძელი ქვეყნები, ჰოლანდია და ბელგია, აგრეთვე ჩეხეთიც, რომელმაც 9 ივნისს შოტლანდიასთან მიღწეული წარმატებით პირველმა დაძლია ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი.

უკვე ცნობილია, რომ ბელგია B, ხოლო ჰოლანდია D ჯგუფში იასპარეზებს: ევროპის ჩემპიონატის ბოლო გათამაშების გამარჯვებული გერმანიის ეროვნული ნაკრები კი, თუ წარმატებით გადალახავს საკვალიფიკაციო ბარიერს, A ჯგუფში მოხვდება.

რაც შეეხება მომავალი ევროპის ჩემპიონატის სხვა მონაწილეებს, მათ განთესვაში დიდ როლს რეიტინგი და შესარჩევ ციკლში ჩატარებული მატჩები ითამაშებს.

ჰოჭა ჭკადუა

| | ჯგუფური ტურნირი | | | | | | | | | | | მეოთხედფინალები | | ნახევარფინალები | | ფინალი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქალაქი<br>სტადიონი | 10 ივნისი<br>შაბათი | 11 ივნისი<br>კვირა | 12 ივნისი<br>ორშაბათი | 13 ივნისი<br>სამშაბათი | 14 ივნისი<br>ოთხშაბათი | 15 ივნისი<br>ხუთშაბათი | 16 ივნისი<br>პარასკევი | 17 ივნისი<br>შაბათი | 18 ივნისი<br>კვირა | 19 ივნისი<br>ორშაბათი | 20 ივნისი<br>სამშაბათი | 21 ივნისი<br>ოთხშაბათი | 24 ივნისი<br>შაბათი | 25 ივნისი<br>კვირა | 28 ივნისი<br>ოთხშაბათი | 29 ივნისი<br>ხუთშაბათი | 2 ივლისი<br>კვირა |
| ბრიუგე<br>„იან ბრეიდელი" | | მატჩი №3<br>21.00<br>D3-D4 | | | | | მატჩი №11<br>21.00<br>D2-D3 | | | | | მატჩი №21<br>21.00<br>C3-C1 | | მატჩი №28<br>23.45<br>C1-D2 | | | |
| ბრიუსელი<br>„მეფე ბოდუენი" | მატჩი №1<br>23.45<br>B1-B2 | | | | მატჩი №9<br>23.45<br>B4-B1 | | | | | მატჩი №17<br>23.45<br>B3-B1 | | | მატჩი №26<br>23.45<br>B1-A2 | | მატჩი №29<br>23.45<br>25-28 | | |
| შარლერუა<br>„სტად კომუნალი" | | | | მატჩი №8<br>23.45<br>C3-C4 | | | | მატჩი №14<br>23.45<br>A4-A1 | | | მატჩი №19<br>23.45<br>A4-A2 | | | | | | |
| ლიეჟი<br>„შლესონი" | | | მატჩი №5<br>21.00<br>A1-A2 | | | | | | მატჩი №16<br>23.45<br>C2-C3 | | | მატჩი №23<br>23.45<br>D4-D2 | | | | | |
| ამსტერდამი<br>„არენა" | | მატჩი №4<br>23.45<br>D1-D2 | | | | | | | მატჩი №15<br>21.00<br>C4-C1 | | | მატჩი №24<br>23.45<br>D3-D1 | მატჩი №25<br>21.00<br>B2-A1 | | | მატჩი №30<br>23.45<br>26-27 | |
| როტერდამი<br>„ფეიენოორდი" | | | | მატჩი №7<br>21.00<br>C1-C2 | | | მატჩი №12<br>23.45<br>D4-D1 | | | | მატჩი №20<br>23.45<br>A3-A1 | | | მატჩი №27<br>21.00<br>D1-C2 | | | მატჩი №31<br>21.00 |
| არნემი<br>„გელრედომი" | | მატჩი №2<br>17.30<br>B3-B4 | | | | | | მატჩი №13<br>21.00<br>A2-A3 | | | | მატჩი №22<br>21.00<br>C4-C2 | | | | | |
| ეინდჰოვენი<br>„ფილიპსი" | | | მატჩი №6<br>23.45<br>A4-A3 | | | მატჩი №10<br>23.45<br>B2-B3 | | | | მატჩი №18<br>23.45<br>B4-B2 | | | | | | | |

*მატჩის რიგითი ნომრის ქვეშ მითითებულია თბილისის დროით თამაშის დაწყების დრო, მის ქვემოთ კი ჯგუფისა და გუნდების მიმანიშნებელი. ნახევარფინალების გრაფაში 25-28 ნიშნავს, რომ №25 მატჩის გამარჯვებული №28 მატჩისას შეხვდება, ხოლო №26-№27-სას.*

# მეკარე — კაცი, რომელიც კარს იცავს და ესხმის



ხოსე ლუის ჩილავერტი

*მეკარეები, რომლებიც მხოლოდ თავიანთ კარს კი არ იცავენ, არამედ მეტოქისასაც უტევენ და გოლები გააქვთ, სამხრეთ ამერიკაში სულაც არ წარმოადგენენ იშვიათობას. მაგალითად, კოლუმბიელმა რენე იგიტამ უმაღლესი დონის შეხვედრებში 46-ჯერ შეაგდო ბურთი მოწინააღმდეგეთა კარის ბადეში. იგიტამ 46-ე რომ გაიტანა, ერთ კვირაში პარაგვაელმა ხოსე ლუის ჩილავერტმა მეორმოცე წარმატებას მიაღწია. მათ გარდა ცნობილია მექსიკელი გოლკიპერი ხორხე კამპოსიც, რომელიც ხშირად თავდასხმაშიც კი თამაშობს. და აი, ბოლო აღმოჩენა: ურუგვაის პირველ დივიზიონში გამოიკვეთა ფიგურა — ნესტორ ხავიერ პინია — კაცი, რომელიც ზოგ მატჩში ნახევარმცველია, ზოგში კი მეკარე...*





რენე იგიტა

პინია 24 წლისა გახლავთ. გასულ სეზონში „ურაკანის" კარის ძელებს შუა იდგა და ბევრი ვერაფრით გამოირჩეოდა. ახალი ჩემპიონატი რომ დაიწყო, გულშემატკივარი გაოცდა: პინია მოედანს ნახევარმცველად მოევლინა და ისე კარგად ითამაშა, რომ მწვრთნელმა (მის სახელს ნუ გაიკვირვებთ) ბეთჰოვენ ხავიერმა მინდვრის მოთამაშეებთან ერთად ვარჯიში დააწყებინა, მაგრამ, ამავდროულად ურჩია, ნურც მეკარის საქმეს შეეშვებიო. შესაბამისად პინია კოლეგებზე ორჯერ მეტს ვარჯიშობს.

გოლკიპერის ნახევარმცველად გამოყენებას, ბუნებრივია, თავისი მიზეზი აქვს და ამ მიზეზს „ურაკანში" ფეხბურთელთა სიმცირე ეწოდება. მოედნის მოთამაშედ ქცეულმა პინიამ რამდენიმე გოლიც კი გაიტანა, მაგრამ განაცხადში კვლავ ფიგურირებს, როგორც სათადარიგო მეკარე.

„დღეს ნახევარდაცვაში მიჯობს თამაში" — ამბობს პენია — „მიჯობს იმიტომ, რომ მოედნის შუაში ბურთთან მეტი კონტაქტი მაქვს. გარდა ამისა, შეცდომების ფაქტორსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. როდესაც ნახევარმცველი ხარ, რამდენიმე შეცდომას ისე დაუშვებ, რომ აუგს კაციშვილი არ გეტყვის, კარში კი ყველა უზუსტობა საბედისწეროა და აღარავინ აქცევს ყურადღებას, რამდენჯერ იხსენი გუნდი".

ბეთჰოვენ ხავიერი პენიას, ხშირად, მეკარეობასაც ავალდებულებს. მწვრთნელის ლოგიკა გასაგებია: პენია კარში უფრო ნიჭიერია და ნახევარდაცვაში ტრიალის დროს, შემთხვევით ტრავმა რომ მიიღოს, „ურაკანისთვის" ვერ იქნება კარგი საქმე.

ზემოთ იგიტა რომ ვახსენეთ, დღეს მშობლიურ კოლუმბიაში, მედელინის „ინდეპენდიენტეს" კარს იცავს. 32 წლის ფეხბურთელის 46-ე გოლი პენალტი გახლდათ. ეს „ინდეპენდიენტესა" და „ატლეტიკო ნასიონალის" შეხვედრაში მოხდა. შეხვედრა 1:1 დამთავრდა. აღსანიშნავია, რომ იგიტას კარიერის უმეტესი ნაწილი სწორედ მედელენის გუნდში აქვს გატარებული, ხოლო უკლებლივ ყველა გოლი პენალტით ან საჯარიმო დარტყმით გატანილი.

34 წლის ჩილავერტს (იგი არგენტინული „ველეს სარსფილდის" მეკარეა) 27 გოლი ქვეყნის ჩემპიონატში აქვს შეგდებული, 13 კი სხვადასხვა შეხვედრებში. მათ შორის გახლავთ 4 გოლი, რომელიც ჩილავერტმა პარაგვაის ეროვნული გუნდის მაისურით თამაშის დროს შეაგდო. ჩილავერტის გოლებიდან 32 პენალტითაა გატანილი, ორი მოგერიებულ პენალტზე დამატებით, ექვსი კი საჯარიმო დარტყმით. მე-40 გოლი ჩილავერტმა „ინდეპენდიენტეს" კარში შეაგდო. ის შეხვედრა მისმა „ველესმა" 2:0 მოიგო. საინტერესო კი ისაა, რომ იმავე მატჩში პარაგვაელმა მეკარემ ერთი პენალტი მოიგერია კიდეც.

ხოსე ლუის ჩილავერტმა, შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატზე, პარაგვაის ნაკრებს უკაპიტნა, მაგრამ ოცნება ვერ აისრულა: უდიდეს შეჯიბრებაში გოლი ვერ გაიტანა. 2002 წელს მას შეუძლია კიდევ სცადოს, თუმცა საამისოდ დღევანდელ სირთულეთა გადალახვა მოუწევს. საქმე ის გახლავთ, რომ მან უარი განაცხადა „კოპა ამერიკაში" მონაწილეობაზე, მიზეზად კი ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ გენერალ ლინო ოვიედოს არჩევა დაასახელა. დღეს, როდესაც გენერალი ოვიედო პარაგვაიდან არგენტინაში გაიქცა („კოპა ამერიკა", მოგეხსენებათ, პარაგვაიში ტარდება) და იქ პოლიტიკური თავშესაფარი ებოძა, შეჯიბრებისკენ, ჩილავერტს, თითქოს გზა ხსნილი აქვს, მაგრამ ის აცხადებს: „როდესაც სიტყვას ვამბობ, არ გადავდივარ".

ჩილავერტს მყარი პოლიტიკური შეხედულებები აქვს და მომავალში პარაგვაის პრეზიდენტობასაც აპირებს. იგი ამბობს, რომ პარაგვაის „კოპა ამერიკისთვის" მხოლოდ და მხოლოდ მას მერე უნდა ემასპინძლა, რაც ქვეყნის შიგნით ჯანმრთელობის, ბინათმოწყობის და განათლების პრობლემები მოგვარდებოდა.

ხშირად ამბობენ, რომ ჩილავერტი დღეს, მსოფლიოს საუკეთესო მეკარეა. ამ მოსაზრებას თავადაც ეთანხმება: „მსოფლიოს ჩემპიონატზე, პარაგვაის ნაკრები ასე შორს იმიტომ წავიდა, რომ მის კარს მე ვიცავდი".

ერიკ უელი,
უორლდ სოკერი
თარგმნა მიხეილ სურგულაძემ



ჰერბერტ ჩეპმენი



*არაფრით გამორჩეული კარიერის ბოლოს, 1907 წელს, ჰერბერტ ჩეპმენი მოთამაშე მწვრთნელად „ნორსემპტონ თაუნში“ მივიდა და მეორე სეზონშივე გუნდი სამხრეთის ლიგის ჩემპიონატში გადაიყვანა. „ნორსემპტონ თაუნიდან“, 1912 წელს „ლიდს სიტის“ მიაშურა. „ლიდს სიტის“, მისი ხელმძღვანელობით, ორი წლის მანძილზე ცოტა აკლდებოდა ზედა დივიზიონში ალზევებამდე, ხოლო 1914 წლიდან მოყოლებული, პირველი მსოფლიო ომის დარჩენილი ნაწილი, ჩეპმენმა სამხედრო ფაბრიკის გუნდის სათავეში გაატარა. სწორედ პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის შუალედში გაითქვა დიდმა მწვრთნელმა სახელი. მან „ჰადერსფილდ თაუნი“ და „არსენალი“ სამ-სამჯერ გახადა ინგლისის პირველი დივიზიონის ჩემპიონი.*

# მოაზროვნე

თავის დროზე წარმატების ჩეპმენისტულ მეთოდებს დიდი ეჭვით უყურებდნენ და კრიტიკის ქარცეცხლშიც ატარებდნენ. 1930-იან წლებში, დიდებულად მოთამაშე „არსენალს“ ინგლისის ბანკიც კი შეარქვეს და გულუბრყვილოდ, წარმატებათა „ყიდვაში“ დასდეს ბრალი. რა იყო ასეთი ბრალდების მიზეზი? ალბათ ის, რომ ჩეპმენის მემკვიდრემ „არსენალის“ მწვრთნელის თანამდებობაზე, ჯორჯ ელისონმა განაცხადა, რვა სეზონის განმავლობაში, ჯამში, ფეხბურთელების საყიდლად 101 400 გირვანქა გადავიხადეთო.

ზოგი ისტორიკოსი ამასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ ფეხბურთელების შეძენა ერთია, ხოლო მათი წახალისება მეორეა, ასე რომ, წარმატების ყიდვაზე საუბრისას გააჩნია რაზე გავამახვილებთ ყურადღებას.

მაგრამ აქ აღსანიშნავი სხვაა: 30-იან წლებში „ჩელსიმ“ „არსენალზე“ ნაკლები ფული როდი დახარჯა, მე-8 ადგილზე მაღლა ასვლა კი ვერაფრით მოახერხა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ საქმე მხოლოდ თანხის ხარჯვაზე და წარმატების „ყიდვაზე“ არ ყოფილა. ჰერბერტ ჩეპმენს „არსენალისთვის“ რაღაც სხვა თვისება შეუძენია, ხოლო ეს კაცი ამ, რაღაც სხვა თვისების მატარებელი რომ გახლდათ, მის სხვა კლუბებს, „ნორსემპტონს“, „ლიდსს“ და „ჰადერსფილდსაც“ ეტყობოდათ.

დიახ, ჩეპმენმა გუნდებს თამაშისადმი დამოკიდებულება შეუცვალა. სტივენ სტადი ჩეპმენის ამაგს ასე აღწერს:

„იმხანად გუნდები მოედანზე გეგმის გარეშე გადიოდნენ. მათ არ ჰქონდათ წინასწარ მოფიქრებული, რა უნდა გაეკეთებინათ თამაშის მოსაგებად და მწვრთნელთა ფუნქციაც ფეხბურთელების მეგობრული გამხნევებით შემოიფარგლებოდა“.

აკი თავად ჩეპმენიც იგონებს: „გამარჯვების დაგეგმვას არავინ ცდილობდა. მოედანზევე, შემთხვევით, ვთქვათ ერთ ფრთაზე მოთამაშე ორი ფეხბურთელი თუ მოილაპარაკებდა ასე და ასე ვქნათო“.

თუმცა, არც ასეთი კატეგორიული მსჯელობა უნდა იყოს გამართლებული. შემორჩენილია ცნობები, რომ ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის წინ და მის შემდეგ, ნიუკასლელი მცველები, ბილი მაკკრეკენის წინამძღოლობით, მოწინააღმდეგის თავდამსხმელთა ოფსაიდში დატოვების წესს ერთობ მოხერხებულად იყენებდნენ.

მაგრამ ამის გამო დასკვნა, რომ საუკუნის დასაწყისში ტაქტიკური დაგეგმვა არსებობდა, ბუნებრივია, მცდარი იქნება.

ჩეპმენი გრძნობდა, რომ მთელი გუნდი ერთიანი ტაქტიკური ქოლგით უნდა ყოფილიყო დაფარული და უკლებლივ ყველა მოთამაშეს, როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად, საერთო მიზნის მისაღწევად, მიზანმიმართულად უნდა ეთამაშა.

ჯერ კიდევ 30-იან წლებში ჩეპმენი წერდა: „კარგად თამაში საკმარისი აღარაა. გუნდმა (სულერთია როგორ) მიზანს უნდა მიაღწიოს, ქულები უნდა დააგროვოს. ტექნიკის და ნიჭის საზომი ის ადგილია, ცხრილში რომ გიკავია, ამიტომაც ფეხბურთელებმა ყველა ხერხი ერთ, მთლიან მოქმედებაში უნდა ჩაწნან“.

ერთი შეხედვით ამაში ორიგინალური არაფერია, თუმცა, როგორც ფილსორი წერს, ჩეპმენი იყო პირველთაგანი, ვინც ხორცი შეასხა თეორიულ ჭეშმარიტებას: უკეთესი გუნდი ისაა, რომელსაც მოწინააღმდეგეზე მეტი გოლი გააქვს.

ჰერბერტ ჩეპმენმა განა მხოლოდ მწვრთნელის საქმეს შესძინა პროფესიული ელფერი და მნიშვნელობა, მან ტაქტიკისადმი პროფესიული მიდგომაც დანერგა.

„გოლის გატანაზე ნაკლებ მნიშვნელოვანი როდია მოწინააღმდეგისთვის შენი კარისკენ სავალი გზის გადაკეტვა“ — წერდა ის ჯერ კიდევ მაშინ.

მართლაც, 20-იან წლებში ჩეპმენისეული „ჰადერსფილდი“ შეიქნა პირველი გუნდი, რომელმაც საშუალოდ, შეხვედრაში, ორ გოლზე მეტი არ გაუშვა. ჩეპმენი გახლდათ პირველი, ვინც მიხვდა, რომ დაცვა ისეთივე საყურადღებო კომპონენტი გახლდათ, როგორიცაა თავდასხმა.

1925 წელს ოფსაიდის წესი შეცვალეს. მანამდე თუ ბურთი თავდამსხმელის წინ გადავარდებოდა, მასა და კარს შორის სულ მცირე სამი მოწინააღმდეგე უნდა ყოფილიყო ალმართული. იმ წელიწადს მოწინააღმდეგეთა ეს რაოდენობა ორამდე შეამცირეს.

ოფსაიდის წესის შეცვლა, გოლების საშუალო რაოდენობის შემცირებამ გამოიწვია. ახლებურმა წესმა მართლაც იმოქმედა და საშუალო გოლიანობა ერთი პირობა გააორმაგა კიდეც, ცხრამდე ასწია, თუმცა ეს მაჩვენებელი მალე ისევ დაბლა დაეშვა, რაც, უილი მეისლის აზრით, ჰერბერტ ჩეპმენის მორიგმა ტაქტიკურმა სიახლემ განაპირობა:

„საქმე ის გახლდათ, რომ ოფსაიდის ახალმა ვარიანტმა ნებისმიერი გუნდის ცენტრალური თავდამსხმელი საგანგებო მნიშვნელობის მოთამაშედ აქცია. ნებისმიერი შეტევის დროს მას დამცველი გუნდისთვის საბედისწერო ხიფათი მოჰქონდა. ამის შემყურე ჩეპმენმა ცენტრალური ნახევარმცველი ერთგვარ ფარად გარდაქმნა და ამ ფარმა ისევ შეამცირა ფორვარდის გადაჭარბებული მნიშვნელობა“.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩეპმენმა ტრადიციული 2-3-5 განლაგება შეცვალა. მან დაიწყო პროცესი, რომელიც იმით დასრულდა, რომ ცენტრალურმა ნახევარმცველმა დაცვის შუაში ამოჰყო თავი და იქცა მესამე მცველად. ჩეპმენისეული აღმოჩენა სულ მალე ყველა გუნდმა გაითავისა და ფეხბურთში იშვა ახალი ამპლუა — სტოპერი.

გაგრძელება მომდევნო „სარბიელში“

ბაბუნა ძიძია




კლასიკური სქემა 2-3-5

## იუგოსლავია ევროპაზე დაუშვეს

პოლონეთის ჩემპიონი, კრაკოვის „ვისლა“ უეფას შეწყალებას ემუდარება. მოგეხსენებათ, მას ევროთასებიდან, კონკრეტულ შემთხვევაში კი ჩემპიონთა ლიგიდან, ერთწლიანი დისკვალიფიკაცია აქვს მისჯილი. მიზეზიც საკმაოდ გახმაურებულია: გასულ სეზონში, უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში, სადაც „ვისლა“ იტალიურ „პარმას“ ეთამაშებოდა, მავანმა პოლონელმა გულშემატკივარმა პარმელ ფეხბურთელს, დინო ბაჯოს, ტრიბუნიდან დანა ესროლა.

ამრიგად, ახალ სეზონში, ჩემპიონთა ლიგაში, პოლონეთიდან ვიცე-ჩემპიონი, ლოძის „ვიძევი“ გავა.

ამასობაში კი იუგოსლავიის ციდან ღრუბელი გადაიყარა. ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორებამ ამ ქვეყნის სამ გუნდს საშუალება მისცა მომავალ სეზონში ევროთასებზე გავიდეს. უეფამ დაადგინა, რომ ჩემპიონთა თასზე ბელგრადის „პარტიზანი“ იასპარეზებს. „პარტიზანი“ ქვეყნის შეწყვეტილი ჩემპიონატის ლიდერი გახლდათ. მეორე ადგილზე მყოფი ბელგრადის „ობილიჩი“ კი უეფას თასზე ვერ ითამაშებს, რამეთუ მისი მეპატრონე ჟელკო რაზნატოვიჩ არკანი გაერომ სამხედრო დამნაშავედ შერაცხა. აქედან გამომდინარე უეფას თასზე გავლენ „ცრვენა ზვეზდა“ და „ნოვი სადი“.

ევრო 2000-ის შესარჩევი, გადადებულ-ნატანჯი შეხვედრის, ირლანდია-იუგოსლავიის გარჩევა უეფაში ხუთშაბათს შედგება.

ბოსნია — ჰერცეგოვინის კლუბები კი ამჯერად ევროთასებზე ვერ გავლენ, მაგრამ შემდგომ სეზონში წინ არაფერი აღუდგებათ.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. მეორე ბუნდესლიგა.

XXXIV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 17.06 | უნტერჰახინგი — კარლსრუე | 2,0 | 3,0 | 2,0 |
| | ჰანოვერი — ვატენშაიდი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| | ულმი — ფიურტი | 1,15 | 3,8 | 8,0 |
| | გიუტერსლო — ფორტუნა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | მაინცი — ბერლინი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | კიოლნი — არმინია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | ზტ. პაული — კიკერსი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | კოტბუსი — ურდინგენი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | ობერჰაუზენი — დიუსელდორფი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. გადასასვლელი ტურნირი.

V ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16.06 | დორდრეხტი — ემენი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | ვალვაიკი — ზვოლე | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | ჰელმონდ სპორტი — გრონინგენი | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| | სპარტა — ექსელსიორი | 1,1 | 6,0 | 12,0 |

### შვედეთის ჩემპიონატი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16.06 | იორებრო — ჰამარბი (XI ტური) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 17.06 | ჰალმსტადი — იურგარდენი (XI ტური) | 1,3 | 4,0 | 7,5 |

### ნორვეგიის ჩემპიონატი. XI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16.06 | ლილესტრიომი — ვალერენგა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | მოსი — სტრომგოდსეტი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | ოდ გრენლანდი — მოლდე | 3,0 | 3,0 | 1,9 |
| | სკეიდი — კონგსვინგერი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | ვიკინგი — რუსენბორგი | 3,5 | 3,0 | 1,8 |
| | ტრომსო — ბოდო გლიმტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 17.06 | სტაბეკი — ბრანი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### ესპანეთის თასის ნახევარფინალი.

საპასუხო მატჩები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16.06 | რეალი — ვალენსია | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### კალათბურთი. NBA. ფინალის I მატჩი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16.06 | სან ანტონიო — ნიუ იორკი | 1,3 | 12,0 | 2,8 |

### კროკოს ბიუროთა მისამართები:

**თბილისში** — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან.

**რუსთავში** — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.

**გორში** — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# ძველების დამსახურება

100 იუბილარი

**ფერენცვაროში**
**ბუდაპეშტი, უნგრეთი**

დაარსდა: 1899 წლის 3 მაისს
კლუბის ფერები: თეთრი და მწვანე
უნგრეთის ჩემპიონი (26): 1903, 1905, 1907, 1909-13, 1926-28, 1932, 1934, 1938, 1940, 1941, 1949, 1963, 1964, 1967, 1968, 1976, 1981, 1992, 1995, 1996
უნგრეთის თასი (18): 1913, 1922, 1927, 1928, 1933, 1935, 1942, 1943, 1944, 1958, 1972, 1974, 1976, 1978, 1991, 1993-95
ბაზრობათა თასი: 1965

ცოტა ხნის წინ, უნგრულ „ფერენცვაროშს" დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდა. საუკუნე საფეხბურთო კლუბისთვის მართლაც დიდი დროა. ასეთი სოლიდური ასაკის მიუხედავად, უნგრეთის ყველა დროის საუკეთესო კლუბი ევროპული ფეხბურთის გრანდებში არასოდეს გარეულა, თუმც ხელწამოსაკრავიც არ ყოფილა.

„ფერენცვაროში" იგივე „ფრადი", როგორც მას ქომაგები სიყვარულით ეძახიან, ქვეყნის უმაღლეს ლიგაში დაარსებიდანვე, 1901 წლიდან, თამაშობს და იქიდან არასოდეს გავარდნილა. ამ ხნის განმავლობაში კლუბმა 26-ჯერ მოიპოვა უნგრეთის ჩემპიონის ტიტული, 18-ჯერაც ქვეყნის თასს ფლობდა. თუმცა „ფრადის" ყველაზე თვალსაჩინო წარმატებად 1965 წელს ევროპის ბაზრობათა თასის მოგება ითვლება, თასისა, რომელსაც 1972 წლიდან უეფას თასი ეწოდა. თუმცა მანამდე ჯობს, ის ვთქვათ,

### რა იყო თავიდან

1899 წლის 3 მაისს ქალაქ ბუდაპეშტის ერთ-ერთ უბანში სპორტის ამ სახეობით დაინტერესებული რამდენიმე შეძლებული პიროვნება შეიკრიბა და ახალი საფეხბურთო კლუბი დააარსა. ამ იდეის მთავარი ავტორი ალკოჰოლური ქარხნის ხელმძღვანელი ფერენც შპრინგერი გახლდათ. გუნდის დამაარსებლებს კლუბის სახელწოდებაზე დიდხანს არ უფიქრიათ, კრების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, მას თავიანთი უბნის სახელი — „ფერენცვაროში" უწოდეს. საკლუბო ფერებად კი უნგრეთის დროშიდან მწვანე და თეთრი გადმოიღეს, რაც შეეხება წითელს, იგი ფერენცვაროშელმა წარჩინებულებმა დაიწუნეს, რაკი მუშათა საზოგადოებას გამოხატავდა. გერბად კი სამი E (ERKOLS – ERO – EGYERES, ქართულად მორალი — ძლიერება — ერთსულოვნება) დაამტკიცეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ „ფერენცვაროშმა" უნგრეთის ჩემპიონატში თამაში 1901 წელს დაიწყო. იმ ჩემპიონატის ჩატარების იდეა კი სწორედ მის თავკაცებს დაებადათ. 1901 წლამდე — „ფერენცვაროში" საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებს მართავდა, თუმც კლუბის ხელმძღვანელობას მხოლოდ ამხანაგური შეხვედრები არ აკმაყოფილებდა. ამიტომაც მე-20 საუკუნის დასაწყისში მათ კიდევ ერთი კრება მოიწვიეს და უნგრეთის საფეხბურთო ასოციაცია შექმნეს. ამასთან ერთად კი ქვეყნის პირველობასაც ჩაუყარეს საფუძველი.

პირველი ჩემპიონატი, „ფერენცვაროშის" უდიდესი სურვილის მიუხედავად, კლუბმა ვერ მოიგო. არადა, ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელებს, რომლებიც ამავდროულად „ფრადის" დამაარსებლებიც იყვნენ, თავისუფლად შეეძლოთ გუნდი გაეჩემპიონებინათ, თუმცა მათ სამართლიანობის დარღვევა აზრადაც არ მოსვლიათ. ჩემპიონობის სიტკბო კი „ფერენცვაროშმა" პირველად 1903 წელს იგემა და ისე მოეწონა, მას შემდეგ მუდამ პირველობისთვის იბრძვის.

### „ფრადი" და ვარსკვლავები

ბოლო 15 წელს თუ არ ჩავთვლით, „ფერენცვაროშში" ყოველთვის თამაშობდა არათუ უნგრეთის, მსოფლიო დონის ერთი ვარსკვლავი მაინც. პირველი ასეთი გერმანული წარმოშობის უნგრელი იმრე შლოსერი გახლდათ. იგი კლუბში 1906 წელს მივიდა. იმ დროს 17 წლის ყმაწვილი იყო, მაგრამ მაშინვე „ფრადის" საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. შლოსერს საოცარი დრიბლინგი და ბურთის ფლობის უნარი ჰქონდა, არც გოლის გატანის ალღო ღალატობდა. მან „ფერენცვაროშში" 9 წელიწადი დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში კლუბი ექვსჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, რაც უმეტესწილად შლოსერის დამსახურება იყო. 1915 წელს ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი „მტკ"-ში გადავიდა. იქ თერთმეტი სეზონი ითამაშა და აქედან ათჯერ უნგრეთის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. შლოსერმა უნგრეთის ნაკრებშიც გამოიჩინა თავი. ეროვნული გუნდის მაისურათი ჩატარებულ 68 მატჩში 58 გოლი გაიტანა.

მეორე საერთაშორისო დონის ვარსკვლავი „ფერენცვაროშში" 20-იანი წლების მიწურულს გამოჩნდა. დიერდ შაროში მინდორზე, უპირველეს ყოვლისა, თავისი ინტელექტით გამოირჩეოდა. 1938 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც ისტორიაში რიგით მესამე იყო, უნგრეთის ნაკრები ფინალში გავიდა და იქ იტალიელებთან 2:4 დამარცხდა. უნგრელებისგან მეორე ადგილს არავინ ელოდა. მაგრამ მათ ნაკრებში შაროში ჰყავდათ, რომელიც გუნდის სული და გული გახლდათ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ „ფერენცვაროშს" ახალი აღმასვლის ხანა დაუდგა. კლუბის შემადგენლობა ამ დროს ომამდელთან შედარებით მთლიანად შეიცვალა. გუნდში ახალი ფეხბურთელები მივიდნენ, რომელთა შორისაც ორი აშკარად გამოირჩეოდა. შანდორ კოჩიში და ზოლტან ციბორი „ფრადის" ნამდვილი ლიდერები გახდნენ. შედეგად 1949 წელს გუნდმა მეჩვიდმეტედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. სპეციალისტები კლუბს ნათელ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ კომუნისტურ პარტიას „ფერენცვაროშის", როგორც არისტოკრატთა კლუბის არსებობა, ხელს არ აძლევდა. მთავრობაში 1949 წლის ივნისში მისი დაშლა გადაწყვიტეს და შესაბამისი ღონისძიებების გატარებაც დაიწყეს, მაგრამ მისი ბოლომდე განხორციელება ვერ შეძლეს. „ფრადიმ" არსებობა განაგრძო, თუმცა მნიშვნელოვნად შესუსტდა. მის ხელახალ მომძლავრებას კი ათიოდე წელი დასჭირდა.

1958 წელს კლუბის შემადგენლობაში ფლორიან ალბერტი გამოჩნდა. მაშინ იგი იმრე შლოსერის მსგავსად, მხოლოდ 17 წლის იყო. ერთი წლის შემდეგ კი ალბერტმა უნგრეთის ნაკრებშიც ითამაშა. მისი დებიუტი გერმანიის ეროვნულ გუნდთან ამხანაგურ მატჩში შედგა, რომელიც ბუდაპეშტში, გადაჭედილ „ნეპშტადიონზე" გაიმართა. ის შეხვედრა მასპინძლებმა 4:3 მოიგეს. თუმცა ანგარიშზე მეტად უნგრელები ალბერტის თამაშმა გაახარა. მაღალი, ელეგანტური ფერენცვაროშელი მინდორზე საუკეთესო გახლდათ. მალე ალბერტის ვარსკვლავი ევროპაშიც აკაშკაშდა — 1968 წელს იგი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ფლორიან ალბერტი უნგრული ფეხბურთის ისტორიაში ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა.



უტევს უნგრეთის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ფლორიან ალბერტი

### „ფრადი" და ევროპა

ევროპაში „ფერენცვაროში" 1900 წელს გამოჩნდა, თუმცა 1928 წლამდე უნგრელები მხოლოდ ამხანაგურ მატჩებს მართავდნენ. 1928 წელს კი თავის ისტორიაში პირველ საერთაშორისო ტურნირში ჩაებნენ. მიტროპის თასი ყოველწლიურად თამაშდებოდა. მაშინ იგი ევროპაში ერთადერთი ოფიციალური ტურნირი იყო და საკმაოდ პრესტიჟულადაც ითვლებოდა. პირველივე ცდაზე „ფრადიმ" დიდ წარმატებას მიაღწია, ფინალში უპრობლემოდ გავიდა, სადაც ვენის „რაპიდი" ელოდა. მატჩები მიმოსვლით გაიმართა. თუმცა თასის ბედი პირველივე შეხვედრაში გადაწყდა, როდესაც უნგრელებმა შინ 7:1 დაამარცხეს ავსტრიელები. საპასუხო მატჩს აზრი პრაქტიკულად დაკარგული ჰქონდა, „ფერენცვაროში" ვენას თასის მისაღებად უფრო ეწვია, ვიდრე სათამაშოდ, ფეხბურთელებიც მოდუნებულნი იყვნენ და ამიტომ მათი მარცხი არავის გაჰკვირვებია — 3:5. უნგრელები სამშობლოს თასით ხელდამშვენებულნი დაუბრუნდნენ.

„ფერენცვაროშმა" მიტროპის თასი ცხრა წლის შემდეგაც მოიგო, როცა ფინალში იტალიური „ლაციო" ბუდაპეშტში 4:2 დაამარცხა, რომში 5:4.

1965 წელს კი კლუბმა თავის ისტორიაში უდიდეს წარმატებას მიაღწია. „ფერენცვაროშმა", როგორც თავში აღვნიშნეთ, ბაზრობათა თასი მოიპოვა. თასის აღებამდე უნგრელებმა მართლაც ძნელი გზა განვლეს, „ვენისა" და ბილბაოს „ატლეტიკის" ძლევის შემდეგ, ნახევარფინალში „მანჩესტერ იუნაიტედი" დაამარცხეს და ფინალში გავიდნენ, სადაც მათი მეტოქე ტურინის „იუვენტუსი" გახლდათ. „ფერენცვაროშმა" ფინალური მატჩი ჩინებულად ჩაატარა, ფენვეშის მიერ 74-ე წუთზე გატანილი გოლით 1:0 გაიმარჯვა და საპატიო თასსაც დამსახურებულად დაეუფლა. „ფერენცვაროშმა" ფინალი ასეთი, შემადგენლობით ჩაატარა: ჩეჟი, ნოვაკი, ორლოცი, გარაბა, იუჰაზი, რაკოში, ვარგა, ჰორვატი, მატრაი, ალბერტი, ფენვეში. აღსანიშნავია, რომ ამ შემადგენლობიდან ხუთმა ფეხბურთელმა (ალბერტი, ვარგა, მატრაი, რაკოში, ფენვეში) 1966 წელს ინგლისში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატშიც მიიღო მონაწილეობა. მაშინ უნგრეთის ნაკრებს ძალიან კარგი გუნდი ჰყავდა, ბევრის თქმით, მისი ჩემპიონობა გასაკვირი სულაც არ იქნებოდა, მაგრამ უნგრელები მეოთხედფინალში გამოეთიშნენ ტურნირს, როცა საბჭოთა კავშირის ნაკრებთან დასანანი მარცხი განიცადეს — 1:2. არადა, მანამდე უნგრელებმა ბრაზილიის უძლიერეს ნაკრებთან ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმეს — 3:1.

„ფერენცვაროში" ბაზრობათა თასის ფინალში 1968 წელსაც გავიდა, თუმცა წარმატების გამეორება ველარ შეძლო. პირველი მატჩი ინგლისში „ლიდსმა" 1:0 მოიგო. ბუდაპეშტში საპასუხო შეხვედრა ფრედ 0:0 დასრულდა უნგრელებიც უთასოდ დარჩნენ.

ევროპული ტურნირების ფინალში „ფერენცვაროშმა" 1975 წელსაც შეაბიჯა. მაშინ გუნდი შინაურ ასპარეზზე მესამე ადგილზე იყო და პირველობის შანსი ფაქტობრივად აღარ ჰქონდა. ამიტომ უნგრელებმა მთელი ყურადღება თასების მფლობელთა თასის გათამაშებაზე გადაიტანეს. „ფრადი" ფინალამდე ისე მივიდა, მარცხი არ უწვნევია, მეტოქეებად კი ისეთი ძლიერი კლუბები ჰავდა, როგორებიც ინგლისის „ლივერპული" და იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდა" არიან. მათ გარდა უნგრელებმა გზიდან უელსური „კარდიფ სიტი" და შვედური „მალმიო" ჩამოიცილეს, ფინალში კი კიევის „დინამოს" დაუპირისპირდნენ.

ამ მატჩში „ფერენცვაროშს" კაპიტანი ლასლო ბალინტი აკლდა, რომელმაც ნახევარფინალში წითელი ბარათი მიიღო. უკაპიტნოდ დარჩენილი „ფერენცვაროშის" ქომაგებსაც გამოცდილი მეკარის იშტვან გეცისა და უნგრული ფეხბურთის ახალი ამომავალი ვარსკვლავის ტიბორ ნილაშის იმედი ჰქონდათ. სხვა ცნობილი ფეხბურთელი გუნდში უკვე აღარ თამაშობდა.

„ფერენცვაროშის" ფინალში გასვლა ყველასათვის ძალიან მოულოდნელი აღმოჩნდა. „ფრადის" ფავორიტად არავინ თვლიდა. ეს ბუნებრივიც იყო, გათამაშებაში ხომ მადრიდის „რეალი", „ლივერპული", „ეინდჰოვენი", ფრანკფურტის „აინტრახტი" და სხვა ძლიერი კლუბები მონაწილეობდნენ. „ფრადის" მთავარი მწვრთნელის ენო დალნოკის თქმით, უნგრელების წარმატება სწორედ იმან განაპირობა, რომ მათ ფავორიტად არავინ თვლიდა.

ფინალში კიეველებმა აშკარად აჯობეს „ფერენცვაროშს". უფრო ლაღად და თავისუფლად ითამაშეს და უპრობლემოდ მოიგეს — 3:0. „ფრადიმ" ევროპული ტურნირების ფინალი მეორედ წააგო და კვლავ უთასოდ დარჩა. მას შემდეგ უნგრელებს გადამწყვეტი მატჩი აღარ უთამაშიათ.

### „ფრადი" დღეს

დღეს „ფერენცვაროში" უნგრული ფეხბურთის ლიდერი აღარაა, მაგრამ მას კვლავაც მოწინავეთა შორის მოიხსენიებენ. ეს ძველი თაობების დამსახურება უფროა, ვიდრე ახლანდელის. ევროპულ ასპარეზზე „ფრადი" თითქმის ყოველ წელს გადის, თუმცა თავს ვერაფრით იჩენს. უმეტეს შემთხვევაში პირველ ან მეორე ეტაპზე ეთიშება შეჯიბრს.

3 წელია, „ფერენცვაროში" ველარც უნგრეთის ჩემპიონი ხდება. შარშანდლის მსგავსად წლეულსაც მეორე ადგილზე გავიდნენ. ახლახან კლუბი ხორვატმა მწვრთნელმა მარიან ვლაკმა დატოვა, რომელიც შარშან მშობლიური „კროაციადან" მივიდა, მაგრამ უნგრეთში ერთ სეზონზე მეტხანს ვერ გაძლო და კონტრაქტის გაგრძელებას, გაცლა ამჯობინა.

კლუბის პრეზიდენტ იოზეფ ტორგანს, რომელიც ამავდროულად ქვეყნის სოფლის მეურნეობის მინისტრიც გახლავთ, ძველი დროების დაბრუნება სურს, მაგრამ უნგრული ფეხბურთის დღევანდელ დონეს თუ გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მისი სურვილი, სურვილადვე დარჩება.

ასეა თუ ისე, დღესდღეობით „ფრადი" კვლავაც უნგრეთის ყველზე ტიტულოვანი გუნდია, მასვე ეკუთვნის ქვეყნის რეკორდების უმეტესობა. მაგალითად: მოგება ჩემპიონატში — 13:0 „დიორ ეტოსთან", მოგება თასზე 11:1 „უიპეშტთან", საუკეთესო შედეგი ჩემპიონატში — 1932 წელს 22 მატჩი, 22 მოგება, ბურთები 105:18 და სხვა.

მაგრამ ეს ყველაფერი, მაინც ძველი თაობების დამსახურებაა...

**ვანო ოქროპირიძე**



1937 წელს ბუდაპეშტის „ფერენცვაროშმა" მიტროპის თასი მეორედ მოიპოვა

# ოქროსმაძიებლებმა ოქრუაშვილი გზიდან ჩამოიშორეს

**ნახევარფინალი II მატჩი**

**ვითა — სტუ 3:0**
სამ მოგებამდე

15 მაისი. თბილისი. ვერის ბაღი

**სტუ 70:73 ვითა**

I ტაიმი 29:29

სტუ: მიქაძე (4), ჩხეიძე (16), გ. ნაცვლიშვილი (16), ცქიტიშვილი (12), ოთიურიძე (12); მოისწრაფიშვილი, გაგნიძე (5), ჩერქეზიშვილი, ლოსაბერიძე (3), მინაშვილი (2)

ვითა: უსტიაშვილი (6), ტურაშვილი (15), კოკოლიშვილი (15), ორმოცაძე (4), კორძაძე (6); ბაქრაძე, დავითულიანი (2), აბრამიძე (13), ახალკაცი (2), ჩუბინიძე (10)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ზურაბ აბაშიძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

შეხვედრას წინ ისეთი ამბები უძღვოდა და მოვლენები შემდგომაც ისე განვითარდა, რომ კულუარული ამბების მოყვარულთ უეჭველად ეს უფრო დააინტერესებთ. ისე, არც მატჩი გახლდათ ურიგო, მაგრამ თავისი მნიშვნელობის მიუხედავად, ვერისბალურმა ინტრიგებმა გადაწონა.

უმთავრესი ალბათ მაინც ნამატჩევს მოხდა. შეხვედრა ის-ის იყო დამთავრდა, როცა დარბაზში სტუ-ს მთავარი მწვრთნელი თამაზ ოქრუაშვილი გამოჩნდა...

### ოქრუაშვილი გადადგა?

„გუნდიდან მივდივარ, თავს ვანებებ" — ასე გვიპასუხა თამაზ ოქრუაშვილმა, როდესაც თამაშზე დაუსწრებლობის მიზეზს დავეკითხეთ.

ცხადია, არ მოვეშვებოდით და მოგვიანებით ვთხოვეთ, უფრო დაეკონკრეტებინა გუნდიდან წასვლის მიზეზები.

*ოქრუაშვილი:* „მიზეზი გაინტერესებთ? ვერ ხედავთ, რომ ყველაფერი უმსგავსობა ჩვენთან ხდება? და რაც ყველაზე მთავარია, აშკარაა, ფედერაციის ხელმძღვანელობა მე მიპირისპირდება".

სტუ-ს მწვრთნელმა ეს სიტყვები ცხელ გულზე წარმოთქვა, მას შემდეგ, რაც სტუდენტურ კლუბს საბოლოოდ გადაეწურა ფინალში თამაშის იმედი. დრო ხომ ყველაფრის მკურნალია და ვინ იცის, იქნებ ოქრუაშვილმაც აზრი შეიცვალოს.

### გაგვწირეს, გაგვწირეს!

თითქმის გადწყვეტილია, გადათამაშება არ შედგება, „ვითა" — სტუ-ს პირველი შეხვედრის შედეგი ალბათ უცვლელი დარჩება, რადგან დილის პრესკონფერენციისგან განსხვავებით, სტუდენტთა თავკაცობა ბედს შეჰგუებია. კლუბის პრეზიდენტ მამუკა კაციტაძეს რომ ვკითხეთ, რა ქენით, პროტესტის წერილი თუ აახლეთ სააპელაციო კომისიასო, დანანებით ხელი ჩაიქნია და მოგვიგო:

„ამის აზრს ველარ ვხედავ. ხომ უყურებთ, რაც ხდება, რა ამბები ტრიალებს, ახლა გაიძახიან, ფიბას კანონებით უნდა ვიმოქმედოთო. ამ წესის თანახმად, გადათამაშება დაუშვებელია. თუ ასეა, სააპელაციო კომისიის ფუნქციას ველარ ვხვდები — ფიბას კანონები ხომ ისედაც დაცული იქნებოდა. არადა, ვიმეორებ, ჩხეიძეს ოთხი პერსონალურით დაატოვებინეს მოედანი, რომ იტყვიან, გაგვწირეს".

### დათიკაშვილი გამოჩნდა და...

მატჩის წინ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი დუდუ დადიანი ამბობდა, ნათქვამს ალარ გადავალთ, სააპელაციო კომისიამ ვითელებს, აბრამიძესა და ტურაშვილს არასპორტული საქციელისთვის 200-200 ლარი ჯარიმა რომ დააკისრა, კლუბმა ახლავე უნდა გადაიხადოს, თორემ კალათბურთელები თამაშზე არ დაიშვებიანო.

აკი შეხვედრის წინ „ვითას" შემადგენლობის გამოცხადებისას აბრამიძის და ტურაშვილის გვარი არც უხსენებიათ, მაგრამ სად იყო და სად არა, დარბაზში ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და კლუბ „ვითას" ყოფილი პრეზიდენტი (ახლაც რომ დაუფარავად ქომაგობს ამ გუნდს) თემურ დათიკაშვილი გამოჩნდა და... გამომცხადებელმა გულშემატკივარს აცნობა, ორივე კალათბურთელი ითამაშებსო.

### მატჩი

თამაზ ოქრუაშვილის არყოფნაში გუნდს მისი თანაშემწე, მერაბ ცირეკიძე გაუძღვა. ეს საქმე კი მოგვარდა, მაგრამ ლიდერის, ვახტანგ ნაცვლიშვილის გარეშე დარჩენილი სტუდენტობა (ვატოს წინა დღეს ფეხი უტკენია) თითქოს წინდაწინვე განწირული ჩანდა.

ამან გარკვეულწილად „ვითაზეც" იმოქმედა და შეხვედრაც გუნდებმა დუნედ, ულიმლამოდ დაიწყეს. საწყისი წუთები თანაბარ ბრძოლაში გაილია, მაგრამ შემდეგ შეცვლაზე შემოსულმა ჩუბინიძემ იმარჯვა და ზედიზედ ორი გარღვევით თავისიანები დააწინაურა 9:5.

სტუ ქაოსურად უტევდა. მოთამაშეები ინდივიდუალურად ცდილობდნენ ფონს გასვლას, რაც არცთუ ხშირად გამოსდიოდათ. ამიტომაც იყო, რომ თითქმის მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ჩემპიონმა მდევრის როლში ამყოფა მეტოქე.

ბოლოს და ბოლოს ცირეკიძემ ოპტიმალურ ხუთეულს მიაგნო, გუნდიც ჩვეულად ათამაშდა და ანგარიში გაათანაბრა — 24:24. სანაცვლოდ შეხვედრას სანახაობრივობა წაუხდა, რადგან გუნდებმა ნაადრევი 7-7 გუნდური ჯარიმა მიიღეს. ამის შემდეგ თითქმის ყველა შეტევა დაჯარიმებით მთავრდებოდა და კალათბურთელებიც უფრო პერსონალურებში ოსტატდებოდნენ, ვიდრე თამაშობდნენ. მოწინაალმდეგეები ამ კომპონენტშიც თანაბარი სიზუსტით გაისარჯნენ და ეს მოსაწყენი, უშინაარსო პირველი ტაიმიც ასე ჩამთავრდა.

სულ სხვანაირი გამოდგა მატჩის მეორე ნახევარი. თავისი დრამატიზმით და დინამიკით გაჭრილი ვაშლივით წააგავდა ამ გუნდების წინა დღის შეხვედრას. მაშინდელივით ახლაც რკინის ნერვებმა და გამოცდილებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი.

განახლდა თამაში და სტუ-მ იმძლავრა, „ვითას" ზონური დაცვა ვერაფრით უმკლავდებოდა ლომივით მებრძოლ გიგი ნაცვლიშვილს. მას ნიკა ცქიტიშვილმაც ხელი წააშველა და ის მონაკვეთი სტუ-მ 10:2 მოიგო.

რვაქულიან ჩამორჩენას „ვითა" არ შეუშინდა. ტომარაძის შეგირდები პერსონალურ მეურვეობაზე გადაეწყვნენ და შეტევებშიც მეტი ორგანიზებულობა დაეტყოთ. წინა დღის გმირებმა — მამუკა ტურაშვილმა და ნუგზარ კოკოლიშვილმა სულ რაღაც ორ წუთში სამი სამიანი მოათავსეს, რითიც მეტოქეს აგრძნობინეს, გადაღებული საქმე ეშმაკისაა, ფინალისტი დღესვე უნდა გაცხადდესო.

თავის მხრივ არც სტუ აპირებდა ფარ-ხმალის დაყრას. ჩხეიძე და ოთიურიძე კიდევ კარგა ხანს უნარჩუნებდნენ გუნდს ლიდერობას, თუმცა კრიტიკულ მომენტში მამუკა აბრამიძის კარგმა თამაშმა ტაბლოზე თანაბარი ანგარიში დააფიქსირა — 54:54.

ამის შემდეგ შეხვედრა ქულა ქულაში წარიმართა. მეტოქეთა დაპირისპირება ნერვების ჭიდილშიც გადაიზარდა. ამ მხრივ კი მეტად გამოცდილმა „ვითამ" იმარჯვა და შეხვედრის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ტურაშვილმა ოთხი ქულით დააწინაურა თავისიანები — 69:65.

მეორე ტაიმის დამთავრებას სულ რაღაც 45 წამი აკლდა. „ვითა" ოთხ ქულას იგებდა და ბურთსაც თავად ფლობდა, როცა უსტიაშვილმა უპატიებელი შეცდომა დაუშვა, წინ გაჭრილ ჩხეიძეს ეუხეშა და მსაჯებს განზრახ ჯარიმაც დასტყუა. ჩხეიძემ მხოლოდ ერთი პერსონალური გამოიყენა, თუმცა გვერდიდან შემოტანილ ბურთს გიგი ნაცვლიშვილმა ვითელთა კალათში მიუჩინა ადგილი. სხვაობაც მინიმუმამდე შემცირდა.

დარჩენილ წამებში „ვითამ" ბურთის გათამაშებას მიჰყო ხელი, თუმცა სტუდენტები არ ანებებდნენ და ხშირადაც ჯარიმდებოდნენ. ჩერქეზიშვილი ტურაშვილზე დაჯარიმდა და მამუკამაც შეიშნო — ორივე პერსონალური გამოიყენა.

სტუდენტებს სამიანილა თუ უშველიდათ, გიგი ნაცვლიშვილმა მოსინჯა კიდეც შორიდან სროლა, მაგრამ... მერე დროც ამოიწურა.

**გიორგი ბიქაშვილი**



სტუ — ვითა. სტუდენტებს ვერც გამოცდილმა ნიკო ჩერქეზიშვილმა (ბურთით) უშველა, ნაცადმა ვითელებმა თავისას მაინც მიაღწიეს

# სტუდენტები ოქრო-ვერცხლს არ გააკარეს

**ნახევარფინალი II მატჩი**

**აზოტი — თსუ 3:0**
სამ მოგებამდე

15 მაისი. თბილისი. ვერის ბაღი

**თსუ 84:92 აზოტი**

I ტაიმი 46:44

თსუ: ვეფხვაძე, დიმიტრიადი (5), მარკოიშვილი (12), ქარაბაკი (34), არსიაშვილი (11); მშვილდაძე (1), მგალობლიშვილი (5), ნოწელია (10), ხელაშვილი (6), ქარჩავა

აზოტი: ჟღენტი (11), გაბისონია (6), გოგობერიშვილი (30), ბაბიაშვილი (6), ჯაფარიძე (26); ბერუაშვილი (11), გოგოლაძე (2), ჩაჩუა, ჯიმშელეიშვილი

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ნუგზარ ჭეიშვილი

კომისარი: ნოდარ დარახველიძე

თსუ-ს კალათბურთელებისთვის მზიანი დღესავით ნათელი იყო, რომ წაგების შემთხვევაში ფინალს მიღმა რჩებოდნენ. ამიტომაც სტუდენტებმა მატჩის პირველი წუთებიდანვე შეუტიეს მეტოქეს. განსაკუთრებით გოჩა არსიაშვილი გამოირჩა, რომელმაც ერთმანეთის მიყოლებით მოათავსა სამი ორქულიანი მეტოქის კალათში. ერთი სამქულიანიც გიორგი მარკოიშვილმა ჩააგდო და მესამე წუთისათვის 9:5 იყო თსუ-ს სასარგებლოდ.

სტუდენტების წარმატებული სტარტის მიუხედავად, ვიცე-ჩემპიონებმა, გუნდის კაპიტნის, რამაზ გოგობერიშვილისა და ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ცენტრის, ირაკლი ჯაფარიძის ძალისხმევით მერვე წუთისთვის ანგარიშის გათანაბრება შეძლეს. მალე გაბისონიამ მოათავსა სტუდენტების კალათში სამქულიანი და იქმნებოდა შთაბეჭდილება,. რომ „აზოტი" საბოლოოდ ჩაიგდებდა ხელში მატჩის სადავეებს, მაგრამ თსუ კვლავ გააქტიურდა. ნოდარ ქორქიამ წუთშესვენება ითხოვა და ბიჭებს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ გადამწყვეტი მატჩი იყო. ჯაფარიძეს აჩიკო ხელაშვილი მიამაგრა, ახალგაზრდა ვეფხვაძე და მშვილდაძე კი აჩრდილებივით აედევნენ გოგობერიშვილს. ჯანიანმა ლევან ქარაბაკმა კი მეტოქის ფარის ქვეშ სტუმრობას მოუხშირა. მან აშკარად დაჩრდილა თსუ-ს ყოფილი თავდამსხმელი ზვიად ბაბიაშვილი. ვერც აჩიკო ჟღენტი იყო ჩვეულ ფორმაში და სტუდენტებმა მართალია სულ მხოლოდ 2 ქულით, მაგრამ მაინც შეძლეს ტაიმის მოგება.

შესვენების შემდეგ კვლავ აქტიურობდა ქარაბაკი, რომელზედაც თსუ-ს შეტევათა უმრავლესობა იგებოდა. ხოლო „აზოტი", როგორც ყოველთვის, გოგობერიშვილისა და ჯაფარიძის იმედად იყო. როდესაც მეშვიდე წუთზე რუსთაველთა ცენტრმა ჯაფარიძემ ზედიზედ ორი სამქულიანით ცხრა ქულამდე გაზარდა სხვაობა ანგარიშში, აშკარა გახდა, რომ თსუ მატჩის გადარჩენას ველარ შეძლებდა. ეულად მებრძოლი ქარაბაკი დიდ საშიშროებას ალარ წარმოადგენდა თამაშის აზარტში შესული რუსთაველი კალათბურთელებისათვის, თორემ ცხრა ქულა ის სხვაობა არაა, რვა წუთში გაქვითვა არ შეიძლებოდეს.

დარჩენილმა დრომ ფორმალური სახე მიიღო, რადგან თსუ მიხვდა, ფინალში გამსვლელი არ იყო, ძალა და ენერგია მესამე ადგილისთვის საბრძოლველად შემოინახა, სადაც მისი მეტოქე ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები იქნებიან.

თამაშის გამწვავების მომხრე, ბუნებრივია, არც „აზოტი" უნდა ყოფილიყო, რომელსაც ფინალში მრისხანე მეტოქე ელოდებოდა „ვითას" სახით. ჩემპიონებმა კი მართალია დიდი ენეგრია შეალიეს სტუ-სთან გამარჯვებას, მაგრამ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ოქროს მედლებს იოლად არავის დაუთმობენ.

**როლანდ ლაგუჩიძე**



თსუ — აზოტი. რუსთაველმა მიხეილ ბურუაშვილმა (№6) და მისმა თანაგუნდელებმა სტუდენტებს იოლად აჯობეს

# მსაჯი მაჩალაძე გადაგვემტერა, უხილავ ძალებს კი ვითას ჩემპიონობა სურთ



მამუკა კაციტაძე



თამაზ ოქრუაშვილი

პლეი ოფის პირველ შეხვედრაში, მოგეხსენებათ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა „ვითასთან" წააგო. მარცხი მარცხად, მაგრამ ნამატჩევს მსაჯობით უკმაყოფილო სტუდენტური გუნდის თავკაცობა კარგა ხანს არ ცხრებოდა, აქაოდა...

მოკლედ, იმ დღეს ჭორ-მართალს კაცი ძნელად თუ გაარჩევდა. ჰოდა, სტუ-ს ხელმძღვანელობამ არც აცია, რაც აცხელა და გუშინ დილითვე სახელდახელო პრესკონფერენცია გამართა, პრესკონფერენციაო კი ვთქვით, თუმცა მედიის ინტერესი არცთუ დიდი იყო — სტუდენტთა საწვრთნელ ბაზაზე კლუბის პრეზიდენტთან და მწვრთნელებთან შეხვედრას მხოლოდ ორი ჟურნალისტი დაესწრო.

თავიდანვე გაცხადდა, რომ საუბარი ძირითადად ზემონახსენები შეხვედრის მსაჯებს და მათ მიერ ნამოქმედარს შეეხებოდა, რამაც, ჩვენი მასპინძლების აზრით, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მატჩის საბოლოო შედეგზე.

„ჩვენს პოზიციას მოგვიანებით შეიტყობთ, იქამდე კი ჯობს, ამ თამაშის ვიდეოფირს შევავლოთ თვალი, თავადაც დარწმუნდებით, რომ აქ ტყუილად არ მოგვიწვევიხართ" — გვითხრა კლუბის პრეზიდენტმა მამუკა კაციტაძემ და ჩვენც მოვემზადეთ.

კიდევ ერთხელ გაირბინა ჩვენს თვალწინ იმ მართლაც დაძაბული და პრინციპული შეხვედრის პერიპეტიებმა, თქვენს ყურადღებას კი, ცხადია, იმ ძირითად ეპიზოდს მივაპყრობთ, რამაც სტუდენტობა ალაშფოთა და კლუბის ხელმძღვანელობას პროტესტის წერილიც დააწერინა.

საქმე ისაა, რომ მატჩის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე, როცა სტუ 10 ქულას იგებდა, მსაჯებმა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, რეზო ჩხეიძე დააჯარიმეს. გამომცხადებლის ინფორმაცია, ჩხეიძე მეხუთედ დაჯარიმდაო, თავიდან ყველამ შეცდომად აღიქვა, თუმცა, სტუ-ს შედავების მიუხედავად, მსაჯთა მაგიდას აზრი აღარ შეუცვლია და ჩხეიძემაც მოედანი დატოვა. ვიდეოფირის რამდენჯერმე ნახვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ჩხეიძემ პირველი ტაიმი სამი პერსონალურით დაამთავრა, მეორე ნახევარში კი სტუდენტთათვის იმ საბედისწერო წუთზე რიგით მეოთხე ჯარიმა მიიღო. ფაქტია, რომ შუალედში ჩხეიძე არამცთუ დაჯარიმდა, მისი გვარიც კი არ ყოფილა ნახსენები. სტუ-ს თავკაცობაც ამაზე ბრაზობს, მოედანი რითვისლა დაატოვებინესო, და... ნაწილობრივ მიზეზებსაც გვიმხელს.

„აი, შეხედეთ, გამომცხადებელი ამბობს, ჩხეიძე დაჯარიმდაო, შემდეგ დააკვირდით, რამხელა პაუზას აკეთებს და მერელა აკონკრეტებს, ეს მეხუთე პერსონალურიაო. როგორ გგონიათ, ეს პაუზა შემთხვევითი იყო? — არა, ვიღაცამ ისარგებლა ამით, მეტიც, დაავალდებულა გამომცხადებელი, ასე ეთქვა. ეს ის ხალხია, ვინც უხილავად მოქმედებს და ყველა ღონეს ხმარობს „ვითას" გასაჩემპიონებლად. ვიღაცას ყელზე დავადექით".

დამარცხების უმთავრეს მიზეზად, როგორც გითხარით, სტუ ამ ფაქტს მიიჩნევს. ეს ხომ უსამართლობააო იძახიან, თუმცა მთავარი მწვრთნელი თამაზ ოქრუაშვილი სხვა დეტალებზეც ამახვილებს ყურადღებას: „არაერთხელ ვთხოვეთ ფედერაციას, რომ ჩვენს თამაშებს მაჩალაძე-ბერეკაშვილის დუეტს ნუ ანდობდნენ განსასჯელად. დანამდვილებით ვიცი, რომ ზაზა მაჩალაძე რამდენიმე ჩვენს მოთამაშეს არ სწყალობს. უფრო მეტიც, გადამტერებულია მათზე. აქედან გამომდინარე, ვიცოდით, რომ მსაჯობა ტენდენციური იქნებოდა, ასეც მოხდა, თამაში ოსტატურად დადგმულ სპექტაკლს ჰგავდა".

კითხვაზე, თუ რას აპირებდა ყოველივე ამის შემდეგ სტუდენტური კლუბი, პრეზიდენტმა მამუკა კაციტაძემ ასე გვიპასუხა:

„დღესვე დავწერთ საპროტესტო წერილს, ამასაც და შესაბამის ვიდეომასალასაც სააპელაციო კომისიას წარვუდგენთ და მათგან ამ საკითხის განხილვას მოვითხოვთ. წინა პლანზე კი, რა თქმა უნდა, ჩხეიძის საქმეს დავაყენებთ, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩვენს დამარცხებაში".

კი მაგრამ, რატომ სააპელაციო კომისია და არა აღმასკომი, ფედერაცია, მსაჯთა კოლეგია? რომ არა ეს ამბავი, იქნებ ვერც კი გაგვეგო ჩვენში ამგვარი კომისიის არსებობა.

ალავერდს ფედერაციასთან გადავდივართ. ესოდენ მნიშვნელოვან სიახლეთა გასაიდუმლოება ვის რაში აძლევს ხელს, იქნებ ეგ მინც გაგვაგებინოთ.

ფაქტი კი ერთია, სააპელაციო კომისია მართლაც შეიქმნა, მის შემადგენლობაში ფედერაციის პრეზიდენტი გოგი ქათამაძე, ვიცე-პრეზიდენტი დუდუ დადიანი, სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე ჯონი ქარჩავა და მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე გია მიქაძე შედიან. ამ კომისიის უმთავრესი ფუნქცია კი სადავო საკითხების გადაწყვეტა ყოფილა.

**გიორგი ბიძაშვილი**

## ძარსკვლავები სამშობლოს სამსახურში

ევროპის ჩემპიონატისთვის საწვრთნელ შეკრებაზე მყოფ ლიტვის ნაკრებს დიდი ძალა შეემატა. მას შემდეგ, რაც „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი" პლეი ოფის გათამაშებას გამოეთიშა, მისმა ცენტრმა არვიდას საბონისმა ევროპისკენ გამოსწია და მშობლიური ლიტვის ნაკრების შემადგენლობაში დაიწყო მზადება კონტინენტის პირველობისთვის. შეგახსენებთ, რომ ძირითადად საბონისის წყალობით ლიტვამ ორჯერ მოიპოვა ოლიმპიური ბრინჯაო (1992, 1996), ხოლო 1995 წელს ევროპის ვერცხლის პრიზიორიც გახდა.

იუგოსლავიის ნაკრებს მოგვიანებით, მაგრამ მაინც შეუერთდნენ „საკრამენტო კინგზის" მოთამაშეები ვლადე დივაცი და პრედრაგ სტოიაკოვიჩი. ამან უფრო გააძლიერა ჩემპიონატის მთავარი ფავორიტი, რომელმაც 1995 და 1997 წლებში მოპოვებული ტიტული უნდა დაიცვას.

ევროპის ჩემპიონატი საფრანგეთში ორშაბათს, 21 ივნისს დაიწყება.

## სან ანტონიო სფურზი

*რეგულარული ჩემპიონატი: 37 მოგება, 13 წაგება*

*ადგილი დასავლეთის კონფერენციაში: 1*

*პლეი ოფი: მინესოტა 3:1, ლეიკერსი 4:0, პორტლენდი 4:0*

## ფინალი (ოთხ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| 16 ივნისი | სან ანტონიოში |
| 18 ივნისი | სან ანტონიოში |
| 21 ივნისი | ნიუ იორკში |
| 23 ივნისი | ნიუ იორკში |
| *თუ საჭირო გახდა* | |
| 25 ივნისი | ნიუ იორკში |
| 27 ივნისი | სან ანტონიოში |
| 29 ივნისი | სან ანტონიოში |

## ნიუ იორკ ნიქსი

*რეგულარული ჩემპიონატი: 27 მოგება, 23 წაგება*

*ადგილი აღმოსავლეთის კონფერენციაში: 8*

*პლეი ოფი: მაიამი 3:2, ატლანტა 4:0, ინდიანა 4:2*

ჩვენი დროით ხვალ გამთენიისას, ამერიკელთათვის კი ოთხშაბათ საღამოს ტეხასში, სან ანტონიოს კოხტა დარბაზ „ალამოდოუმში", დაიწყება კალათბურთის ეროვნული ასოციაციის 53-ე ფინალური სერია. ვინ დაიდგამს ოქროს გვირგვინს — რეგულარულ სეზონში დასავლეთის ჩემპიონი თუ აღმოსავლელი მერვეადგილოსანი? ორგზის ჩემპიონი ნიუ იორკი თუ ფინალში პირველად გასული სან ანტონიო? მსოფლიოს ყველაზე დიდი და ხმაურიანი ქალაქის ჯილა „ნიქსი" თუ ამერიკის კვალობაზე საკმაოდ პატარა და მყუდრო ქალაქ სან ანტონიოს „სფურზი"? ვინ გახდება ლიგის 53-ე სეზონის ჩემპიონი, ანუ როგორც ოკეანის გადაღმა ეძახიან — მსოფლიოს ჩემპიონი, ამას ათიოდ დღეში ან ორ კვირაში შევიტყობთ, მანამდე კი კალათბურთის ერთგულ გულშემატკივართ დაძაბულობით და ინტერესით აღსავსე ფინალური სერია გველის.

ფავორიტებად დასავლელები მიიჩნევიან. თუნდაც იმიტომ, რომ ჯერ რეგულარულ სეზონში, შემდეგ კი პლეი ოფში ვისაც შეხვდნენ, ყველას დაუმტკიცეს თავისი ძლიერება. სან ანტონიომ რეგულარულ სეზონში ყველაზე მეტი მოგება დააგროვა, სეზონის გამარჯვებულიც გახდა და პლეი ოფშიც ყველა მეტოქეს გრიგალივით გადაუარა. ერთადერთი გუნდი, რომელმაც შეძლო და პლეი ოფის მიმდინარეობისას თუნდაც ერთი გამარჯვება დასტყუა „სფურზს", ეს მის მიერ პირველივე წრეში ძლეული მინესოტაა. იმ მოგებით მინესოტამ სერიის ანგარიში 1:1 გახადა. ეს იყო და ეს, მას შემდეგ სან ანტონიომ ორი შეხვედრა მოუგო მეტოქეს, შემდეგ ბობოლა ლეიკერსი დასცა ოთხმატჩიან სერიაში და დასავლურ ფინალში „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსსაც" იგივე დღე დააწია. ამგვარად, მის ანგარიშზე ზედიზედ ათი საპლეიოფო გამარჯვებაა.

ამგვარი შთამბეჭდავი სვლა თავისთავად ბევრზე მეტყველებს. სან ანტონიო ჯერ კიდევ პლეი ოფის დაწყებამდე ითვლებოდა ჩემპიონობის ყველაზე რეალურ კანდიდატად. ამჟამად 90-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გუნდი, პირველად თავისი არსებობის მანძილზე, ფინალშია. ნანატრი ჩემპიონობა სულ ახლოსაა, ოქროს თასის დასაპატრონებლად სანანტონიოელებს ოთხი თამაშის მოგება სჭირდებათ — კიდევ ერთი, უკანასკნელი გუნდის საბოლოოდ ძლევაა საჭირო. „სფურზსა" და ჩემპიონობას შორის მხოლოდ ნიუ იორკიღა დგას, მასზე გაცილებით დიდი ტრადიციების მქონე გუნდი, რომელიც აგერ მერვედ გავიდა ფინალში და თავისი მესამე ჩემპიონობის მოსაპოვებლად ყველა ღონეს იხმარს.

გზა ფინალისკენ ნიუ იორკისათვის არ ყოფილა ისეთი შთამბეჭდავი, როგორიც სან ანტონიოს ჰქონდა. რეგულარულ ჩემპიონატში „ნიქსი" არაფრით გამოირჩეოდა. იგი ბოლო, მერვე ნომრად მოხვდა პლეი ოფში, აქ კი მძლავრად ამუშავდა ნიუიორკული მანქანა. „ნიქსი" პირველ და მესამე ეტაპებზე მოსისხლებს — მაიამისა და ინდიანას ლამის სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება და სძლია. ატლანტასაც არავითარი შანსი არ დაუტოვა და საშინლად გააბითურა. ამგვარად მან შეიწირა აღმოსავლეთის ოთხი უძლიერესი გუნდიდან სამი. ახლა ფინალში ღირსეულად, სრულიად დამსახურებულად გასულ სან ანტონიოსაც გამოუჩენს კლანჭებს და თავისას შეეცდება. მაგრამ...

სტატისტიკა ნიუ იორკის წინააღმდეგაა. კერძოდ, ლიგის ხანგრძლივ ისტორიას არ ახსოვს შემთხვევა, მერვე ნომრად განთესილი გუნდი ჩემპიონი გამხდარიყოს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მერვე გუნდი საერთოდ არ მოხვედრილა არც ასოციაციის, არც კონფერენციის ფინალში. ასეთი მხოლოდ ნიუ იორკია. სტატისტიკის მიხედვით, ასევე საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს რეგულარულ სეზონში გამოსვლას. უფრო მეტიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ჩემპიონები ის გუნდები ხდებოდნენ, რომლებიც რეგულარული სეზონის შედეგებით სამ უძლიერესს შორის იყვნენ. ნიუ იორკი მეოთხეა მათ შორის, რომლებიც ფინალში ისე გავიდნენ, რომ სამეულში ვერ მოხვდნენ. მნიშვნელოვანია მოედნის ფაქტორიც, რაც ნიუ იორკზე უარყოფითად მოქმედებს — 52 ფინალიდან მოედნის უპირატესობის მქონეთ 37-ში გაუმარჯვიათ და მხოლოდ 15-ში მათ, ვინც შინ ნაკლები თამაში უწევთ. თუმცა ნიუ იორკს სულაც არ აღარდებს ყოველივე ეს. „ჩვენ მხოლოდ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ — ამბობს ნიუიორკელთა გიჟმაჟი მსროლელი ლატრელ სპრიუელი — სათვალავში არავინ არ გვაგდებდა, მაგრამ დავამტკიცეთ ჩვენი სიძლიერე, სან ანტონიო სულაც არაა მონსტრი, ჩვენ მხოლოდ გამარჯვება გვინდა".

ჩემპიონობა, რა თქმა უნდა, მშვენიერი რამაა, მაგრამ ნიუ იორკელთა მწვრთნელ ჯეფ ვან განდის და მის ბანაკს ერთი დიდი თავსატეხი აქვს. ამ პრობლემას პატრიკ იუინგი ჰქვია. გუნდის ბებერ ლიდერს ინდიანასთან ერთ-ერთ თამაშში აქილევსის მყესი იმგვარად დაუზიანებია, რომ თავისიანებს სან ანტონიოსთან ვერაფერს დაეხმარება. პატრიკი „ნიქსის" სახეაო, ამბობს სანანტონიოელთა სუპერცენტრი დევიდ რობინსონი. „ადმირალს" ერთგვარად გულიც სწყდება, რადგან გულით ეწადა ფინალში პატრიკთან, თავის „მოსისხლე მტერთან" მოედანზე შერკინება. იუინგი, რა თქმა უნდა, ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდისთვის დიდი დანაკარგია, მაგრამ ნიუ იორკის გასაჭირი ამით როდი მთავრდება. ინდიანასთან ბოლო შეხვედრაში თავდამსხმელი ლარი ჯონსონიც დაშავდა — მუხლი იტკინა და პირველი მატჩი შეიძლება გამოტოვოს. ორი მძლავრი ფართამპყრობელის არყოფნაში კი ნიუიორკელები მხოლოდ სათადარიგო მარკუს კემბის იმედადღა არიან, მაშინ, როცა მეტოქეს მთავარი დამრტყმელი ძალა სწორედ ფარქვეშა ჰყავს. ლიგის უძლიერესი დუეტის დანკან-რობინსონის გაჩერებისას ნიუიორკელებს დიდი ჯაფა დაადგებათ. მათ სულაც არა აქვთ იმის გარანტია, რომ დანკანის ენერგიას და რობინსონის გამოცდილებას კემბი და სხვა არაფრით გამორჩეული მაღლები რაიმეს მოუხერხებენ. იუინგის და ჯონსონის არყოფნაში ვან განდის თუ ვინმეს იმედი აქვს, ეს მსროლელები — ალან ჰიუსტონი და ლატრელ სპრიუელია. სწორედ ეს ორი კაცი ითვლება ნიუიორკული მახვილის ბასრ წვერად.

აი, სან ანტონიოს მწვრთნელ გრეგ პოპოვიჩს ყველა ჯანმრთელად ჰყავს. მშვენიერ ფორმაში არიან სუპერმაღლები — რობინსონი და დანკანი. პლეი ოფში მშვენივრად წარმოაჩინა თავისი თავი პატარა გამთამაშებელმა აივერი ჯონსონმა. მათ გარდა ხუთეულში იქნებიან მოძრავი ფრთა შონ ელიოტი და მსროლელი მარიო ელი, ვისაც 1994 და 95 წლებში ჰიუსტონის წევრობისას ორჯერ დაუპყრია ასოციაციის უმაღლესი მწვერვალი. ისევე როგორც ნიუ იორკში, სან ანტონიოშიც მშვენიერი განწყობაა. სანანტონიოელებს, კერძოდ მარიო ელის ერთადერთი პრობლემა აწუხებთ. თუ მას დავუჯერებთ, ეს მხოლოდ წამყვან ნიუიორკელთა არყოფნაა. ეს ჩვენს მოგებას დააკნინებსო, ამბობს მარიო. წინ დიდი ბრძოლაა. არც ერთ გუნდს არ სურს დათმობა.

**ირაკლი ფირაშვილი**



სან ანტონიოს ზემძლავრი წყვილი: დევიდ რობინსონი (№50) და ტიმ დანკანი (№21)



პატრიკ იუინგის არყოფნაში ნიუ იორკს ახალი ლიდერი, ალან ჰიუსტონი (№20) მოევლინა

საქართველოს ჩემპიონატი. მერვე ტური

# ფუი, ეშმაკს და პოლიტიკას!



დათვები — ლოკომოტივი 1. თამაში დიდად შესარგი, ჩხუბი რა საკადრისია

ვინ არის და რას წარმოადგენს ემზარ ძაგნიძე ქართულ რაგბიში, ყველამ კარგად უწყის, მაგრამ ამ ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამ გადაფასდა, ისეთიც კი, რაც არ უნდა გადაფასებულიყო და...

—დღეს იმის ღირსადაც არ მთვლიან, შინ ეროვნული ნაკრების მაისურა მქონდეს. რაგბის კავშირმა ნაკრების ფორმის ჩაბარება მომთხოვა, თუ არა, დისკვალიფიკაციას მოგცემთო. ოღონდ არ დაუზუსტებიათ, როგორ მიპირებდნენ დასჯას...

ეს ამბავი ემზარ ძაგნიძემ ეროვნული პირველობის მერვე ტურის ცენტრალური მატჩის „დათვები"—„ლოკომოტივი 1" დამთავრების შემდეგ გაგვანდო. იმ მატჩისა, რომელმაც ჩვენს სარაგბო სამყაროში ასეთი ვნებათაღელვა გამოიწვია. ეს მატჩი არ იყო ეროვნული პირველობის რიგითი შეხვედრა. არ იყო თუნდაც იმიტომ, რომ ჩემპიონობის ორი მაძიებელი ხვდებოდა ერთმანეთს, მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, შეხვედრას პოლიტიკური ელფერიც დაჰკრავდა. რამდენიც უნდა იძახონ სხვებმა და ვიძახოთ ჩვენ, პოლიტიკას სპორტთან არანაირი კავშირი არ აქვსო, აგერ შინ რა ამბები გვიტრიალებს. გულიც ამიტომ გვტკივა თორემ ქულების მეტი რა უნდა ჰქონდეთ გასაყოფი თბილისელ და ბათუმელ მორაგბეებს.

მატჩის შემდეგ მასპინძელთა გუნდის ხელმძღვანელები უკმაყოფილონი იყვნენ მსაჯობით და ეს დაუფარავადაც განაცხადეს პრესკონფერენციაზე. ისეთი მსაჯი არ დაბადებულა ქვეყანაზე, რაიმე არ შეშლოდეს და ლევან მგელაძეც რა გამონაკლისია, თუმცა ეს საკითხიც არ იყო მთავარი პრესკონფერენციაზე. მთავარი და გულსაკლავი ის გახლდათ, რომ ბათუმელები თავდაჯერებით და თავგამოდებით ამტკიცებდნენ, მსაჯები თბილისის გუნდებს ემხრობიან, ამის დამადასტურებელი არაერთი ფაქტი ვიცითო. ბათუმელებს ზურგს ისიც უმაგრებთ, რომ ამავე აზრისაა ქუთაისის „აიას" ხელმძღვანელობაც. რაგბის კავშირში უკვირთ, რა იცის ამ ხალხმა ამისთანა, ანაც რატომ მოაქვთ თავი ანგელოზებად, იქნებ ჩვენც ვიცით რაღაც-რაღაცეებიო, მაგრამ „ცენტრისა" და „რეგიონთა" გასაგონად ეს უნდა ვთქვათ: ჩვენს ისედაც უნიათო, ღატაკ, თავმოუბმელ ჩემპიონატს შინაქიშპი მთლად დააუძლურებს, იქნებ დაასამაროს კიდეც და...

რა იქნება მერე, უფრო სწორად, რა გვექნება მერე, იოლი მისახვედრია, ასე რომ, ამაზე დაფიქრება ყველას, უკლებლივ ყველას აქედანვე და უცილობლად გვმართებს.

ლაშა თვაური

**სადღეისო ვითარება**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დათვები | 7 | 6 | 1 | 0 | 310:71 | 46:7 | 6 | 19 |
| ლოკომოტივი 1 | 7 | 6 | 1 | 0 | 273:99 | 40:9 | 5 | 18 |
| ყოჩები | 6 | 5 | 0 | 1 | 281:68 | 41:9 | 5 | 15 |
| ზორდა | 7 | 3 | 1 | 3 | 158:94 | 24:11 | 3 | 10 |
| ასკ | 5 | 2 | 1 | 2 | 114:133 | 16:20 | 4 | 9 |
| უნივერსიტეტი | 7 | 3 | 0 | 4 | 128:160 | 18:24 | 2 | 8 |
| ლოკომოტივი 2 | 7 | 1 | 0 | 6 | 72:313 | 12:49 | 2 | 4 |
| რუსთავი | 7 | 1 | 0 | 6 | 63:360 | 6:54 | 0 | 2 |
| აია | 5 | 0 | 0 | 5 | 44:144 | 2:23 | 0 | 0 |

# სამხრეთში წვიმაც სისხლივით თბილია
# ნუ დააბიჯებ სამოელს თავზე

აპია, 13 ივნისი

**სამოა 22:39 საფრანგეთი**

**სამოა:** უმაგა, ლიმა, შუსტერი (სო ოალო 40), ლეაუპეპე, ტუიგამალა, ბეჩოპი, ფილემუ, გლენდინინგი (სიტიტი 64), ლამი (კაპ.), ტიპი (ფუგა 54), ტონე, პალეპოი, პალაამო, ლეოტა, რეიდი

1 ლ — ლეაუპეპე; 1 გ — შუსტერი; 5 ს — შუსტერი (3), ბეჩოპი (2)

**საფრანგეთი:** მოლა (ლამეზონი 45), გარბაჟოზა (სარამეა 32), არტიგუსტი, ნტამაკი, დომინისი, კასტანიედი, მინიონი (გალტიე 70), მანი, ჟუიე, კოსტი (ლაბი 57), პელუ (ორადუ 25), ბენაზი, ტურნერი, იბანესი (კაპ. დალ მაზო 70), კალიფანო (კრენკა 64)

5 ლ — მანი, მინიონი, არტიგუსტი, დალ მაზო, კასტანიედი; 4 გ და 2 ს — კასტანიედი

გაძევება: ლეაუპეპე (45), ლეოტა (49)

საფრანგეთმა ოკეანეთში გამართული პირველი ტესტ-მატჩი მოიგო. კუნძულის მოსახლეობის მეათედზე მეტი — 15 000 კაცი დაესწრო თბილ წვიმაში თავისიანების მარცხს. მატჩის მიწურულს სამოელებს ძალა გამოელიათ და ანგარიშში დიდი სხვაობაც ამის ბრალია. თამაშის უკანასკნელი წუთი რომ დაიწყო, 22:22 იყო. ამ დროს ტომა კასტანიედის მიერ გატანილი საჯარიმოთი საფრანგეთი დაწინაურდა და სამოაც გატყდა. უელსელი მსაჯის მიერ წამატებულ დროში სტუმრებმა კიდევ ორი ლელო გაიტანეს და მატჩიც მოიგეს.

მანამდე კი ბეჩოპს შეეძლო სამოელთა დაწინაურება, მაგრამ მასპინძელთა მე-10 ნომერმა სამჯერ ვერ მოახერხა წყლით გაჟღენთილი ბურთი, საჯარიმო დარტყმით, მეტოქის ძელებს შორის გაეტარებინა. მას ერთხელ მაინც რომ ევარგა, იქნებ 13 დამხვდურს 15 „მამლისთვის" ეჯობნა კიდეც. მსაჯმა მეორე ტაიმის დასაწყისში ჯერ ლეაუპეპე გააძევა, მან მოლას სახეში მუშტი უთავაზა. ცოტა ხანში კი მის გზას ლეოტაც გაუყენა კალიფანოსთან უხეშობისთვის.

„ამ კუნძულზე რაგბი ნამდვილი ბრძოლაა" — ახსნა თავისი გაწვრთნილების საქციელი „ოლ ბლექსის" ყოფილმა ფრთამ ბრაიან უილიამსმა. შეიძლება ახალზელანდიელი მართალია, მაგრამ ბრძოლასაც აქვს საზღვრები, ამიტომაც ლეაუპეპეს და ლეოტას სამიდან ექვს კვირამდე ემუქრებათ დისკვალიფიკაცია. თუმცა მოლა ნამდვილად იყო ცემის ღირსი, რადგან იმ მომენტში ერთ-ერთ წაქცეულ სამოელს ფეხი თავზე დააბიჯა...

თამაში მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და სანამ ფრანგები ატალახებულ მინდორს მიეჩვეოდნენ, სამოელებმა უკვე შეძლეს დაწინაურება. შუსტერმა სამი საჯარიმოთი ანგარიში 9:0 გახადა. ამის მერელა გაიტანეს „მამლებმა" ლელო, თუმცა ათიოდ წუთში ლეაუპეპემაც ისახელა თავი და ისევ ცხრა ქულით გაიყვანა წინ თავისიანები. შესვენებამდე მინიონმაც მოახერხა ლელოს გატანა პირველი ტაიმი კუნძულელებმა 16:12 მოიგეს.

მეორე ტაიმში კი, რომ არა ის ორი წითელი ბარათი, ვინ იცის, ვინ გაიმარჯვებდა. ისე უილიამსს შუსტერი რომ არ შეეცვალა სო ოალოთი... მაგრამ ეს უკვე მეტისმეტი „რომ არა" გამოვა. მომდევნო ტესტში საფრანგეთის ნაკრები ქართველთა კარგ ნაცნობ ტონგას შეხვდება.



REUTERS ბუენოს აირესიდან

არგენტინა — უელსი. არგენტინელებმა უელსელები კი დაჟეჟეს, მაგრამ თამაში წააგეს

ბრისბენი, 12 ივნისი

**ავსტრალია 46:10 ირლანდია**

**ავსტრალია:** ლეიემი, თუნი (ლითლი), ჰერბერტი, ჰორანი, როფი, სპუნერი, გრეგანი, უილსონი (კაპ.), კეფუ (სტრაუსი), კოკბეინი, ბოუმენი, ჯიფინი (უილიამსი), ნორიეგა, პაული, ქროული

6 ლ — თუნი, უილსონი, ჰერბერტი (სტრაუსი 3); 5 გ და 2 ს — სპუნერი

**ირლანდია:** ოში, ბიშოპი, ოდრისკოლი, მეგსი, მოსტინი, ჰემფრიზი, ტირნეი, უარდი, კოსტელო (კორკერი), ოკუინეგენი (კაპ.), დევიდსონი, ჯონსი (ოკელი), უოლასი, ვუდი, კლოჰესი (კორიგანი)

1 ლ — მეგსი; 1 გ და 1 ს — ჰემფრიზი

„სამყურებმა" „ვოლაბებს" პირველ ტაიმში გაუწიეს წინააღმდეგობა და მხოლოდ ათი ქულით დამარცხდნენ — 3:13. შეხვედრის მეორე ნახევარი კი მთლიანად ავსტრალიელების იყო. განსაკუთრებით ნაკრებში დაბრუნებულმა ყოფილმა კაპიტანმა სტრაუსმა და ახალბედა სპუნერმა გაილაღეს. ამ ორმა მორაგბემ ერთად 31 ქულა მოიხვეჭა და ირლანდიელთა განადგურებაშიც ლომის წილი დაიდოს.

თუნის გატანილი ლელოთი და სპუნერის გარდასახვა-საჯარიმოთი მასპინძლები მალე დაწინაურდნენ, მაგრამ მეტის გაკეთებას, უდიდესი სურვილის მიუხედავად, ვერ ახერხებდნენ. ირლანდიამ თავისი დამრტყმელის — ჰემფრიზის წყალობით ანგარიშში სხვაობა შეამცირა და იქნებ მეტოქეს დასწეოდა კიდეც, მაგრამ შეხვედრის არბიტრმა ექსავსტრალიელ მეტ მოსტინს ლელო არ ჩაუთვალა. ტაიმის ბოლო წამებზე კი სპუნერმა ერთი საჯარიმოს შეგდებაც შეძლო — 13:3.

მართალია, ირლანდია აგებდა, მაგრამ ავსტრალიელებს მაინც გვარიანად ანერვიულებდა. თუმცა, მასპინძლებს თავგზა ვერ აუბნიეს, რადგან „ვოლაბები" თავიანთი კაპიტნის, უილსონის გატანილმა ლელომ დააშვიდა და მატჩის ბედიც საბოლოოდ მაშინ გადაწყდა.

სტუმრებს ხელი მეორე ტაიმის დასაწყისში გამოსულმა სტრაუსმა მოუთავა, რომელმაც ბოლო თხუთმეტწუთში სამჯერ გაიტანა ლელო. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ირლანდიამ იბრძოლა, მაგრამ მატჩის ბოლოს მაინც გატყდა. ავსტრალიელები კი, ასეთი კარგი თამაშის მერე, მომავალ მსოფლიოს თასზე გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ ფავორიტებად შეიძლება ჩავთვალოთ.

ამ ორი ნაკრების მორიგი ტესტი 19 ივნისს გაიმართება. მონახავენ კი სტუმრები მასპინძელთა დამარცხების გზას? ძნელი დასაჯერებელია.

ბუენოს აირესი, 12 ივნისი

**არგენტინა 16:23 უელსი**

**არგენტინა:** ალბანეზე, ბარტოლუჩი, ორენგო, არბიზუ, კამარდონი, კონტეპომი (სილი 55), პიშოტი, რუისი, ლონგო, მარტენი (ოსტილია 72), ფერნანდეს ლობე (ალუბი 62), სპორლიდერი (კაპ.), რეგიარდო (პასანი 76), მენდესი (ლედესმა 65), გრაუ

1 ლ — ორენგო; 1 გ — სილი; 3 ს — კონტეპომი

**უელსი:** ჰოვართი, ტომასი, ტეილორი, ბეტმენი, ჯეიმსი, ნ. ჯენკინსი (კაპ.), ჰოლეი, სინკინსონი, ს. ქვინელი, გ. ლუისი, ვიატი, გ. ქვინელი, ევანსი (იანგი 60), გ. ჯენკინსი (შამფრიზი 72), როჯერსი (ლუისი 76)

1 ლ — გ. ჯენკინსი; 5 ს და 1 ა — ნ. ჯენკინსი

არგენტინაში უელსელმა მორაგბეებმა თავიანთი ბრწყინვალედ მოთამაშე კაპიტნის ნილ ჯენკინსის წინამძღოლობით მეორე ტესტ-მატჩიც ჩინებულად ითამაშეს და „პუმები" კვლავ დაამარცხეს.

ამ გუნდების წინა კვირაში გამართული შეხვედრისგან განსხვავებით, შაბათს „ფერი კარილ ოესტეზე" სტუმრებმა თამაში კარგად დაიწყეს. ეს ერთგვარად მასპინძელთა დამრტყმელის, ფელიპე კონტეპომის „დამსახურებაცაა", რომელმაც პირველ ტაიმში თავისიანებს ცხრა ქულა კი შესძინა, მაგრამ ამაზე გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლო საჯარიმოების დარტყმისას ცოტა მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინა. სტუმართა ერთადერთი ლელოც შეხვედრის პირველ ორმოცწუთეულში გავიდა. ამაში, მე-15 წუთზე თავისი კაპიტნის მოგვარეს ბეტმენიც დაეხმარა. ასე რომ, ორი ჯენკინსის წყალობით სტუმრები შესვენებაზე ორქულიანი უპირატესობით გავიდნენ — 11:9.

მატჩი პირველი ტაიმის 28-ე წუთზე ჩხუბისა და აყალმაყალის გამო დროებით შეწყდა. მუშტი-კრივში თავი უელსელთაგან — ძმებმა ქვინელებმა და როჯერსმა და „პუმებმა" — სპორლიდერმა და რეგიარდომ გამოიჩინეს და ამ ორომტრიალში გამარჯვებულნი არგენტინელები დარჩნენ.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა თავიანთი კაპიტნის ზუსტი დარტყმებით თოთხმეტქულიან უპირატესობას მიაღწიეს, მაგრამ თამაშის მიწურულს მოეშვნენ და არგენტინელებს ერთი ლელოს გატანა დაანებეს. თუმცა მასპინძლებმა შეხვედრის ხსნა მაინც ვერ მოახერხეს.

პორტ ელიზაბეტი, 12 ივნისი

**სამხრეთ აფრიკა 74:3 იტალია**

**სამხრეთ აფრიკა:** მონტგომერი, პაულსი, ფლეკი, მიულერი (მალდერი 60), როსოუ (ტერბლანში 66), დიუ ტუა, სვანეპოელი (ვონ ჰოესლინი 68), ვენტერი, ტეიჩმენი (კაპ.), ერასმუსი, ოტო (ვან დენ ბერგი 60), ბუმი, ვიზაგი, ტროტსკე (მარე 67), კემპსონი (ლე რუ 48)

11 ლ — პაულსი (3), დიუ ტუა (2), ტეიჩმენი, ბუმი, ფლეკი, მონტგომერი, ტერბლანში, საჯარიმო; 8 გ და 1 ს — დიუ ტუა

**იტალია:** პერტილე, როზელი, სტოიკა, დალანი, მარტინი (ბარონი 25), მაზარიოლი, მაძი, ჩეკინატო, სავიოძი, ჯიოვანელი (კაპ.), ვისერი, კრისტოფოლეტო, პროპერზი, მოსკარტი, დე კარლი

1 ს — მაძი

იტალიელებმა სამხრეთული ტურნეს მეორე მატჩი გამართეს და კვლავ დამარცხდნენ. „ქურციკებმა" „სკუადრა აძურა" მიწასთან გაასწორეს. სამხრეთაფრიკელებს წლეულს ორი ტიტულის — ზაფხულში სამი ერის, შემოდგომაზე კი მსოფლიოს თასის შენარჩუნება უწევთ. ასეთი თამაშის შემდეგ კი მათ გულშემატკივრებს იმედი უნდა ჰქონდეთ, რომ ბურების შთამომავლები ამას მოახერხებენ.

ხელით ჩინებულად მობურთავე მასპინძლების შეჩერება სტუმრებს რომ ძალიან გაუჭირდებოდათ, ამაში საეჭვო არაფერი იყო. ამასთანავე იტალიელებმა თავადაც მრავალი შეცდომა დაუშვეს და აფრიკელებს ამოცანა უფრო გაუიოლეს. დაცვაში კი „ქურციკები" მართლაც კარგად გამოიყურებოდნენ და მატჩის დასაწყისში მაძის მიერ გატანილი საჯარიმოს გარდა იტალიელთათვის ქულის აღების საშუალება აღარ მიუციათ.

იოსტ ვან დერ ვესტჰოიზენისა და ჰენრი ჰონიბალის არყოფნა მასპინძელთა თავდასხმას არც დასტყობია — თერთმეტი ლელო მართლაც შთამბეჭდავი შედეგია. ერთი სიტყვით, უელსში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე სამხრეთ აფრიკის დამარცხება მართლაც საძნელო საქმე იქნება.

გაგი გურული



REUTERS პორტ ელიზაბეტიდან

სამხრეთ აფრიკა — იტალია. სამხრეთაფრიკელ გერი ტეიჩმენის ლელო

# საქართველოში წყალბურთელები ამფიბიებად აქციეს

## ნაკრები ბუქარესტში სირცხვილის საჭმელად მიდის

## ნეტავ, 0:10-ზე მეტი მაინც არ წავაგოთ...

ცოტაც და დაიწყება წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. საქართველოს ნაკრები იმ ქვეჯგუფშია, რომელიც რუმინეთში ითამაშებს. აქ ჩვენი მეტოქეები იქნებიან მასპინძლები, ხორვატები და პოლონელები. ფინალურ ეტაპზე პირველ-მეორე ადგილებზე გასულები მოხვდებიან. დღეისათვის ცნობილია ფინალური ტურნირის ოთხი მონაწილე — იტალია, როგორც მასპინძელი, ევროპის ბოლო ჩემპიონატის პრიზიორები — რუსეთი, უნგრეთი და იუგოსლავია. ეს ოთხეული შესარჩევი ტურნირისგან თავისუფალია და ავტომატურადაა დაშვებული ფინალში.

შესარჩევი ეტაპი შარშან დაიწყო. რეიტინგიდან გამომდინარე, ჩვენს ნაკრებს ასპარეზობა ყველაზე დაბალი ეტაპიდან მოუხდა. ეს ბარიერი მან სლოვენიაში წარმატებით, შეიძლება ითქვას, იოლადაც დაძლია. მაგრამ მაშინვე გამოიკვეთა მის წინაშე მდგარი ხელის შემშლელი ფაქტორები. არადა, ესენი ადვილად მოსაგვარებელი, ხელოვნურად შექმნილი პრობლემები გახლდათ. ამ ყველაფერმა უკვე შესარჩევი ციკლის მეორე ეტაპზევე, თურქეთში გვიმუხთლა. სამწუხაროდ, იქ ჩვენმა უვარჯიშებელმა ნაკრებმა ვერ შეძლო იმ საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრა, რომლებიც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად აგრძელებდნენ ბრძოლას. თუმცა იქამდე ბევრიც არ დააკლდა — საბოლოოდ მეცხრე ადგილი დაიკავა.

თითქოს ევროსარბიელზე ჩვენი გასვლაც აქ უნდა დასრულებულიყო. დასრულდებოდა კიდეც, რომ არა ღვთისა თუ ბულგარელთა წყალობა — მათმა ნაკრებმა უარი განაცხადა ასპარეზობის გაგრძელებაზე. მათი ადგილი საქართველოს ნაკრებს შესთავაზეს. ჩვენებმაც თანხმობა განაცხადეს და დღეს რუმინეთშიც სწორედ ამ შესარჩევი შეხვედრების გასამართად გაემგზავრნენ. ჩვენის გარდა შექმნილია კიდევ სამი ოთხგუნდიანი ჯგუფი, რომლებიც რვა საუკეთესო გუნდს (ჯგუფიდან ორი) გამოავლენენ. ისინიც დაემატებიან ზემონახსენებ განთესილ ოთხეულს და ევროპის ჩემპიონის ტიტულს გაითამაშებენ.

რუმინეთში წასვლის წინ გავესაუბრეთ ნაკრების მთავარ მწვრთნელად დროებით დანიშნულ **თენგიზ ივანიშვილს**, რომელმაც არცთუ სახარბიელო სურათი დაგვიხატა.

— 18 ივნისს ბუქარესტში დაიწყება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის თამაშები. იქ კი მივდივართ, მაგრამ არასაკმარისი მომზადებით. ბევრი ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, საცურაო აუზი წასვლამდე 23 დღით ადრეღა მოგვცეს, ღია აუზში ვარჯიშის საშუალება კი მხოლოდ ოთხ დღეს მოგვეცა. არ გვქონდა ბურთები თუ სხვა ინვენტარი. ამას დაემატა ლეგიონერთა ჩამოუყვანლობაც. ამ მიზეზით ძირითადის ათი კაცი გვაკლდება. აი, ასეთი ნაკრებით მივდივართ რუმინეთში. მართალია, ზოგიერთები ამ გუნდს ნაკრებს არ უწოდებენ, მაგრამ მაშინ მითხრან, რომელია ნაკრები.

გუნდი აქ დარჩენილი მოთამაშეებისგან შევაკოწიწეთ. ოთხი კაცი დავიმატეთ ახალგაზრდული ნაკრებიდან. ამ გუნდზე კი იძახიან, პერსპექტიულიაო, მაგრამ ბიჭებს ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ სასწავლი. ოცდასამ დღეში კი რამდენი გინდა მოასწრო!

ამ პირობებში ეგებ სჯობდა, არ წავსულიყავით, მაგრამ მაშინ დაგვაჯარიმებენ და ორი წლით დისკვალიფიკაციასაც მოგვცემენ. არავითარი ხელშეწყობა ნაკრებს — არც ბურთები, არც წყალი. „ლაგუნა-ვერეზე" ვარჯიშის საშუალება მას მერე მოგვცეს, რაც ფედერაციის ხელმძღვანელობა შეიკრიბა. ამის გაკეთება ადრეც ხომ შეიძლებოდა?

**— თქვენ, ალბათ, ფედერაციის აღმასკომის სხდომას გულისხმობთ.**

— აღმასკომის სხდომას მე არ დავსწრებივარ და ასეთი რამ საერთოდ არ ვიცი. შეიკრიბნენ ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ გოიაშვილი, გენერალური მდივანი გივი ცქიტიშვილი და ფედერაციის სხვა წევრები. დამიძახეს მეც, მითხრეს, ტუკვაძე წავიდაო და მწვრთნელობა შემომთავაზეს. არც ანგარიში მოუთხოვია ვინმეს და არც მე გამიკეთებია მსგავსი რამ.

**— როგორ, თქვენ აღმასკომს არ დაუმტკიცებიხართ და არც ანგარიშით წარმდგარხართ მის წინაშე?**

— არა, არა! არსად არაფერი მილაპარაკია. მე ბიჭებს „დინამოს" ბაზაზე ვავარჯიშებდი. ფედერაციაში გვეუბნებოდნენ, რუმინეთში ვერ წახვალთო. მე შევედი დეპარტამენტში თავმჯდომარის მოადგილე მურთაზ მნათობიშვილთან და დახმარება ვთხოვე. ის უყოყმანოდ დამთანხმდა და დაფინანსების საქმეში მართლაც ძალიან დამეხმარა. ფედერაციის ხელმძღვანელობაც ამის მერე შეიკრიბა და მწვრთნელობა შემომთავაზა. მე დავთანხმდი და ახალგაზრდული ნაკრებიდან რამდენიმე ბიჭი მოვითხოვე გასასინჯად. მათ ერთი კვირა არ უშვებდნენ ჩვენთან ათასგვარი მიზეზით.

**— რატომ მიმართეთ მნათობიშვილს და არა ფედერაციას?**

— ფედერაციას რამდენჯერაც მივმართეთ, ყოველთვის უარი მითხრეს. თანაც, ფედერაციას რუმინეთში ჩვენს ნაცვლად ახალგაზრდული ნაკრების გაგზავნა უნდოდა. სხვა გზა არ მქონდა და დახმარება მნათობიშვილს ვთხოვე. ისიც უყოყმანოდ დაგვიდგა გვერდში და თუ დღეს რუმინეთში მივდივართ, მისი დამსახურებაა.

**— მრჩება შთაბეჭდილება, რომ პრობლემის მოგვარება ადრეც შეიძლებოდა.**

— თუ ოცი დღით ან ერთი თვით ადრე გვარდება ეს პრობლემები, ცხადია, ადრეც შეიძლებოდა.

**— შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად მოუმზადებელი მიემგზავრებით რუმინეთში, რასაც ლეგიონერთა არყოფნაც ემატება. ასეთ პირობებშიც ფიქრობთ წარმატების მიღწევაზე?**

— რა წარმატებაზეა ლაპარაკი! ასეთი ცუდი გუნდი არასოდეს მყოლია. ის ხომ აქ დარჩენილებისგან შევაკოწიწეთ...

**— იყო თუ არა ლეგიონერების ჩამოყვანის საშუალება და ამასთან, მათთან ერთად ცოტა უკეთესი სავარჯიშო პირობებიც რომ გქონოდათ, მაშინ რა შანსი გვექნებოდა ამ ჯგუფში?**

— მათი ჩამოყვანა შეიძლებოდა. ჩვენს ლეგიონერებს ბევრი რამის შეცვლა შეეძლოთ. მათი დიდი იმედი მქონდა. ისინი ძლიერ საწყალბურთო ქვეყნებში თამაშობენ. სამი მათგანი სულ ახლახან წავიდა — მეკარე ირაკლი ბაქრაძე ამერიკაში, გალაქტიონ ლაითაძე და ზურაბ ალავიძე კი — დანიაში.

**— ბოლოს, რუმინეთში წამსვლელი გუნდიც დაგვისახელეთ.**

— მეკარე გიორგი მახარაძე, გიორგი ჩივაძე, დავით ჩოდრიშვილი, გიორგი გორდელაძე, ოთარ ლომიძე, ირაკლი გოგიჩაიშვილი, ლაშა ბრეგვაძე, რევაზ გიორგაძე, ვახტანგ თურმანიძე, მიხეილ ოგანეზოვი, გიგა მაზიაშვილი.

**ზვიად დავითიანი** ღვიძლის ოპერაციის მერე ჯერ კიდევ არ შესდგომია ვარჯიშს. რუმინეთში ის გუნდის მწვრთნელად მოგვევლინება.

**— ზვიად, თქვენი მწვრთნელობა დროებითია, თუ აქტიურ სპორტს საერთოდ დაანებეთ თავი?**

— არა, სპორტისთვის თავი არ დამინებებია. უბრალოდ, ოპერაციის გამო ერთი-ორი თვე ჩემთვის ჯერ კიდევ არ შეიძლება ვარჯიში. მწვრთნელობას რაც შეეხება, მეორე მწვრთნელი არ იყო და თენგიზ ივანიშვილის რეკომენდაციით მე დამნიშნეს. ჩემს მწვრთნელობამდე ჯერ კიდევ შორსაა.

**— თქვენც იმ შეკრებაზე დაგამტკიცეს?**

— დიახ, ოღონდ არ ვიცი, ეს აღმასკომი იყო, თუ რა. რამდენიმე წელია, საზღვარგარეთ ვარ, მაგრამ რასაც ჩვენს ფედერაციაში ვხედავ, მსგავსი არსად არაფერი მინახავს. სირცხვილიც კია ფედერაციაზე ლაპარაკი. წყალბურთის დიდად გვეიმედებოდა. მეც დიდი მიზნებით ჩამოვედი, მაგრამ ახლა რომ ვუყურებ, მგონია, წყალბურთი კვდება საქართველოში. თუ ფედერაციამ ან სხვამ, ვისაც ევალება, დროზე არ მიხედა, ალბათ, ერთ-ორ თვეში წყალბურთი აღარ იქნება. ახალგაზრდები კი ვარჯიშობენ, მაგრამ 19-20 წლის რომ გახდებიან, მერე მათ პერსპექტივა არა აქვთ და თამაშს თავი უნდა დაანებონ. საქართველოში არ ტარდება ჩემპიონატი, არაა ნაკრები და კლუბი, რომელიც უცხოეთში იასპარეზებს. მე პირადად იმედი არ მაქვს. ფედერაციამ ერთი წელია, იცოდა, ეს ტურნირი რომ გველოდა და თადარიგიც ადრევე უნდა დაეჭირა, თუნდაც ლეგიონერების ჩამოყვანით. ჩვენ შეგვეძლო, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გვეასპარეზა, მაგრამ... რა ფედერაციაზეა ლაპარაკი! ახლა უნდა წავიდეთ და სირცხვილი ვჭამოთ. ვისაც კი სპორტთან კავშირი აქვს, ყველამ იცის, რასაც ნიშნავს ეს სპორტსმენისთვის.

**— ეს იგი, ორი თვის მერე განაახლებთ ვარჯიშს?**

— დიახ, აუცილებლად.

**— გამოჯანმრთელების პროცესი როგორ მიდის?**

— კარგად, ოღონდ ჯერ ფიზიკური დატვირთვები არ შეიძლება და ამიტომ ვერ ვვარჯიშობ.

**— კლუბთან დაკავშირებით ახალი ხომ არაფერია?**

— ჯერჯერობით არაფერი. „სპარტაკ-ლუკოილთან" კონტრაქტი სექტემბერში მიმთავრდება. აგვისტოს ბოლოს ჩავალ ვოლგოგრადში და მომავალზე მაშინ მოვილაპარაკებთ. კლუბი წლეულს ქვეყნის ჩემპიონი გახდა და გაისად ჩემპიონთა თასზე ითამაშებს. გუნდიც კარგია და პერსპექტივაც. თუ საზღვარგარეთიდან უკეთესი ვარიანტი არ გამოჩნდა, მაშინ დავრჩები.

**— კლუბიდან ხომ არ შეგხმიანებიან?**

— როგორ არა! მირეკავენ, ამბავს კითხულობენ, აინტერესებთ, რას ვაპირებ...

**— ბოლო ინტერვიუში საქართველოს ნაკრების რუსეთის საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობის პერსპექტივაზე გვესაუბრეთ. თუ მიმართეთ ამ წინადადებით შესაბამის ორგანიზაციებს?**

— თენგიზ ივანიშვილმა ამ წინადადებით ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჯანო ბაგრატიონს მიმართა. იგი დაინტერესდა. ქართული წყალბურთის პერსპექტივაც აღიარა და, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა შეგვეძლოო, თქვა. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფრით დაგვეხმარა, ფული არა გვაქვსო. თუმცა დაგვპირდა, სპორტდეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანთან გიშუამდგომლებთო. ჯერჯერობით ჩვენი იმედი იმედად, ხოლო მისი დაპირება დაპირებად რჩება...

რუმინეთში წასვლის წინ წყალბურთელთა ნაკრებმა სპორტის დეპარტამენტში სახელდახელო პრესკონფერენცია გამართა, მაგრამ ამას პრესკონფერენცია პირობითად თუ ეთქმოდა. ფედერაციიდან არავინ ყოფილა, დეპარტამენტიდანაც მხოლოდ ერთი კაცი იყო და ისიც მალიმალ კითხულობდა, მე რა შუაში ვარო. ასე რომ, დარბაზში მხოლოდ ნაკრების წევრები შეიკრიბნენ და ერთმანეთთან საუბრის მეტი რა დარჩენოდათ! ბევრიც ილაპარაკეს და რა აღარ თქვეს! გაიხსენეს, რომ ფედერაციის პრეზიდენტმა მოსვლისთანავე განაცხადა, ეროვნული ნაკრები არ მჭირდებაო, რომ მან დაშალა ეროვნული ჩემპიონატი, ნაკრებს სავარჯიშოდ არც წყალი მისცეს, არც ბურთები და ისინიც ასე ამფიბიებივით ემზადებოდნენ ევროპის ჩემპიონატისთვის. ისიც ითქვა, ამ ფედერაციის ხელში წყალბურთს მომავალი არა აქვს, რომ ამ ჩემპიონატის შემდეგ საქართველოში წყალბურთი მოკვდება; რომ ოცნებობენ, ბუქარესტში 0:10 წააგონ და არა უფრო დიდი ანგარიშით.

**ირაკლი თავაძე**





REUTERS მონტე კარლოდან

სანდრა ფოლკერი

# მარე ნოსტრუმ: რეკორდი ჩვენს ზღვაში

ცურვაში თურმე არსებობს შეჯიბრების სერია, რომელსაც ლათინურად თუ იტალიურად „მარე ნოსტრუმ" ჰქვია. ვინაიდან რედაქციაში ზემოხსენებული ენების მცოდნეები პროჟექტორებითაც არ მოიძებნება, რთული ლოგიკური ძიებების შედეგად გაკეთდა შემდეგი დასკვნები: მარე ნიშნავს ზღვას (ფრანგულთან მსგავსებით), ნოსტრუმ კი, ალბათ, „ჩვენს" — მრავლობით რიცხვში (კოზა ნოსტრა — ჩვენი საქმე) ან რაიმე ბრუნვაში.

ასეა თუ ისე, „ჩვენს ზღვას" ნიშნავს, თუ ზვიგენის კბილს, ბარსელონასა და კანეში ჩატარებული ტურნირების შემდეგ „მარე ნოსტრუმის" წლევანდელი სერია მილიონერთა ქალაქ მონტე კარლოში დასრულდა, სადაც რამდენიმე გამორჩეულმა მოცურავემ რამდენიმე ყურადსაღები შედეგიც მიითვალა.

გერმანელმა სანდრა ფოლკერმა ლუი II-ის სახელობის 50-მეტრიან აუზში ორი წლის წინ, აქვე, მის მიერვე დამყარებული მსოფლიოს რეკორდი გააუმჯობესა.

50 მეტრ დისტანციაზე გულაღმა ცურვაში სანდრამ ძველ მიღწევას — ზუსტად 29 წამს, 22 მესედი ჩამოაკლო და თავისი მუქარა საქმედაც აქცია.

„1997-ში დამყარებული რეკორდი გარკვეული მიზეზების გამო არაოფიციალური იყო, ასე რომ, ეს ჩემს პირველ მსოფლიოს რეკორდად შეიძლება ჩაითვალოს" — განაცხადა გერმანელმა, რომელიც 25-მეტრიან აუზში იმავე დისტანციაზე მსოფლიოს ჩემპიონიცაა — „ადრეც ვთქვი, ამ შედეგს გავაუმჯობესებ-მეთქი, ასე რომ, ეს შედეგი ჩემთვის მოულოდნელი არ არის. მე მიყვარს ეს აუზი, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო მეტრებზე მართლაც ძალიან გამიჭირდა".

ყველაზე დიდი ინტერესით ციცქნა სამთავროში თავისუფალი სტილით 100 მეტრზე შეჯიბრს ელოდნენ, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები — ალექსანდრ პოპოვი და მაიკლ კლიმი ასპარეზობდნენ.

რუსი პოპოვიცა და გაავსტრალიელებული პოლონელი კლიმიც კანბერაში ცხოვრობენ, მეგობრობენ და ერთადაც ვარჯიშობენ, გამარჯვებული კი თითქმის ყოველთვის პირველი რჩება.

პოპოვმა, რომლის ხუთი წლის წინანდელი მსოფლიოს რეკორდი — 48,21 წამი სწორედ ამ აუზშია დამყარებული, ამჯერადაც აჯობა კლიმს, თუმცა 49,26 წამიანი შედეგით მაინცდამაინც კმაყოფილი არ დარჩენილა. „კიდევ რამდენიმე შეჯიბრი მჭირდება კარგ ფორმაში ჩასადგომად. ასე რომ, სტამბოლის ევროპის ჩემპიონატამდე, რომელიც ივლისში ჩატარდება, კიდევ ბევრი უნდა ვივარჯიშო".

პოპოვთან დამარცხებულმა კლიმმა კი ჯავრი ბატერფლაის სტილით 100 მეტრზე ცურვაში იყარა, სადაც ბრიტანელი ჯეიმს ჰიკმანის კონკურენციით შეგულიანებულმა ხეირიანი 53,08 წამი უჩვენა.

„ჩემთვის მარე ნოსტრუმის სერიები შესანიშნავი შესაძლებლობა იყო საუკეთესო მოცურავეების სანახავად, რასაც ავსტრალიაში თითქმის ვერ ვახერხებთ. ამის გამო ზოგჯერ გარიყულადაც ვგრძნობ თავს".

ბატერფლაის სტილით 200 მეტრზე ცურვაში კი რუსმა ანატოლი პოლიაკოვმა ერთბაშად ორი მსოფლიოს რეკორდსმენი — (50-მეტრიანი აუზების) დენის პანკრატოვი და (25-მეტრიანი აუზების) ჯეიმს ჰიკმანი ჩამოიტოვა და 1:59,75 წუთით მორიგი გამარჯვება იზეიმა.

**ბაჩა არჯევანიძე**



REUTERS მონტე კარლოდან

ფრანცისკა ვან ალმსიკი

### ტექნიკური შედეგები

#### კაცები

თავისუფალი სტილი. 400 მეტრი
1 პოლ პალმერი (ინგლისი) 3:55,41
2 იაკობ კარსტენსენი (დანია) 3:55,73
3 ალექსეი ფილიპეცი (რუსეთი) 3:56,43

ბრასი. 200 მეტრი
1 დომენიკო ფიორავანტი (იტალია) 2:16,49
2 ანდრეი ივანოვი (რუსეთი) 2:16,80
3 პაველ ანოხინი (რუსეთი) 2:17,94

გულაღმა ცურვა. 100 მეტრი
1 ლენი კრეიზელბურგი (აშშ) 55,04
2 ემანუელ მერისი (იტალია) 57,28
3 მიროსლავ მახოვიცი (სლოვაკეთი) 57,37

გულაღმა ცურვა. 200 მეტრი
1 პიტერ ვან ჰოგენბანდი (ჰოლანდია) 1:49,39
2 პოლი პალმერი (ინგლისი) 1:50,90
3 მასიმილიანო როსოლინი (იტალია) 1:51,31

#### ქალები

თავისუფალი სტილი. 100 მეტრი
1 ჯენი ტომპსონი (აშშ) 55,89
2 ვილმა ვან ჰოფვეგენი (ჰოლანდია) 56,56
სანდრა ფოლკერი (გერმანია) 56,62

გულაღმა ცურვა. 100 მეტრი
1 ნინა ჟივანევსკაია (ესპანეთი) 1:01,62
2 იულია ფომენკო (რუსეთი) 1:03,67
3 ალენა ნივლატოვა (ჩეხეთი) 1:03,88

თავისუფალი სტილი. 200 მეტრი
1 მეტე იაკობსენი (დანია) 1:59,75
2 ნადეჟდა ჩემესოვა (რუსეთი) 2:01,18
3 ფრანცისკა ვან ალმსიკი (გერმანია) 2:01,29

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ღმერთო, დიდებულო! ჯომოლუნგმას ჩიტმა გადაუფრინა!

**დედამიწის უმაღლესი მწვერვალის სახელად თუ ვახსენებთ ჯომოლუნგმას, იქვე, ჩვეულებისამებრ, ფრჩხილებში მოგვყავს ევერესტი და საგარმატხა. სამივე სახელწოდება მეტ-ნაკლებად გავრცელებულია, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ამ მწვერვალს ჩომოლუნგმაც ჰქვია, ერთ დროს დედამიწის უმაღლესი პიკის სახელად კი რუკებზე „პიკი მეთხუთმეტესაც“ ვკითხულობდით და გაურიზანკარსაც.**

**ახლა, როცა საქართველოს მთამსვლელებმა ეს ბუმბერაზი მწვერვალი ორთავ მხრიდან დალაშქრეს, დედამიწის უმაღლესი მწვერვალის თემა ჩვენი მკითხველისთვის უფრო პოპულარული გახდა. ამიტომ, ვფიქრობთ, უინტერესო არ უნდა იყოს ჩვენი პლანეტის უმაღლესი პიკის სახელებზე საუბარი, რომელთა შორის არის ყველაზე გავრცელებული ზედმეტსახელებიც — დედამიწის სახურავი და მესამე პოლუსიც.**

**თუ რატომ უწოდებენ ჩვენი პლანეტის უმაღლეს წერტილს ესოდენ ალმატებულ სახელს — დედამიწის სახურავს, ამას ახსნა-განმარტება არ სჭირდება, მესამე პოლუსად კი იგი მონათლა გერმანელმა სწავლულმა, მთამსვლელმა, მწერალმა და ფოტოგრაფმა გიუნტერ ოსკარ დირენფურტმა, რომელმაც თავისი ცნობილი წიგნი ჰიმალაის ცათამბჯენებზე სწორედ ასე დაასათაურა — „მესამე პოლუსი“, როგორც მესამე უმაღლესი განედი.**

**მაგრამ ამგვარ მეტაფორულ სახელებზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ამიტომ უმჯობესია ყველა მწვერვალთა მწვერვალის ოფიციალურ სახელებზე შევჩერდეთ, მათ შორის სამართლიანად მივიწყებულებზეც.**



ჯომოლუნგმას ფერდობებიდან ჩამომდინარე აქაფებული წყალი გაყინულა გარდასულ დროთა მოსაგონებლად

## „პიკი მეთხუთმეტე“

ეს სახელი იმაზე მიუთითებდა, რომ ჯომოლუნგმას ჰიმალაის და საერთოდ დედამიწის დანარჩენ მწვერვალთა შორის სიმაღლის მიხედვით... მეთხუთმეტე ადგილი ეკავა. სანამ ჯომოლუნგმას დედამიწის სახურავად აღიარებდნენ, უმაღლეს პიკად მიაჩნდათ დჰაულაგირი (8267 მ), რომელიც გოლიათ მწვერვალთა შორის სიმაღლით მეექვსეა. ერთ დროს დედამიწის უმაღლესი მწვერვალი ეგონათ კანჩენჯანღა (8585 მ) — ბუმბერაზთა რიგში მესამე.

ჯომოლუნგმა, როგორც უმაღლესი მწვერვალი, 1952 წელს აღმოაჩინეს. აღმოაჩინეს... ქაღალდზე. მაშინ ინდოეთის გეოდეზიური სამსახურის ერთ-ერთი მოხელე საკუთარ თვალებს არ უჯერებდა, როცა ჯომოლუნგმას სიმაღლე გამოიანგარიშა. მერე თავისი ანგარიშის სისწორეში დარწმუნებული ტოპოგრაფიული სამსახურის უფროს ენდრიუ ვოუსთან შევარდა და მოახსენა, სერ, „პიკი მეთხუთმეტე“ დედამიწის უმაღლესი მწვერვალიაო.

გავიდა სულ რაღაც ოთხიოდე წელი და დედამიწის უმაღლეს მწვერვალად რუკებზე გაურიზანკარი აღნიშნეს.

საქმე ისაა, რომ მას შემდეგ, რაც „პიკი მეთხუთმეტე“ დედამიწის უმაღლეს მწვერვალად ჩათვალეს, ჰიმალაის სახელგანთქმულმა მკვლევარმა, გერმანელმა ჰერმან ფონ შლაგინტვეიტმა გადაწყვიტა უმაღლესი მწვერვალი საკუთარი თვალით ეხილა და მოსვენება დაკარგა, მერე კი გზასაც გაუდგა. შორეულ გზაზე დამდგარი ხან სად ეძებდა ჯომოლუნგმას, ხან სად. ჯერ ჯომოლუნგმად მაკალუ (8470 მ.) მიიჩნია, ბოლოს კი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჯომოლუნგმა და გაურიზანკარი ერთი და იგივე მწვერვალია, ოღონდ ადგილობრივი მკვიდრნი სხვადასხვაგვარად უწოდებენო.

ჰერმან ფონ შლაგინტვეიტის შეცდომით ეს სახელწოდება — გაურიზანკარი — ისე დამკვიდრდა, რომ როცა 1903 წელს საგანგებო შემოწმების შემდეგ შეცდომა აღმოაჩინეს, დედამიწის უმაღლესი მწვერვალის სახელად მაინც გაურიზანკარს წერდნენ რუკებზე.

არადა, გაურიზანკარი პირდაპირი ხაზით, 58 კილომეტრითაა დაშორებული ჯომოლუნგმას და მისი სიმაღლე „სულ რაღაც“ 7145 მეტრია.

1982 წელს ჯომოლუნგმაზე სამხრეთიდან საბჭოთა მთამსვლელების ექსპედიციის დროს, როცა საბაზო ბანაკისკენ მიმავალნი 4000 მეტრ სიმაღლეზე მდებარე სოფელ ტიანგბოჩეში ავედით, ჩემთვის ნათელი გახდა, რატომ ჩაგრავდნენ დედამიწის უმაღლეს მწვერვალს. იქიდან ლჰოცზე (8501 მ) უფრო მაღალი ჩანდა, ვიდრე ჯომოლუნგმა. იგივე სურათი გადაგვეშალა მანამდეც უფრო ქვემოდან, როცა სოფელ ნამჩე-ბაზრისკენ მივემართებოდით. ჩრდილო აღმოსავლეთიდან (თვითმფრინავებიდან თუ სხვა მწვერვალებიდან) გადაღებულ ფოტოსურათებზეც, სადაც ჯომოლუნგმა და მაკალუ ერთად იყო აღბეჭდილი, მაკალუ მაღალი ჩანდა.

მაგრამ ეს ილუზია იყო. სივრცეში ხომ ახლომდებარე საგნები უფრო მაღალი ჩანს, ვიდრე დაცილებული.

## ევერესტი

ეს სახელი პოპულარულია ევროპიესა და ამერიკაში. დედამიწის უმაღლეს მწვერვალს ეს სახელი 1856 წელს უწოდეს. ეს იყო სრულიად მოულოდნელი და, ჩვენი აზრით, უსამართლო გადაწყვეტილება. ინგლისელი ჯორჯ ევერესტი ინდოეთის ტოპოგრაფიული სამსახურის უფროსი (1823-1843) იყო. დედამიწის უმაღლეს მწვერვალს ევერესტი სწორედ ჯორჯ ევერესტის პატივსაცემად შეარქვეს.

ჯორჯ ევერესტი მართლაც ფრიად პატივცემული პიროვნება ყოფილა და ჰიმალაის მწვერვალთა აგეგმვა-გაზომვაში თუ რუკების შედგენაში უდიდესი წვლილიც შეუტანია, მაგრამ მისი სახელის უკვდავყოფა შეიძლებოდა ჰიმალაის რომელიმე უსახელო მწვერვალისთვის ევერესტის დარქმევით და არა დედამიწის უმაღლესი პიკისთვის, რომელსაც უხსოვარი დროიდან ჰქონდა და ახლაც აქვს სახელწოდება თუ სახელწოდებები. ესენია

## ჯომოლუნგმა ან ჩომოლუნგმა

დედამიწის უმაღლეს მწვერვალს მის ორთავ მხარეს მცხოვრები ჩრდილოელი ტიბეტელები და სამხრეთელი შერპები ჯომოლუნგმას ან ჩომოლუნგმას უწოდებენ. ამდენად, ამ მწვერვალის ნამდვილი სახელიც ის არის, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი, მასთან ყველაზე ახლოს მცხოვრები ხალხი უწოდებს. ამ მწვერვალს მათ გარდა ჯომოლუნგმას უწოდებენ ინდოეთში, მთელს ჩინეთში, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, თუმცა, ახლა დასავლეთისკენ ორიენტირებულნი თუ მის გავლენაში მოქცეულნი ევერესტს ამჯობინებენ.

მაგრამ ერთი რამ მაინც ბუნდოვანია: ჯომოლუნგმას (ან ჩომოლუნგმას) სახელს სხვადასხვანაირად თარგმნიან. მაგალითად ასე: „ქალღმერთი — ქვეყნის დედა“, „მიწის ღმერთთა დედა“, მსოფლიო ქარებისა და თოვლის დედა“, „ისეთი მაღალი მთა, რომელზედაც ვერც ერთი ფრინველი ვერ გადაიფრენს“.

ვერც ერთი ფრინველი ვერ გადაუფრენსო... მართლაც ასე სჯეროდათ საუკუნეების განმავლობაში, მაგრამ ეს ჰიპერბოლა აღმოჩნდა.

ჯომოლუნგმაზე, ღმერთო დიდებულო, თურმე ჩიტებიც დაფრინავენ, თვითმფრინავებიცა და ადამიანებიც ადიან. არადა, იქ რაიმე სულიერის აღწევას ვინ იფიქრებდა?

როცა გერმანელმა ჰიმალაის მაღალმთიანეთის მკვლევარებმა, ძმებმა ადოლფ, ჰერმან და რობერტ შლაგინტვეიტებმა მეცნიერული დაკვირვებების („მაქსიმალურ სიმაღლეზე ცხოველთა გავრცელება და ადამიანის ორგანიზმზე სიმაღლის გავლენა“) მიზნით 1855 წელს 6785 მეტრის სიმაღლეზე ასვლით არაოფიციალური მსოფლიო რეკორდი დაამყარეს და იქ ფრინველები ნახეს, მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

ამის მერე გაივლის საუკუნეზე მეტი და უფრო განცვიფრდებიან მთამსვლელები, როცა ჯომოლუნგმას სამხრეთ უნაგირაზე (7986 მ) ისინი ფრინველებს ნახავენ მაშინ, როცა ეს ადგილები მთელს დედამიწაზე ყველაზე უკაცრიელად ითვლებოდა. მეტიც 6700 მეტრზე კინოოპერატორს საშინელ ქარიშხალში მონავარდე ფრინველებიც კი აღუბეჭდავს ფირზე. სადღაც 7800 მეტრის სიმაღლეზე ჯომოლუნგმას ქედზე გადამფრენი ფრინველები ახლა პირველი ქართული ექსპედიციის მეთაურმა გია თორთლაძემაც გვიჩვენა თავისი ვიდეოკამერით აღბეჭდილი. გვითხრა, ფრინველები 8600 მეტრზეც ვნახეო.

ახლა, რაკი გადაფრენა-გადმოფრენაზე ჩამოვარდა სიტყვა, ისიც გავიხსენოთ, რომ დედამიწის უმაღლეს მწვერვალს თვითმფრინავით პირველად 1933 წელს გადაუფრინეს. ინგლისელი მფრინავები კლაიზდაილი და მაკინტაირი „ბრისტოლ პეგასებით“ ორჯერ გაფრინდნენ.

1942 წელს ამერიკელმა მფრინავმა სკოტმა, რომელიც ახალ საბრძოლო თვითმფრინავს ცდიდა, ჯომოლუნგმას თავზე 3000 მეტრით მაღლა აფრინდა. ადამიანმა კი პირველად 1953 წლის გაზაფხულზე შედგა ფეხი დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე. ესენი იყვნენ ინგლისელთა ექსპედიციის წევრები ახალზელანდიელი ედმუნდ ჰილარი და შერპი თენსინგ ნორგეი. მათ მერე, დღევანდლამდე, იქიდან 800-მდე კაცს გადმოუხედია.

## საგარმატხა

მოგეხსენებათ, დედამიწის უმაღლესი მწვერვალი ჩინეთ-ნეპალის საზღვარზე მდებარეობს. ნეპალელები ამ მწვერვალს საგარმატხას უწოდებენ.

საგარმატხას (შესაძლოა სწორი იყოს საგარმატჰა) ერთნი ასე თარგმნიან — „ზღვის სახება“, მეორენი — „ცის მბძანებელი“, მესამენი — „ცის მწვერვალი“.

ამ პოეტური სახელწოდებებიდან ყველაზე მოხდენილი ალბათ „ცის მბრძანებელია“, რაკიღა იგია ყველა მწვერვალთა მწვერვალი. თუმცა, „ზღვის სახებაც“ მეტად მოხდენილია. ეს სახელი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ მრავალი მილიონი წლის წინათ აქ ზღვის ტალღებს პურის ყანასავით მიერეკებოდა ქარი. დედამიწის უმაღლესი მწვერვალი, როგორც მეცნიერები ირწმუნებიან, სხვა გიგანტების მსგავსად, ზღვიური ფსკერის ღრმულიდან ამოიწვერა. ამოიწვერა და ისე გამოიყურება, თითქოს მისი ფერდობიდან ჩამომდინარე აქაფებული წყალი გაქვავებულა თუ გაყინულაო გარდასულ დროთა მოსაგონებლად. სწორედ ასეთი ვიხილეთ ჯომოლუნგმა 5600 მეტრის სიმაღლიდან, როცა ამ გოლიათის მყინვარზე მოწყობილ საბაზო ბანაკში ავედით.

ტიანგბოჩეში კი, მტრედისფრად ინათებდა თუ არა, კარვებიდან გამოვდიოდით და ცის მბრძანებელს გავცქეროდით. ჯომოლუნგმა ზანტად ბოლავდა და ბოლავდა. ქათქათა წისლი მანდილივით გვერდზე ჰქონდა მოგდებული და საოცრად მშვიდი და წყნარი ჩანდა, ახლოდან კი...

ახლოს მისულთაგან ბევრი, ძალიან ბევრი სამუდამოდ იქ დარჩენილან და მწვერვალის ნაწილად ქცეულა.

**ავთანდილ გურასაშვილი**



ჯორჯ ევერესტი, ვისი სახელიც ცად აუტყორცნიათ



# ჩვენზე გაჭირვებულებიც ყოფილან

ისრაელში დამთავრდა ევროპის თასის C ჯგუფის მონაწილეთა ტურნირი. აღთქმულ მიწაზე ევროპის უსუსტესი რვა გუნდი შეიკრიბა — პორტუგალია, ისლანდია, კვიპროსი, ესტონეთი, სომხეთი, საქართველო, ისრაელი და ლუქსემბურგი. ისინი B ჯგუფში გადასვლას ეცილებოდნენ ერთმანეთს. საბოლოოდ ეს უფლება იმ ჯგუფიდან შარშან გამოვარდნილმა პორტუგალიამ დაიბრუნა. ჩვენმა ნაკრებმა კი მხოლოდ სომხების ჯობნა შეძლო და მეშვიდე გუნდურ ადგილზე გავიდა. პირად პირველობაში გაიმარჯვა შუბის მტყორცნელმა მაკა ობოლაშვილმა. თამარ შანიძემ ორ დისტანციაზე, 100 და 200 მეტრზე რბენაში მოიპოვა ვერცხლის მედლები. დანარჩენთაგან აღსანიშნავია 4X100 მეტრზე ამანათრბენი, სადაც ჩვენი გუნდი — მაია აზარაშვილი, ნინო ბაგაშვილი, თამარ შანიძე და იულია დუბინა — მეოთხე ადგილზე გავიდა.

გუნდურ პირველობაში დაკავებული არცთუ მაღალი ადგილის მიუხედავად, მწვრთნელ-სპეციალისტები ისრაელში ასპარეზობით მაინც კმაყოფილნი არიან. ჩვენი გუნდი მსგავს ტურნირში პირველად მონაწილეობდა. მაია აზარაშვილმა გვითხრა, გამოცდილება შევიძინეთ და მომავალში ვიცით, როგორ მოვიქცეთო. როცა საკუთრივ მის შედეგებზე ვკითხეთ, არ გამჭირვებია და გუნდს მომავალშიც დავეხმარებიო, გვითხრა.

აზარაშვილმა ისიც დაამატა, მომავალ ევროპის თასზე ვაჟთა გუნდსაც აუცილებლად წავიყვანთ. ოღონდ ქალებშიც და კაცებშიც მხოლოდ ისეთებს ვიახლებთ, რომლებსაც წარმატების მოპოვება შეუძლიათო. ჩვენები წლეულს 9 მონაწილით წავიდნენ, სხვები კი — 20-25 კაციანი გუნდებით, მაგრამ მთავარი ხომ შედეგია და არა რაოდენობა. ჩვენებურთაგან უმეტესობა ჩასათვლელი ქულებისთვის წაიყვანეს და ზოგიერთმა მისთვის უცხო სახეობაშიც იასპარეზა. ამიტომ მაღალი შედეგებიც რამდენიმემ აჩვენა. კვიპროსელებს კი ჩემპიონი არ ჰყოლიათ, მაგრამ თითქმის ყველა სახეობაში ხუთეულში მოხვდნენ და გუნდურ ჩათვლაშიც გაგვისწრეს.

ბოლოს ისევ აზარაშვილის აზრს გაგაცნობთ — B ჯგუფში გადასასვლელად საკეთებელი ძალიან ბევრია. უახლოეს წლებში ამას ვერ შევძლებთ, თუმცა რამდენიმე ახალგაზრდისა ძალიან გვეიმედებაო.

**ირაკლი თავაძე**

ხელბურთი



წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფურ ტურნირში ჩვენი მომავალი მეტოქე ესპანელებმა 31:17 დაამარცხეს. ფოტოზე დანიელი იოაკიმ ბოლდსენისა (10) და ესპანელი ინაკი ურდანგარინის ორთაბრძოლაა აღბეჭდილი

# ვანიას დანია გვიჯობდა

ეგვიპტეში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალამდე ერთი დღით ადრე ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პლეი ოფის წილისყრა ჩატარდა. იღბალმა საქართველოს ნაკრები დაინდო და ისეთ გრანდებს ააცილა, როგორებიც რუსეთი, იუგოსლავია, ესპანეთი და გერმანიაა. ჩვენთვის დანია გაიმეტა.

რა შეიძლება ითქვას სკანდინავიის ამ ქვეყანაზე? უპირველესად ის, რომ დანია ხელბურთისთვის იგივეა, რაც ინგლისი ფეხბურთისთვის. ანუ ხელბურთის სამშობლოდ სწორედ დანიაა მიჩნეული. ტრადიციულად ძლიერი დანიელები საერთაშორისო სარბიელზე ბოლო წლებია, პოზიციებს მეტ-ნაკლებად თმობენ. უკანასკნელი დიდი ტურნირი (თუ წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატს არ ჩავთვლით) დანიელთა მონაწილეობით 1996 წელს ჩატარდა — ევროპის ჩემპიონატის B ჯგუფი ჩვენი მომავალი მეტოქეებისთვის ძალიან ძლიერი აღმოჩნდა და მათაც ხუთიდან ხუთი შეხვედრა წააგეს (საფრანგეთთან 22:25, ესპანეთთან 22:28, შვედეთთან 21:23, ჩეხეთთან 22:28 და რუმინეთთან 21:27), მეთერთმეტე ადგილისთვის მატჩში კი სლოვენიასთან დამარცხდნენ — 27:24.

თუ პირველი ნაკრებისთვის წარმატებები ძნელი მისაღწევია, სანაცვლოდ, შარშან ახალგაზრდებმა ისახელეს თავი. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მათ ყველა მატჩში იმარჯვეს, ფინალში იუგოსლავიას აჯობეს 22:21 და ოქროს მედლებს დაეუფლნენ.

ეგვიპტეში წლევანდელ მსოფლიოს პირველობაზე დანიელებმა შემდეგი შემადგენლობით ითამაშეს: სორენ ანდრეასენი (ფლენსბურგი, გერმანია), კასპერ ჰვიდტი (ლემგო, გერმანია), პეტერ ლარსენი (პორტლენდი, ესპანეთი) (სამივე მეკარე); მორტენ ბიერე (ფლენსბურგი), მორტენ კრამპაუ (ფიფ, დანია), კლავს იორგენსენი (ფრანკფურტი, გერმანია), კრისტიან ჰიერმინდი (ფლენსბურგი), ლარს კრისტიანსენი (ფლენსბურგი), იონ ფოგი (გუმერსბახი, გერმანია), ლარს იეპსენი (ჰელსინგე, დანია), კლაუს იაკობსენი (სკიერნი, დანია), ნიკოლაი იაკობსენი (კიელი, გერმანია), კელდ ვილჰელმსენი (გუდმე, დანია), იოაკიმ ბოლდსენი (გუდმე), კლაუს ფლენსბორგი (ბიერინგბრო, დანია), სორენ სტრიგერი (ჰოლდი, დანია).

ჯგუფში დანიელებმა ჯერ მაროკო დაამარცხეს (20:19), შემდეგ ალჟირი (28:18) და ტუნისი (23:19). მეოთხე ტურში ესპანეთის ძლიერ ნაკრებთან დამარცხდნენ დიდი სხვაობით (31:17), ბოლოს კი არგენტინას მოუგეს (29:21) და მეორე ადგილზეც გავიდნენ. მერვედფინალში მათი მეტოქე კუბის ნაკრები იყო. სპეციალისტთა აზრით, მედლებისთვის ბრძოლის გაგრძელების უკეთესი შანსი ევროპელებს ჰქონდათ, მაგრამ კუბელებმა შეძლეს სკანდინაველთა დამარცხება და დანიაც ვადაზე ადრე გამოეთიშა ტურნირს.

გუშინ საქართველოს ნაკრების ვარჯიშს დავესწარით და რამდენიმე ხელბურთელს მოწინააღმდეგისა და მასთან ჩვენი შანსების შეფასება ვთხოვეთ.

**ვახტანგ მეიფარიანი** (ნაკრების კაპიტანი) — წილისყრის შედეგებით ნამდვილად კმაყოფილნი ვართ. შეიძლებოდა, დანიაზე გაცილებით ძლიერ ნაკრებს შევხვედროდით. მათთან ჩვენ არ გვითამაშია, მაგრამ დანიელთა ძლიერ და სუსტ მხარეებზე გარკვეული წარმოდგენა გვაქვს. ჩვენი მწვრთნელი ზაზა დოლიძე ამ დღეებში დაბრუნდება ეგვიპტიდან და მეტოქის თამაშების ვიდეოფირებს ჩამოიტანს. დანიელებთან მომავალი მატჩებისთვის მზადებას ხვალიდანვე დავიწყებთ. სექტემბრამდე ძალიან სერიოზულად უნდა მოვემზადოთ, საჭიროა რამდენიმე ტურნირში მონაწილეობაც, ამისთვის კი თანხებია საჭირო და იმედია, ვიშოვით. ფინალურ ეტაპზე გასვლა, ვფიქრობ, შეგვიძლია.

**ლევან გელაშვილი** — დანია საკმაოდ ძლიერი, დიდი ტრადიციების გუნდია. თუმცა მათთან ტოლ-სწორად თამაში საქართველოს ნაკრებს ნამდვილად შეუძლია. მათი თამაში მხოლოდ ერთხელ ვნახე. საბერძნეთში მასპინძლებს ერთი ბურთით მოუგეს, მაგრამ ბერძნები ხომ საშუალოზე დაბალი დონის გუნდია. ასე რომ, დანიელებს დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენიათ. წილისყრის შედეგების მოლოდინში ბიჭები ერთად ვიყავით. ყველა დანიას ნატრობდა, მე კი მაკედონია მერჩივნა. მეუბნებოდნენ, მაკედონია შინ ძალიან ძლიერია, დანია სჯობსო. რა ვიცი, ღმერთმა ინებოს, მართლები იყვნენ. ახლა დიდი ხელშეწყობაა საჭირო, სექტემბრის მატჩებისთვის უკეთ მოსამზადებლად. რამდენიმე საერთაშორისო, ამხანაგური მატჩის გამართვაც საშურ საქმედ მიმაჩნია.

**გაიოზ თალაქვაძე**

ჭადრაკი

# ბალათუროვი უგამოცდოდ ჩაირიცხა

საქართველოს ვაჟთა უმაღლესი ლიგის პირველობაზე წლეულს შარშანდელზე ბევრად მეტმა მოჭადრაკემ ითამაშა, თუმცა ჭადრაკის სასახლეში ამ დღეებში დასრულებულმა ტურნირმა თითქმის ყველა დიდოსტატი მოისაკლისა, გენადი ზაიჩიკის გარდა. არადა, შარშან, თუ გახსოვთ, მხოლოდ ზურაბ აზმაიფარაშვილს არ უთამაშია. უძლიერესთა ადგილები მეტწილად ახალგაზრდობამ შეავსო. 62 მონაწილეს შორის იყვნენ ქვეყნის ბავშვთა და ახალგაზრდათა პირველობების სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების ჩემპიონები და პრიზიორები, რამდენიმე ცნობილი გოგონაც (მაგალითად, ნატო ეძგვერაძე, ინგა ხურცილავა, ლელა ჯავახიშვილი, სოფიკო ნიკოლაძე) და საერთოდ ყველა, ვისი რეიტინგიც 2400 ქულაზე მეტია. ტურნირი შვეიცარული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა და გაიმარჯვა ფავორიტად მიჩნეულმა გია ბალათუროვმა, რომელიც, ალბათ, სულ მალე დიდოსტატის ტიტულსაც გაიფორმებს. ბალათუროვმა 7,5 ქულა დააგროვა და ნახევარი ქულით აჯობა ორ უახლოეს მდევარს: ქუთაისელ ვალერი გაფრინდაშვილს და თბილისელ პარმენ გელაზონიას. კოეფიციენტების ცხრილმა ვერცხლის მედალი გაფრინდაშვილს არგუნა, ხოლო გელაზონია ბრინჯაოს დააჯერა. სამივე პრიზიორმა მედლების გარდა სამომავლო პერსპექტივებიც მიიღო. ბალათუროვი პირდაპირ, „უგამოცდოდ“ ჩაირიცხა საქართველოს ნაკრებში, რომელიც შემოდგომაზე ბათუმში გასამართ ევროპის პირველობისთვის ყალიბდება, ხოლო გაფრინდაშვილსა და გელაზონიას შესარჩევი ეტაპის გავლა მოუწევთ. ისე კი, როგორც გავიგეთ, ევროპის გუნდურ პირველობაზე ჩვენი ქვეყანა სულაც ორი გუნდით აპირებს გამოსვლას, ოღონდ ამაზე სხვა დროს იყოს...

**დავით გულუა**

ჰოკეი

მწვრთნელის ხელობა ყოველთვის მძიმე და არცთუ იშვიათად ერთობ უმადურიცაა. როცა ხანგრძლივი, დაუღალავი ჯაფის შემდეგ გუნდი წარმატებას აღწევს, სპეციალისტებს თავკაცი ცაში აჰყავთ, საკმარისია ერთი უიღბლობა, მოულოდნელად წაგებული საპლეიოფო სერია და... მას უკვე კარისკენ უთითებენ. ამას ისიც დაუმატეთ, რომ მწვრთნელთა უმრავლესობის ხელფასი მოთამაშეთა საშუალო გასამრჯელოს ბევრად ჩამოუვარდება. თუმცა, მეორე მხრივ, ხშირად სწორედ გუნდის თავკაცთან კონტრაქტის გაგრძელება-არგაგრძელების მიხედვითაც მიხვდებით, რამდენად წარმატებული იყო სეზონი გუნდისთვის.

# ედმონტონი: ლოუ & ლოუ

პლეი ოფის პირველ წრეში დალასთან „მშრალი“ მარცხი გახდა ედმონტონის მწვრთნელ რონ ლოუს დათხოვნის ერთ-ერთი საბაბი. თუმც ამ შემთხვევაში მიზეზები უფრო ღრმა და სერიოზული იყო. 48 წლის ლოუ ოთხნახევარი სეზონის განმავლობაში თავკაცობდა „მენავთობეებს“, მაგრამ ამ ხნის მანძილზე ლიგის ერთ-ერთმა ყველაზე ახალგაზრდა და იმედისმომცემმა გუნდმა ვერანაირ პროგრესს ვერ მიაღწია. ლოუს თავკაცობით „ოილერსმა“ ერთ ჩემპიონატშიც ვერ გადალახა 50-პროცენტიანი საქულე ზღვარი. მართალია, გუნდმა ორჯერ პლეი ოფს უწია (1997 და 1998 წლებში) და ორჯერვე პირველ რაუნდში სენსაცია მოახდინა (დალასს და კოლორადოს აჯობა), მაგრამ ამის იქით აღარ წასულა. უცნაურია, მაგრამ ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ჯერ კიდევ სეზონის მსვლელობისას, ნიუ ჯერსისთან სამარცხვინო წაგების შემდეგ, ლოუ ჩიოდა, რომ მისი შეგირდები ამას საგანგებოდ უწყობდნენ.

მას შემდეგ, რაც კლუბის მეხვეურებმა ლოუს ისევ მცირე ჯამაგირი — 325 000 დოლარი შესთავაზეს, იგი წავიდა. როგორც ვარაუდობენ, მის ადგილზე ყველაზე რეალური კანდიდატი მისი ასისტენტი, წარსულში ედმონტონის სახელოვანი მცველი, თასის ექვსგზის მფლობელი კევინ ლოუ გახლავთ.



რონ ლოუ

# ნეშვილი ტროტცისტების ხელშია

ლიგის დებიუტანტ ნეშვილის მესვეურნი პირველი სეზონით კმაყოფილნი არიან. მათი სურვილია, კვლავ გააგრძელონ მუშაობა მწვრთნელთა ჯგუფთან, მათ შორის, მთავართან, ბარი ტროტცთან, რომელიც, როგორც ამბობენ, „პრედეტორსების“ სათავეში 2002 წლამდე დარჩება.

წლეულს 37 წლის ტროტცის დებიუტი შედგა ნჰლ-ში (მანამდე აჰლ-ში გაითქვა სახელი და თავისი გუნდი „პაირეტსი“ ორჯერ ფინალში გაიყვანა). მიუხედავად იმისა, რომ ნეშვილმა დივიზიონში ბოლო ადგილი დაიკავა (+28=7-47), კლუბმა დასავლეთში ყველას ერთხელ მაინც აჯობა. მათ შორის „დიდი სამეული“ — დეტროიტი, დალასი და კოლორადოც იმსხვერპლა. გარდა ამისა, მატჩებზე დასწრების საშუალო მაჩვენებლით (16145 მაყურებელი ერთ თამაშზე) კლუბი მეორე იყო ლიგაში. 41 საშინაო მატჩიდან 17-ზე „ნეშვილ არენა“ ბოლომდე შეივსო, რაც კლუბის სანაქებო და შინაარსიანი თამაშის დამსახურებაა.

# ჩემი გაგდება გინდოდათ?!

ნეშვილელი ბარი ტროტცის დარად კაროლინელმა პოლ მორისმაც დაიმსახურა ახალი კონტრაქტი. ბოლო შვიდი წლის განმავლობაში კაროლინა (ყოფილი ჰარტფორდი) პირველად გავიდა პლეი ოფში, იქაც ღირსეულად იბრძოლა და ბოსტონს დიდი ძალისხმევა დასჭირდა „ქარიშხლების“ დასაძლევად. კონტრაქტის დეტალები უცნობია, მაგრამ სავარაუდოდ მორისმა არანაკლებ სამი წლით გაიხანგრძლივა გუნდთან თანამშრომლობა და 300 000 დოლარის ნაცვლად (ლიგაში ერთ-ერთი უდაბლესი ხელფასი) დაახლოებით 500 000 დოლარს მიიღებს.

„მთელი სეზონის განმავლობაში ყველა ჩემს დათხოვნაზე ლაპარაკობდა. მე კი, ვფიქრობ, სწორედ მოვიქეცი, ამას ყურადღება რომ არ მივაქციე და ჩემი საქმე გავაგრძელე“ — თქვა მორისმა, ხოლო გენერალურმა მენეჯერმა ჯიმ რეზერფორდმა აღნიშნა, რომ ტრავმების ასეთი სიმრავლის პირობებში გუნდმა აშკარად მაქსიმუმი აჩვენა, რაც მწვრთნელის დამსახურებაა.

მოგეხსენებათ, უკვე ოთხი სეზონია, მორისი კაროლინას თავკაცობს. იგი ლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელად შევიდა — 28 წლის იყო, თავკაცი რომ გახდა.

**სამველ ლარიბიანი**





პოლ მორისი ზოგ თავის შეგირდზე ახალგაზრდაა

ოლიმპიზმი

# ტურინი ან სიონიო

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ამ უქმეებზე გამოაცხადა ის ექვსი ალაგი, რომელთაც 2006 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობა სურთ.

ესენია: იტალიის ტურინი თავისი შემოგარენით, შვეიცარიის ალპური ქალაქი სიონი, ფინეთის დედაქალაქი ჰელსინკი (რომელსაც გადაუწყვეტია, ნორვეგიულ ლილეჰამერთან ერთად უმასპინძლოს თეთრ თამაშებს), პოლონეთის სათხილამურო ცენტრი ზაკოპანე, სლოვაკეთის განთქმული სამთო კურორტი პოპრადტატრი და ავსტრიის სათხილამურო დაბა კლაგენფურტი.

ჰელსინკს ფართო პროგრამა და ეკონომიკურ-ტურისტული ცხრილებიც წარუდგენია. ამ საბუთებით ცდილობს წარმოაჩინოს, რომ თეთრ თამაშებში გამოცდილ ლილეჰამერთან ფინეთის დედაქალაქის კავშირი სულაც არ არის ხელოვნური და პრობლემური.

თუმცა, სოკ-ის კულუარებიდან გამოსულ ხმათა მიხედვით, უკეთესი შანსები ტურინსა და სიონს აქვთ და ექსპერტებს სჯერათ, რომ კანდიდატთა შერჩევის ფინალურ ეტაპზე სწორედ ეს ორი ქალაქი გავა.

კომიტეტი შაბათს შეიკრიბება ლონდონში და კენჭისყრას გამართავს.

სახელგატეხილ ოლიმპიურ კომიტეტს კი მედია წამდაუწუმ ახსენებს სოლტლეიკურ ქრთამებს. თუმცა, არც სამარანჩის ოფისია პირდაღებული და კანდიდატთა ავლადიდების დათვალიერების ახალი სისტემა შეუმუშავებია, რომელიც მასპინძლის ხარჯზე გამართულ სადილ-ვახშამსა და ამგვარ რამეებს გამორიცხავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაირო. ეგვიპტე.
ხელბურთი.
მსოფლიოს ჩემპიონატი.

| | |
|---|---|
| ფინალი | მე-5 ადგილისთვის |
| **შვედეთი 25:24 რუსეთი** | **საფრანგეთი 21:26 გერმანია** |
| მე-3 ადგილისთვის | მე-7 ადგილისთვის |
| **ესპანეთი 24:27 იუგოსლავია** | **ეგვიპტე 35:28 კუბა** |

წინა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალშიც შვედები და რუსები შეხვდნენ, მაშინ რუსებმა გაიხარეს, ახლა კი სკანდინაველებმა იმარჯვეს და საჩემპიონო სუფრაც შვედურ მაგიდაზე გაიშლება.

REUTERS ქაიროდან



შვედეთი — რუსეთი. შვედი სტეფან ოლსონი (№13) რუს დმიტრი ფილიპოვს (ბურთით) დარტყმას არ ანებებს

## ესპანეთი

თასის ნახევარფინალი.
საპასუხო მატჩი

**დეპორტივო 0:1 ატლეტიკო**
0:1 სერენა (60)

## შვედეთი

X ტური

**ჰელსინგბორგი 1:1 ელფსბორგი**

1999 FIH CHAMPIONS TROPHY
QUEENSLAND, AUSTRALIA, JUNE 10 - 20

FIH

ბრისბენი. ავსტრალია.
ბალახის ჰოკეი. ჩემპიონთა თასი

ქალები
15 ივნისი

**ავსტრალია 6:0 კორეა**
**ახ. ზელანდია 1:4 გერმანია**

# ალა ნახე, ანა ისე გამონახე

ანა კურნიკოვა, შეხსენება არ დაგჭირდებათ, ჩოგბურთელი გახლავთ, მამა რუსეთის რომელიღაც უნივერსიტეტში კალათბურთს ასწავლის, გულის მურაზი სერგეი ფიოდოროვი სახელოვანი ჰოკეისტია. აი, სპორტული ოჯახის დედას ქალბატონ ალას კი თურმე ფეხბურთი ჰყვარებია ყველაზე მეტად და ქალიშვილისთვის 18 წლის იუბილეზე ნაჩუქარი ბურთის გაგორება-გამოგორება და მასზე არანაკლები ხელ-ფეხისა და გულ-მკერდის გამომზეურება ინგლისური ისტბორნის ბალახის კორტებზე მონდომებია. სააგენტო „როიტერი" კურნიკოვათა მინი-ტურნირის გამარჯვებულის ვინაობას, სამწუხაროდ, არ იტყობინება.

REUTERS ისტბორნიდან



# კლინტონი მეცხრე ხვრელს უტევს

სანამ ევროპისკენ გამოემგზავრება რუსთა პრეზიდენტთან შესახვედრად და კოსოვოს ამბების საბოლოოდ გამოსარკვევად, ბილ კლინტონი ფერფაქსში ჩასულა და იქაურ ჯარისა და ფლოტის კლუბში გოლფის თამაშს შეჰყოლია. ფოტოზე სწორედ ის მომენტია აღბეჭდილი, როცა კლინტონი მეცხრე ხვრელისკენ გზავნის ბურთს. რვა უკვე გაუვლია და მეცხრესაც გაივლის. უფრო რთული რამეებიც დაუძლევია. ყველამ ვიცით...

REUTERS ფეირფაქსიდან



# სასექტემბრო შეხვედრა

REUTERS ნიუ იორკიდან



*ოსკარ დე ლა ჰოიას (მარცხნივ) და ფელიქს. ტრინიდადის (მარცხნიდან მესამე) ორთაბრძოლა სექტემბერში უნდა გაიმართოს ლას ვეგასში. მოკრივეები გუშინ პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ნიუ იორკში და პირველი პრესკონფერენციაც გამართეს. აქვე ესწრებოდნენ პრომოუტერები, დონ კინგი (მარჯვნიდან პირველი) და ბობ არუმი, რომელთა გარეშეც დიდი ბრძოლა ვერ ჩაივლის. კალიფორნიელი დე ლა ჰოია საბჭოს (ვბკ) ჩემპიონის ქამარს დაიცავს პუერტორიკოელი ტრანიდადის ხელყოფისგან.*

# იოკოძუნას დღევანდელი კვერცხი ურჩევნია

REUTERS ტოკიოდან



სუმოს დიდი იოკუძუნა მუსაშიმარუ კვერცხისებრ ბაროკამერაში შესაბიჯებლად იმიტომ გაიმეტეს, რომ მისი სიმსუქნის ყოველგვარი სამედიცინო პროცენტი დაადგინონ. მალე ტოკიოში მორიგი ბაშო დაიწყება და სამედიცინო შემოწმებაც ამიტომ შეიქნა საჭირო. მუსაშიმარუ ყოველმხრივ მზად ყოფილა — ეს კვერცხში ყოფნამაც დაადასტურა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი,
IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29